საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№18 (583)

26 მაისი - 1 ივნისი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

geworld@inbox.ru


## ღირსებისა და პატრიოტიზმისგან დაცლილი საზოგადოების საშუღლეთი

20-22

# ილუზორული დამოუკიდებლობის დღე

2



# და შიმშილის შიშით გასაცოდავებულები

ბატონებო, საქართველოს ჰიმნი, იცით, რომელი სიტყვებით სრულდება? «დიდება თავისუფლებას... თავისუფლებას დიდება!» აბა, თავისუფლება?!



ვაჟა ოთარაშვილი:

## იქ, სადაც ქურდობა ცოდვაა, და არის ნამდვილად, არ შეიძლება, მამათმავლობა ნორმად წარმოჩნდეს!

5



ნანა კაკაბაძე:

## არ მგონია, რომ ეს ანგარიში «ფრიდომ ჰაუსში» შეადგინეს, ის ნაციონალებისა თუ «თავისუფლების ინსტიტუტის» დაწერილ «ანგარიშს» უფრო ჰგავს

4



## სანამ იდიოტიზმს ხელოვნების დონეზე ავიყვანთ

სოფლის მეურნეობის ყველაზე მეტი პროდუქტი სწორედ რუსეთში იყიდება; წლებია, პურისთვის საჭირო ხორბალს ასი პროცენტით რუსეთიდან ვყიდულობთ; ენერგომატარებლების უდიდესი წილი რუსეთზე მოდის და ამის შესახებ ხმამაღლა ვერ საუბრობენ

3

## პატივცემულო წიგნის ავტორებო, ცხვარი კი არ კიკინებს, ბღავის




16-17

როგორ არ უნდა აღვზარდოთ მომავალი თაობა



## «რუსეთი დაიცავს ერთმორწმუნე მართლმადიდებლებს»

24



## რუსეთი ვითარების დაძაბვას არ ცდილობს, მაგრამ მზად არის აპოკალიფსური ომისთვის, ანუ რა თქვა პუტინმა

9

## საიდუმლო არმია



## აშშ-ის პროფესიონალი მკვლელები მსოფლიოს ყველა კუთხეში მოქმედებენ

15

«დამოუკიდებლობის» დღე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპელი ელჩები კარგად ხედავენ, ნაგვის ურნებში გადაყუდებულ მოქალაქეებს, მაგრამ ეს არ აღელვებთ, თუნდაც მთელი ქვეყანა გადაეყუდოს. მათთვის მთავარია, მმართველი რგოლი არ გაექცეთ ხელიდან და, როცა ქართველმა პოლიტიკოსებმა ეს სცადეს, მაშინვე უმკაცრესად ჩაერივნენ, ყური აუწიეს, დასავლურ ბანკებში ანგარიშების გაყინვით დაემუქრნენ და შედეგიც მიიღეს. 26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს ვზეიმობთ...**

# ილუზორული დამოუკიდებლობის დღე და შიმშილის შიშით გასატოდავებულები

## ბატონებო, საქართველოს ჰიმნი, იცით, რომელი სიტყვებით სრულდება? «დიდება თავისუფლებას... თავისუფლებას დიდება!» აბა, თავისუფლება?!

**26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს ვზეიმობთ. დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე აღლუმს გავმართავთ, ჯარის ნაწილებს, საბრძოლო ტექნიკას გამოვიყვანთ. არ არის გამორიცხული, ამერიკელებისგან ნაყიდ „ჯაველინებსაც“ ვანახვოთ დღის სინათლე. აღლუმს ხელისუფლების უმაღლესი პირები ჩაიბარებენ და სიამაყითაც იტყვიან, რომ ქართული ჯარი ჩაცმულ-დახურულია, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის წარმოებას დავიწყებთ, რომ სხვადასხვა მისიაში ჩვენმა ჯარისკაცებმა თავი გამოიჩინეს. ეს ყველაფერი ორიოდე მილიონი მაინც დაჯდება, მაგრამ რა სათვალავში ჩასაგდებია ორიოდე მილიონი, როცა დამოუკიდებლობის დღე გაქვს საზეიმო...**



გასულ კვირას, ერთი-მეორის მიყოლებით, სხვადასხვა კომპანიის თანამშრომლები გაიფიცნენ. გაფიცვის მთავარი მიზეზი ჯამაგირი იყო, ხელფასი, რომელიც მათ, უბრალოდ, აღარ ჰყოფნით. **ამ ადამიანებმა, ეროვნული ვალუტის გაუფასურებისა და პროდუქტების გაძვირების ფონზე, დანაზოგი დახარჯეს და ახლა შიმშილის ზღვარზე არიან. ეს იმის მიუხედავად, რომ დასაქმებულები ჰქვიათ და დილიდან საღამომდე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ვირებივით მუშაობენ.** კომპანიებმა პირდაპირ თქვეს, რომ პანდემიის პირობებში ხელფასების მომატება გამორიცხულია. ისინი რადიკალურ ზომებსაც არ მოერიდებიან და თანამშრომელს, რომელსაც აღნიშნული პირობებით მუშაობა არ სურთ, შეელევიან და ახლებს მიიღებენ. ერთი მხრივ, გასაგებია კომპანიების პოზიცია, მაგრამ, მეორე მხრივ, ფაქტია, რომ **დღეს საქართველოში დასაქმებული ადამიანებიც კი ვერ იღებენ იმ შემოსავალს, რომ თვიდან თვემდე თავი გაიტანონ. გვერწმუნეთ, აქ საუბარი მხოლოდ საკვებზეა და არა ფუფუნების საგნებზე, ადამიანებს საკვების ყიდვა უჭირთ. გაეროს დასკვნის მიხედვით, 50 ათასი ბავშვი საქართველოში ოფიციალურად შიმშილობს და თითქოს ამას გადააყოლეს კიდეც კვირიკაშვილის პრემიერობა,** მაგრამ სურათი უარესობისკენ შეიცვალა და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც შიმშილობენ, გვარიანად არის მომატებული. სხვათა შორის, ხმამაღლა შეიძლება არც ერთმა ექიმმა არ თქვას, მაგრამ პირად საუბრებში ყველა აღიარებს, რომ არც ისე იშვიათად ბავშვების დაავადების მიზეზი საჭირო ოდენობის საკვებისა და ვიტამინების მიუღებლობაა — მშობლები ბავშვებს საჭირო საკვებს ვერ აძლევენ.

**26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს ვზეიმობთ...**

ამ დროს კი კომპანია „ნატახტარმა“, რომლის მფლობელიც თურქული EFES-ია, დისტრიბუციის ავტომობილებს ქართულენოვანი წარწერა აადღლიზა და ზედ EFES-ი მიაწერა. 23-ში, ასევე თურქულ კომპანია „ენკას“ წინააღმდეგ დედაქალაქში მრავალათასიანი აქცია გაიმართა და მთავრობა ყურს არ იბერტყავს. აბა, გაებედა რომელიმე ქართულ კომპანიას და თურქეთში მხოლოდ ქართული წარწერებით ევლო მისი დისტრიბუციის მანქანებს. იცით, რა მოხდებოდა? მთელი ქვეყანა ქუჩაში გამოვიდოდა და იმ კომპანიის მუშაობაც იქ დასრულდებოდა. უფრო მეტიც, თურქი თანამშრომლები გააპროტესტებდნენ, მაგრამ აქ ასე ვერ და არ მოიქცევიან, რადგან ასეთ შემთხვევაში სამსახურიდან გაათავისუფლებენ და უმუშევრად დარჩენა კი... შიმშლის შიშით დაჩმორებულ-დაბეჩავებულებად ვიქეცით, უმუშევრად დარჩენის შიშით ბევრი იტანს იმას, რაც არ და ვერ უნდა აიტანოს, მაგრამ სხვა გზა არ აქვს, რადგან 2-3 წლის ბავშვს ვერ აუხსნი, რატომ ვერ ჭამს დილით ფაფას და სიცხეში რატომ ვერ ყიდულობს მშობელი ნაყინს.

**26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს ვზეიმობთ...**

რატომღაც გვგონია, რომ ამ დღეს **კელი დეგნანიცა** და **შარლ მიშელიც** ხმამაღლა გაიცინებენ, რადგან რომელ დამოუკიდებლობაზეა საუბარი, როცა, იმავე მიშელის დოკუმენტის ერთ სიტყვას გადაბრუნებულად რომ იტყვის რომელიმე ქართველი პოლიტიკოსი, მაშინვე კრიტიკის ნიაღვარი მოდის დასავლეთიდან, დოკუმენტს არ გადაუხვიოთო. დასავლეთმა ქართველ პოლიტიკოსებს სამუშაო დოკუმენტი კი არ მიაწოდა, არამედ დაუდო მუხლობრივად გაწერილი გეგმა, რომელსაც ზედმიწევნით უნდა მიჰყვნენ ქართველი პოლიტიკოსები და თავიანთი აზრის გამოთქმის უფლება არ აქვთ. დაახლოებით ისეა, სკოლაში ბავშვებს საზეპიროებს რომ მისცემენ და საკუთარი მოსაზრების თქმის უფლება რომ არ აქვთ. სამაგიეროდ, ქართველი პოლიტიკოსებიდან ერთსაც არ გასჩენია კითხვა — თუ ასეთი ჭკვიანები არიან ამერიკა-ევროპაში, ამდენი ხნის განმვლობაში, რატომ ვერ მოახერხეს და ვერ დაწერეს გეგმა, რომლის განხორციელების შემთხვევაში, მოსახელება, რიგითი ადამიანები იგრძნობდნენ შვებას? ეკონომიკურად დავეწეოდით ისეთ ქვეყნებს მაინც, როგორებიც არიან პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი. ჩვენ ვსვამთ ამ კითხვას და პასუხიც გვაქვს — **ასეთ შემთხვევაში, მოსახლეობას სხვა რამეზე ფიქრის დრო გაუჩნდება და მიხვდება, რომ ქვეყანაში ბევრი რამ არის შესაცვლელი, სხვაგვარ თარგზე მოსაჭრელი და სწორედ ეს გამოფხიზლება არ აძლევთ ხელს.**

**რატომღაც გვგონია, რომ ამ დღეს კელი დეგნანიცა და შარლ მიშელიც ხმამაღლა გაიცინებენ, რადგან რომელ დამოუკიდებლობაზეა საუბარი, როცა, იმავე მიშელის დოკუმენტის ერთ სიტყვას გადაბრუნებულად თუ იტყვის რომელიმე ქართველი პოლიტიკოსი, მაშინვე კრიტიკის ნიაღვარი მოდის დასავლეთიდან, დოკუმენტს არ გადაუხვიოთო**



აქამდე გვაძლევდნენ ზუსტად იმდენს, რამდენიც არსებობისთვის იყო საჭირო, ახლა კი არსებობაც გაჭირდა, მაგრამ ყურს მაინც არავინ იბერტყავს პრინციპით — ამასაც აიტანენ.

**26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს ვზეიმობთ...**

პრეზიდიუმში, დაბანილ-დავარცხნილი პოლიტიკოსების ნახვა ხალხს უფრო გააბრაზებს. იმ დეპუტატების დანახვა, რომლებიც კულუარებში უკვე ხმამაღლა გამოთქვამენ უკმაყოფილებას, რომ ხელფასი არ ჰყოფნით და დღევანდელი კურსით, მათი ჯამაგირი ათას დოლარზე ოდნავ მეტია. ჰო, **„ხალხის რჩეულებს“ თვეში 3600 ლარი არ ჰყოფნით და ეს მაშინ, როცა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ამ თანხის მეათედიც არ აქვს, ხოლო პენსიონერებს... პენსიონერები როგორ არსებობენ, ცალკე საუბრის თემაა. ის დეპუტატი, რომელიც ამბობს, რომ არ ჰყოფნის ათასზე ოდნავ მეტი დოლარი, არ ფიქრობს იმაზე, როგორ ჰყოფნის პენსიონერს... 70 დოლარზე ნაკლები.** ამაზე არც ევროპელი მეგობრები ფიქრობენ და არც ამერიკელი. არაფერს ამბობენ იმაზე, რომ პენსია საქართველოში ევროპის მასშტაბით ყველაზე მცირეა. მათივე დაანგარიშებით, თუ ადამიანს დღეში 3 დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს, ღატაკად ითვლება და შიმშილისთვის არის განწირული. მათ იციან, ოფიციალურად იციან, რომ 600 ათასზე მეტი პენსიონერი შიმშილისთვის არის განწირული და არაფერს აკეთებენ. სოციალურად დაუცველთა რაოდენობა ყოველდღიურად რომ იმატებს, ცალკე პრობლემაა. სამწუხაროდ, სახელმწიფო მათთვისაც ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი დახმარების მიწოდებას და **საბოლოოდ ისე გამოდის, რომ ორ მილიონზე მეტი ადამიანი საქართველოში არათუ შიმშილობს, სასწაულია, რომ ცოცხალია.**

**26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს ვზეიმობთ...**

დარწმუნებით შეგვიძლია გითხრათ, რომ სხვადასხვა საწარმოების თანამშრომლები კვლავ გამოვლენ ქუჩაში, რადგან საქსტატის მიერ გავრცელებული ცნობა, რომ საქართველოში საშუალო ხელფასი ათას ლარზე მეტია, სიმართლეს არ შეესაბამება. **ეს მონაცემი მაღალჩინოსნების ხარჯზეა გაზრდილი: თუ, მაგალითად, დისტრიბუტორი 600 ლარს იღებს და სემეკის თავმჯდომარე დავით ნარმანია 25 ათასს, საშუალო არითმეტიკულით გამოდის, რომ თითოეული 12 800 ლარს იღებს, რეალურად კი ერთის ჯამაგირია 600 ლარი, მეორის — 25 ათასი. სამაგიეროდ, დასავლელი პარტნიორები ხედავენ ამ ციფრებს და, როცა საქმე საქმეზე მიდგება, სწორედ ამ ციფრებით ხელმძღვანელობენ.** ისე არ გაიგოთ, თითქოს მათ სიმართლე არ იციან, პირიქით, ყველაფერი იმაზე უკეთ იციან, ვიდრე ქართველმა პოლიტიკოსებმა, რადგან მათ დღის წესრიგს სწორედ ევროპა და ამერიკა უდგენს, მაგრამ ამის შესახებ ხმამაღლა საუბარი ხელს არ აძლევთ, არ არის მომგებიანი. **ევროპელი ელჩები კარგად ხედავენ ნაგვის ურნებში გადაყუდებულ მოქალაქეებს, მაგრამ ეს არ აღელვებთ, თუნდაც მთელი ქვეყანა გადაეყუდოს. მათთვის მთავარია, მმართველი რგოლი არ გაექცეთ ხელიდან და, როცა ქართველმა პოლიტიკოსებმა ეს სცადეს, მაშინვე უმკაცრესად ჩაერივნენ, ყური აუწიეს, დასავლურ ბანკებში ანგარიშების გაყინვით დაემუქრნენ და შედეგიც მიიღეს.**

**26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს ვზეიმობთ...**

როგორც გვითხრეს, აღლუმზე ერთ-ერთი მთავარი აქტი სხვადასხვა მისიებიდან დაბრუნებული ქართველი ჯარისკაცების გამოჩენა იქნება. **სტრატეგიული პარტნიორების ხათრით, ჩვენს ბიჭებს სხვის ომში ვუშვებთ და მერე რა, რომ ავღანეთი თუ ცენტრალური აფრიკა ჩვენი პრობლემა არ არის. ისინი უფრთხილდებიან საკუთარ ახალგაზრდებს, ჩვენ — არა, თანაც სიცოცხლის ფასად ჩვენი ბიჭები სოლიდურ ჯამაგირსაც იღებენ.** სწორედ ეს არის მთავარი ფაქტორი, თორემ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჯარისკაცთა უმრავლესობას ნაკლებად აინტერესებს, ცენტრალურ აფრიკაში რა მოხდება ან როდის დასრულდება ავღანეთში უსაშველოდ გაწელილი ომი. არ არის ეს ჩვენი ომი, არ არის ეს ჩვენი ბრძოლა, მაგრამ იხდიან და იმის გამო, რომ ოჯახში ჯარისკაცებს მოხუცი მშობლები, ცოლ-შვილი და დედმამიშვილები ელიან, რომელთაც სხვა შემოსავალი არ აქვთ, თავს არ ზოგავენ.

**26 მაისს დამოუკიდებლობის დღეს ვზეიმობთ...**

ბატონებო, საქართველოს ჰიმნი, იცით, რომელი სიტყვებით სრულდება? „დიდება თავისუფლებას... თავისუფლებას დიდება!“

**აბა, თავისუფლება?!**

**ბესო ბარბაქაძე**

**რუსეთი ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ანტიკოვიდური ოთხი ვაქცინა შექმნა: სამი – ადამიანებისთვის, ერთიც — ცხოველებისთვის. რუსული „სპუტნიკი“ მსოფლიოს 65 ქვეყანაში აღიარეს და ყველაზე მთავარი: რუსეთი რიგ შემთხვევებში არა მხოლოდ უსასყიდლოდ აძლევს „სპუტნიკს“ სხვა ქვეყნებს, არამედ მოთხოვნის შემთხვევაში ყველა მსურველს ეხმარება ვაქცინის წარმოების აწყობაში და ასეთი უკვე დაახლოებით 10 ქვეყანაა მსოფლიოში... საქართველოც არ იქნებოდა გამონაკლისი, პოლიტიკური ნება რომ არსებობდეს და მთავრობა ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე რომ მოქმედებდეს და არა ევროპა-ამერიკისთვის კუდის ქიცინის პრინციპით.**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში ასეა — ვირუსზე აცრა თუ გსურს, ჯერ ინტერნეტით უნდა დარეგისტრირდე, შემდეგ უნდა აიცრა, შემდეგ მეორედ უნდა დარეგისტრირდე და ისევ აიცრა. საინტერესოა, რომ ყველა მუნიციპალიტეტში აცრა შეუძლებელია — ადგილები არ არის და ამიტომ თბილისელმა, შესაძლოა, პირველი აცრა გორში ჩაიტაროს, მეორე — ხაშურში ან მცხეთაში, ე.ი. იქ, სადაც თავისუფალ ადგილს ნახავს.**

# სანამ იდიოტიზმს ხელოვნების დონეზე ავიყვანთ



**ხელისუფლების წარმომადგენლებმაც და ოპოზიციამაც კარგად იციან, რომ ტურისტები ყველაზე მეტი ოდენობით წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდშიც და ახლაც რუსეთიდან შემოდიოდნენ და შემოდიან. კარგად იციან, რომ სოფლის მეურნეობის ყველაზე მეტი პროდუქტი სწორედ რუსეთში იყიდება; წლებია, პურისთვის საჭირო ხორბალს ასი პროცენტით რუსეთიდან ვყიდულობთ; ენერგომატარებლების უდიდესი წილი რუსეთზე მოდის და ამის შესახებ ხმამაღლა ვერ საუბრობენ. ჰო, ეშინიათ თუნდაც ციფრების დასახელების, რადგან ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, მოსახლეობამ სხვანაირად დაიწყოს ფიქრი**

ვაქცინის არასაკმარისი ოდენობის გამო რეგისტრაცია დროებით შეჩერებულია. იმედი გვაქვს, რომ დასავლეთი ან ჩინეთი გაიღებს მოწყალებას და ვაქცინის მორიგ დოზას დროულად მოგვაწვდის. სხვათა შორის, როცა ჯანდაცვის მინისტრს აღნიშნული პრობლემის შესახებ უთხრეს, მან პირდაპირ თქვა: კარგია, რომ ყველგან იცრებიან, ეს აცრის პოპულარიზაციას უწყობს ხელსო. ოფიციალურად აცრა უფასოა, მაგრამ ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობა რა ხარჯებთან არის დაკავშირებული, ალბათ, არ იცის მინისტრმა, რადგან მას სახელმწიფოს ავტომობილი ემსახურება სახელმწიფოსვე საწვავით, რომელსაც მისთვის ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადებიდან ყიდულობენ. ისე, რადგან გადასახადები ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ მიმდინარე წლის ოთხ თვეში ბიუჯეტში ჩვენი გადასახადებიდან 3 მილიარდ ლარზე მეტი შევიდა. ეს ისე, ინფორმაციისთვის. „ფაიზერზე“ დარეგისტრირებული მოქალაქეების უმრავლესობა ჯერჯერობით ვერ აიცრა, რადგან ვაქცინა არ გვაქვს და, რაც მთავარია, ამ ვაქცინის შესანახი სპეციალური მაცივრები მხოლოდ 5 ქალაქშია. არადა, არის ქვეყნები, რომლებშიც 24-საათიან რეჟიმში შეგიძლია მისვლა და აცრა, თანაც ყოველგვარი წინასწარი რეგისტრაციის გარეშე. ამ ქვეყნების ხელისუფლებებმა გაითვალისწინეს, რომ სოფლებში, შესაძლოა, ინტერნეტზე წვდომა არ იყოს, შეიძლება ასაკიანი ხალხი ვერ დარეგისტრირდეს, ამიტომ ეს ყველაფერი განზე გადადეს და აცრა მოქალაქეების ინტერესს მოარგეს. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა რუსეთია. **რუსეთი ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ანტიკოვიდური ოთხი ვაქცინა შექმნა: სამი — ადამიანებისთვის, ერთიც — ცხოველებისთვის.** რუსული „სპუტნიკი“ მსოფლიოს 65 ქვეყანაში აღიარეს და ყველაზე მთავარი: **რუსეთი რიგ შემთხვევებში არა მხოლოდ უსასყიდლოდ აძლევს „სპუტნიკს“ სხვა ქვეყნებს, არამედ მოთხოვნის შემთხვევაში ყველა მსურველს ეხმარება ვაქცინის წარმოების აწყობაში და ასეთი უკვე დაახლოებით 10 ქვეყანაა მსოფლიოში.** რაც შეეხება ვაქცინაციას, რუსეთი ერთ–ერთი პირველია აცრის ტემპებისა და მასობრივობის მიხედვით. აქ ათი მილიონი ადამიანი უკვე აცრილია, თხუთმეტმა მილიონმა კი პირველი დოზა უკვე გაიკეთა და მეორეს ელოდება. რეალურად, იგივე იქნებოდა ჩვენთანაც, **საქართველოც არ იქნებოდა გამონაკლისი, პოლიტიკური ნება რომ არსებობდეს და მთავრობა ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე რომ მოქმედებდეს და არა ევროპა-ამერიკისთვის კუდის ქიცინის პრინციპით.** ხომ საინტერესოა, ეს ყველაფერი რატომ მოვყევით?

„რუსეთთან თუ გაიხსნა საზღვრები, ის ერთ-ერთი ცნობილი ქვეყანაა ანტივაქსერული და ვირუსის არასწორი მენეჯმენტით. ის ხალხი ჩამოვა და ვირუსის გავრცელების თვალსაზრისით საშიშროება იქნება. ჩვენ არ უნდა მოვექცეთ კასტაში, სადაც უპასუხისმგებლო ქვეყნები, კოვიდის არმომვლელი ქვეყნები ერთმანეთში დადიან და ტურიზმით ამაყობენ. ეს არის პანაცეა, რადგან იმით, როგორი აცრილი ხარ და როგორ იქცევი, ფასდება ქვეყანა, ე.ი., კულტურული ხარ და ფიქრობ შენზეც და სხვაზეც. თუ ამას არ აკეთებ ე.ი., უკულტურო ხარ და არც შენს თავზე და არც სხვაზე არ ფიქრობ — ძალიან მარტივი ფორმულაა და ასეთივე უკულტურო ტიპი ჩამოვა“, — ეს განცხადება „კავკასუს თრეველის“ ხელმძღვანელმა **საბა კიკნაძემ** გააკეთა.

ბოლო მონაცემებით, **აჭარის რეგიონში ტურისტების მატება შეინიშნება. უფრო მეტიც, როგორც ადგილობრივები ამბობენ, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, ტურისტების ოდენობა ლამის ასჯერ არის გაზრდილი და ამის შესახებ განცხადება ტურიზმის სააგენტომაც გააკეთა. მაგრამ, ადგილობრივებისგან განსხვავებით, ტურიზმის სააგენტოს არ უთქვამს, რომ ტურისტების 95%-ზე მეტი რუსეთის მოქალაქეა. სერიოზული ეჭვი გვაქვს, ეს განცხადება შეგნებულად არის გაკეთებული საიმისოდ, რომ რუსეთთან სახმელეთო საზღვარი ჩაიკეტოს სწორედ პანდემიის სახელით და იქიდან ტურისტები აღარ შემოვიდნენ.** ასეთ შემთხვევაში ორი რამ მოხდება — ადგილობრივი მოსახლეობა კვლავ შემოსავლის გარეშე დარჩება, ხოლო დასავლეთს კოჭს გავუგორებთ — აგერ, თქვენკენ ვართ, რუსი ტურისტადაც კი არ გვჭირდებაო. არადა, **რუსი ტურისტები სეზონზე მილიარდ დოლარზე მეტს ტოვებდნენ საქართველოში და ვაღიაროთ, სწორედ ტურიზმზე იდგა ქართული ეკონომიკა. ეს მილიარდი მოსახლეობაში, მასებში ნაწილდებოდა; ის 84 მილიონი კი, რომელიც დასავლეთმა სახელმწიფოს 4 წელზე გადაგვინაწილა, რამდენიმე ადამიანს შორის „გატყდება“.**

იცით, რა არის საინტერესო? ხელისუფლების წარმომადგენლებმაც და ოპოზიციამაც კარგად იციან, რომ ტურისტები ყველაზე მეტი ოდენობით წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდშიც და ახლაც რუსეთიდან შემოდიოდნენ და შემოდიან. კარგად იციან, რომ სოფლის მეურნეობის ყველაზე მეტი პროდუქტი სწორედ რუსეთში იყიდება, წლებია, პურისთვის საჭირო ხორბალს ასი პროცენტით რუსეთიდან ვყიდულობთ, ენერგომატარებლების უდიდესი წილი რუსეთზე მოდის და ამის შესახებ ხმამაღლა ვერ საუბრობენ. ჰო, ეშინიათ თუნდაც ციფრების დასახელების, რადგან ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, მოსახლეობამ სხვანაირად დაიწყოს ფიქრი. ეს ციფრები ქართველებზე უკეთ იციან დასავლელმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა, მაგრამ ხმამაღლა ისინიც არაფერს ამბობენ, რადგან მერე ველარ გამოჩნდებიან ვერც სტრატეგიულ პარტნიორებად და ვერც მეგობარ ქვეყნებად. ევროპას თავი რომ დავანებოთ, ამერიკის შეერთებულ შტატებს უმარტივესად შეუძლია, ნებისმიერი ქართული პროდუქცია არათუ სრულად შეისყიდოს, არამედ ერთ კვირაში, უბრალოდ, გადაყლაპოს, მაგრამ საამისოდ ადგილობრივი დიდი კომპანიები უნდა შეწუხდნენ (სწორედ შეწუხდნენ და არ იზარალონ) და მათ არავინ შეაწუხებს საქართველოს გამო. რა საჭიროა? აგერ არის „ბულკივით“ საქართველო, რომლის ეკონომიკა მთლიანად რუსეთზეა ჩამოკიდებული და დასავლეთის ხელის ერთ აქნევაზე პოლიტიკოსები რიგს აყენებენ, რუსეთი რომ ლანძღონ. საბა კიკნაძის განცხადებაც არ არის გასაკვირი. დავიწყოთ იმით, რომ მისი სიტყვები პოლიტიკოსებს მოეწონებოდათ, ტაშსაც დაუკრავდნენ. ბატონ საბას კი ყველზე ნაკლებად სწორედ რუსი ტურისტების შემოდინება ხიბლავს. მოგეხსენებათ, ჩრდილოელ მეზობელთან ფრენები გაუქმებული გვაქვს და ისინი მხოლოდ სახმელეთ საზღვრით ახერხებენ საქართველოში შემოსვლას. **„კავკასუს თრეველს“ ამით ხეირი არ აქვს, ანუ არანაირი შემოსავალი, ამიტომ აზრი არ აქვს რუსი ტურისტების ოდენობას, მათთვის შემოსავალი ნულია. ამიტომ ერთი გასროლით ორი კურდღლის დაჭერის მცდელობას ჰგავს ეს განცხადება — პოლიტიკოსებს ასიამოვნებენ და, თუ რუსი ტურისტები არ იქნებიან, სასტუმროს მეპატრონეები სხვა ტურისტებზე ნამდვილ ნადირობას დაიწყებენ, ფასებს დაწევენ და „კავკასუს თრეველს“ კიდევ ძვირად გაყიდული პაკეტი, უბრალოდ, შერჩება.**

სანამ ამ განცხადებას გააკეთებდა ბატონი საბა, იმას თუ დააკვირდა, რომ აჭარის რეგიონში ინფიცირებულთა რაოდენობის საგრძნობი კლებაა. რა გამოდის? თურმე დაავადებული რუსი ტურისტები შემოდიან, ვირუსის გავრცელებას უწყობენ ხელს და ამ დროს გავრცელების მიმართულებით რეგიონში კლება გვაქვს?! ცოტა ალოგიკური ხომ არ არის ეს ყველაფერი? არც სომხეთია კარგ დღეში, მაგრამ ძალიან მალე სომეხი ტურისტებიც დაიძრებიან შავი ზღვისკენ და, ვეჭვობთ, ბატონი საბა საზღვრის დაკეტვას იქაც მოითხოვს, რადგან სომეხთა უმრავლესობაც სწორედ სახმელეთო საზღვრით ამჯობინებს შემოსვლას.

**სანამ იდიოტიზმს ხელოვნების დონეზე ავიყვანთ, ხომ არ აჯობებს, არათუ ტურისტებს, არამედ ადგილობრივ მოსახლეობასაც ცოტა მეტი შესაძლებლობები მივცეთ?!** არ ვამბობთ იმას, რომ რეგულაციები უნდა დაირღვეს, მაგრამ კომენდანტის საათი 23.00-დან 05.00-მდე რომ მოქმედებს, სასაცილოდ ჩანს? ღამით, მხოლოდ 6 საათით აკრძალვების შემოღება კოვიდვითარებას დიდად არ შეცვლის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვგონია ასე და, საეჭვოა, ვცდებოდეთ. კომენდანტის საათის გაუქმება, უწინარესად, სწორედ ტურიზმს წაადგება და ისიც ვთქვათ, რომ ტურისტები რეგულაციებს ყველაზე მეტად იცავენ, რადგან არავის სურს, დასვენებისთვის განკუთვნილი დღეები საავადმყოფოში აპარატზე შეერთებულმა გაატაროს, თანაც უცხო ქვეყანაში. მანამდე კი ურიგო არ იქნება, თუ ქართველი პოლიტიკოსები — ოპოზიციაც და ხელისუფლებაც, აღიარებენ, რა არის კარგი და რა — ცუდი. აკეთებს კარგ რამეს ევროპა და ამერიკა — კი ბატონო, ვიყვიროთ და გავაგებინოთ ყველას, მაგრამ ასევე მოვიქცეთ ნებისმიერი სხვა ქვეყნის შემთხვევაშიც და მხოლოდ ციფრები არ დავასახელოთ. 10 ბოთლი ღვინო რომ გაიყიდება ამერიკის რომელიმე შტატში, ლამის კონგრესს მადლობის წერილი გავუგზავნოთ; მაგრამ, ასი მილიონი დოლარის ალკოჰოლური სასმელი რომ გადის რუსეთში, ჩუმად ვართ, ვითომ არაფერი მომხდარა. **არ გამოვა ასე, არ წაადგება ეს ერსა და ბერს, თორემ აგერ თქვენ და აგერ ჩვენ.**

**ბესო ბარბაქაძე**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რომელ სამართლიანობაზე ვსაუბრობთ, როცა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კასრებით გაჰქონდათ და ვერ გაიტანეს სააკაშვილის რეჟიმის მიერ წლების განმავლობაში ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის პირდაპირი მტკიცებულებები და ეს რეჟიმი დღემდე გაუსამართლებელია, უფრო სწორად, არათუ გაუსამართლებელია, პოლიტიკურ დღის წესრიგს ქმნის“.**



## ნანა კაკაბაძე:

# არ მგონია, რომ ეს ანგარიში «ფრიდომ ჰაუსში» შეადგინეს, ის ნაციონალებისა თუ «თავისუფლების ინსტიტუტის» დაწერილ «ანგარიშს» უფრო ჰგავს

**საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ მიერ მსოფლიოში დემოკრატიის მხრივ არსებულ მდგომარეობაზე გამოყენებულ ვრცელ ანგარიშს თუ დავუჯერებთ, ბოლო პერიოდში საქართველოში დემოკრატიულობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა. კვლევის თანახმად, 2021 წელს ქვეყანას ამ თვალსაზრისით 100%-დან მხოლოდ 36,3% აქვს, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 1,2%-ით ნაკლებია. საქართველო 7-ქულიან სკალაზე 3,18 ქულითაა შეფასებული, თუმცა სამომავლო პროგნოზი პესიმისტურია.**

## «ეს ქვეყანა თავზე რომ ჩამოგვენგრევა და ჩამოგვემხობა, კარლ ჰარცელი მოგვხედავს თუ კელი დეგნანს დავუწყებთ ძებნას? ვინ იქნება პასუხისმგებელი იმ უმძიმეს შედეგზე, რომელსაც ეს სისტემა ძალიან მალე მოიტანს?»

რაც შეეხება მიზეზებსა და კონკრეტულ გარემოებებს, რომლებმაც თურმე „მშვენიერე ქართული დემოკრატიის“ მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, ანგარიშის თანახმად, ამ ყველაფრის მიზეზი „პოლიტიკისა და მედიის პოლარიზაციაა“. ლიბერალური მედია, რომელიც დღეს საზოგადოების უმრავლესობის ინტერესებს უპირისპირდება, მათ შორის ეკლესიისა და ტრადიციული ღირებულებების უსაფუძვლო კრიტიკით, თურმე საკმარისად თავისუფალი არ არის, ხოლო პარლამენტზე შტურმის მომწყობი „ნაციონალური მოძრაობის“ გარშემო შეკრული ე.წ. პროდასავლური ოპოზიცია, რომელსაც, მიუხედავად ურეიტინგობისა, მმართველი გუნდი დიალოგსა და პარლამენტში შესვლას სთავაზობს (პრაქტიკულად, ეხვეწება), პოლიტიკური დევნის მსხვერპლია... კვლევაში ასევე ხაზგასმულია, რომ ქვეყანაში მძიმე მდგომარეობაა რწმენის თავისუფლების კუთხით, სხვადასხვა უმცირესობის დაცულობის თვალსაზრისით და ა.შ.

**ცნობისთვის:** „ფრიდომ ჰაუსმა“ საქართველოზე კრიტიკული ანგარიში მიმდინარე წლის მარტშიც გამოაქვეყნა, რომელშიც ასევე ხაზგასმული იყო, რომ ქართულმა დემოკრატიამ ბოლო წლებში რეგრესი განიცადა. ამ ანგარიშშიც, მსგავსად ბოლო ანგარიშისა, საუბარი იყო პოლიტიკურ პოლარიზაციაზე, რომელიც, ძირითადად, „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი განაყოფების „დევნას“ გულისხმობდა და საუბარი იყო „ლიბერალური“ მედიისთვის „კიდევ უფრო თავისუფალი მედიაგარემოს“ შექმნაზე...

**რაში ვლინდება დღეს დემოკრატიის რეგრესი საქართველოში, რა არის პოლიტიკური სისტემის უმთავრესი ხარვეზი და შეესაბამება თუ არა ქვეყანაში შექმნილ ვითარებას საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე.**

**— ქალბატონო ნანა, „ფრიდომ ჰაუსის“ მიერ გამოქვეყნებული ვრცელი ანგარიშის თანახმად, დღეს საქართველოში დემოკრატიის რეგრესია, რომელიც, უწინარესად, თურმე მედიისა და პოლიტიკის პოლარიზაციაში გამოიხატება. მარტივად რომ ვთქვათ, ლიბერალური მედია საკმარისად თავისუფალი არ ყოფილა, ხოლო ე.წ. პროდასავლურ ოპოზიციას დევნნიან. თქვენი აზრით, რომელი გარემოებები ცხადყოფს, რომ დღეს საქართველოში დემოკრატია და დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები დარღვეულია?**

— ცოტა სხვანაირად დავიწყოთ პასუხი ამ შეკითხვაზე. წლების წინათ, როცა ჩვენ ვმუშაობდით სხვადასხვა საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებთან, მათ კონკრეტულ ინფორმაციას ვაწვდიდით. მაგალითად, **იქ, სადაც საუბარი იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობაზე, ვაწვდიდით კონკრეტული მსჯავრდებულებისგან, და არა მხოლოდ, მიღებულ დაზუსტებულ ცნობებს. აი, მერე უკვე, როცა ეს ორგანიზაციები აქვეყნებდნენ დასკვნებს, იქვე უთითებდნენ, რა ინფორმაციას ეყრდნობოდნენ ისინი. ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა.** აქედან გამომდინარე, ძალიან მაინტერესებს, **რას ეყრდნობა „ფრიდომ ჰაუსის“ დასკვნები, რომლებიც მედიის ან იმავე დემოკრატიის მდგომარეობის შესახებ გაკეთდა.** მე ვერ ვნახე ამ ანგარიშში წყაროები და კონკრეტიკა, ამიტომ ბუნებრივია, ჩნდება ეჭვები, რომ მაღალპროფესიონალურ დონეზე მომზადებულ ანგარიშთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ პოლიტიზებულ დოკუმენტთან, რომლის მიღმაც კონკრეტული ძალები დგანან....

**— ვის გულისხმობთ? ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს დასკვნაც დაახლოებით იმავე რიტორიკის მქონეა, რომლითაც ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსი, მაგალითად, ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლები ცდილობენ, ე.წ. პროდასავლური ოპოზიცია პოლიტიკური დევნის მსხვერპლად გამოაცხადონ?**

— ზუსტად ამის თქმა მინდა. არ მგონია, რომ ეს ანგარიში „ფრიდომ ჰაუსში“ დაწერეს, ის „ნაციონალებისა“ თუ „თავისუფლების ინსტიტუტის“ დაწერილ „ანგარიშს“ უფრო ჰგავს.

**— გამოდის, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ საერთაშორისო მასშტაბებით იმხელა გავლენა აქვს, შეუძლია, „ფრიდომ ჰაუსის“ დონის ორგანიზაციას თავისი პოლიტიკური ინტერესების შესაბამისი ანგარიში მოამზადებინოს?**

— ცხადია, მათ ჰყავთ სერიოზული ლობისტები და ეს არ არის ახალი ამბავი. იქ, სადაც ევროკავშირი **ნიკა მელიას** გირაოს უხდის და მერაბიშვილ-უგულავას, ფაქტობრივად, პოლიტიკური დევნის მსხვერპლად რაცხავს, ეს რატომ გიკვირთ?! სხვათა შორის, დღეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს გასაშავებლად ყველაზე აქტიურობს „ნაცმოძრაობის“ გაქცეული ფრთა — ის ადამიანები, რომლებიც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქვეყნიდან გაიქცნენ და მართლმსაჯულებას დაემალნენ. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა „ფრიდომ ჰაუსის“ მსგავსმა გავლენიანმა ორგანიზაციებმა ხშირად გამოაქვეყნონ საქართველოში დემოკრატიის მაჩვენებლების დაცემის ან არარსებობის შესახებ ანგარიშები. რაც შეეხება რეალურ მდგომარეობას, ცხადია, ვერავინ დადებს თავს იმაზე, რომ დღეს საქართველოში მაღალი დონის დემოკრატიაა, ასე ნამდვილად არ არის, მაგრამ გააჩნია, რას მივიჩნევთ ამის გამოვლინებად. ჩემთვის, მაგალითად, როგორც უფლებადამცველისთვის, ამის პირდაპირი გამოვლინებაა სამართლიანობის არ არსებობა, ე.ი., ის, რომ დარღვეულია სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტური პრინციპი და არ არსებობს სამართლიანობა. **რომელ სამართლიანობაზე ვსაუბრობთ, როცა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კასრებით გაჰქონდათ და ვერ გაიტანეს სააკაშვილის რეჟიმის მიერ წლების განმავლობაში ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის პირდაპირი მტკიცებულებები და ეს რეჟიმი დღემდე გაუსამართლებელია, უფრო სწორად, არათუ გაუსამართლებელია, პოლიტიკურ დღის წესრიგს ქმნის;** რომელ სამართლიანობაზე ვსაუბრობთ, როცა ქონება ჩამოართვეს ადამიანებს, ბიზნესები წაართვეს და დღემდე ეს საქმეები თაროებზეა შემოდებული. არაფერს ვამბობ მკვლელობებზე, დარბევებზე მშვიდობიანი დემონსტრაციების, არაფერს ვამბობ წამებებზე, არაადამიანურ მოპყრობაზე ციხეებში, რაც ყოველდღიურ მოვლენად იყო ქცეული... აი, ამ ყველაფერზე რომ არავინ დასჯილა, ეს არის დემოკრატიის არარსებობა. **რაც შეეხება იმას, რომ საქართველოში მედია, თურმე, საკმარისად თავისუფალი არ არის, აბსურდი და ცინიზმია ესეც, იმიტომ, რომ, ის, რასაც დღეს ე.წ. ლიბერალური მედია აკეთებს ყოველდღიურ რეჟიმში, არათუ თავისუფლების ფარგლებში არ ჯდება, ეს არის პირდაპირ დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ.** გვარამიას ტელევიზიაა ამის ნათელი მაგალითი. დანაშაულია, აბა, რა არის ის მიზანმიმართული პროვოკაციები, რომლებსაც ისინი პერმანენტულად აწყობენ საპატრიარქოსთან, სასულიერო პირების მიმართ და არა მხოლოდ. და რას ნიშნავს მათთვის მეტი თავისუფლება — კიდევ უფრო თავისუფლად რომ შეეძლოთ ტაძრებში მივარდნა, კიდევ უფრო თამამად რომ შეანგრიონ ეპარქიებში კარი და შეუვარდნენ სასულიერო პირებს?!

**— საზოგადოების განწყობაზე როგორ აისახება „ფრიდომ ჰაუსის“ მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მსგავსი დოკუმენტები? ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს კიდევ უფრო აძლიერებს მოსახლეობის ანტიდასავლურ განწყობებს?**

— კარგა ხანია, საზოგადოებამ დაინახა, რომ რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებისა, რომლებსაც 10-15 წლის წინათ უფრო მეტად ჰქონდათ მსოფლიოში დემოკრატიისა და დემოკრატიული ღირებულებების იმპლემენტატორების იმიჯი, დღეს ამ ყველაფერთან არაფერი აქვთ საერთო. ეს მათ მოახერხეს სწორედ მიკერძოებულობით, არაპროფესიონალიზმით და, რაც მთავარია, ორმაგი სტანდარტით, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ მათ მათთვის მიუღებელი იდეოლოგიური მხარისა თუ დღის წესრიგისადმი სხვა მიდგომები აქვთ და მათთვის მისაღები ფლაგის მიმართ (ლიბერალურ ძალებს ვგულისხმობ) — სხვა. აი, ამის შედეგია ის, რომ დღეს მსოფლიოში ანტილიბერალური მოძრაობები გეომეტრიული პროგრესით იზრდება. **ანტილიბერალური მოძრაობების უმთავრესი წყარო დღეს თვით ლიბერალიზმია. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენ შემთხვევაში მათ უკვე „მიაღწიეს“ იმას, რომ საზოგადოებას შეაძულეს დასავლეთი და დასავლური დემოკრატია, რომელიც გაიგივებულია ყველაზე მანკიერ, მარგინალურ ცნებებთან, ამიტომაც არის დღეს ამხელა სკეპტიციზმი დასავლური კურსისადმი;** ასე რომ, ოდნავ მაინც გონიერება თუ შერჩენიათ, ევროპის საბჭომ, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ უნდა მოუწოდონ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ნუ აქვეყნებენ ასეთი თეთრი ძაფით ნაკერ ტყუილებს.

**— გაქვთ იმედი, რომ ისინი ამ მიდგომებს გადახედავენ?**

— თუ არ გადახედავენ, ძალიან მარტივად დაკარგავენ საქართველოს, თუმცა ავტორიტეტი საზოგადოების თვალში უკვე დაკარგული აქვთ. მეტსაც გეტყვით, **დღეს რეფერენდუმი რომ ჩატარდეს იმის გასარკვევად, ვინ რა პოლიტიკურ ორიენტაციას ენდობა, დარწმუნებული ვარ, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სრულ უნდობლობას გამოხატავს დასავლეთისადმი.** აი, ეს გამოიწვიეს ამ **„ფრიდომ ჰაუს“**-ებმა „ნაცმოძრაობასთან“ ერთად და, **თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შეგულიანებული „ნაცმოძრაობა“ ახლო მომავალში გაქრება პოლიტიკური სივრციდან, ძალიან ცდება. ეს არის პარტია, რომლის თავკაცებსაც აერთიანებთ კრიმინალი და კრიმინალი საერთოდ ყველაზე მეტად ადუღაბებს ადამიანებს.** ეს ერთი და მეორე — ყველაფერთან ერთად მათ ეშინიათ პოლიტიკიდან წასვლის, იმიტომ, რომ პოლიტიკა მათი უსაფრთხოების ერთადერთი გარანტიაა, ამიტომაც იბრძვიან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და ასეც გაგრძელდება. სხვათა შორის, ამ ხელისუფლებამ მიმდინარე და უკვე განხორციელებული საარჩევნო ცვლილებებით პირდაპირ ჩააბარა ძალაუფლების ბერკეტები ნაციონალებს...

**— რას გულისხმობთ?**

— რას და, ცხადია, არავის სჯერა, რომ პროპორციული არჩევნებით შექმნილი მთავრობა რამდენიმე თვეზე მეტ ხანს იარსებებს. რა თქმა უნდა, ესენი დაჭამენ ერთმანეთს და მთავრობა დაიშლება, რასაც მოჰყვება ხელახალი არჩევნები. აი, ეს არის რეალობა და ქვეყანა მუდმივად უნდა იყოს საარჩევნო რეჟიმში. გაუძლებს თუ ვერა ამას სახელმწიფო, არავის აინტერესებს. ეს ყველაფერი არის ქვეყნის დასანგრევად მოფიქრებული. სხვათა შორის, **„ფრიდომ ჰაუსი“ მედიის თავისუფლებაზე რომ წერს, არც ერთი მედიასაშუალება დღეს ამ მავნებლურ საარჩევნო სისტემაზე არ ლაპარაკობს. რატომ, იცით? იმიტომ, რომ ეს არ არის მათი ლობისტების ინტერესში.** ისე, ძალიან მაინტერესებს, ეს ქვეყანა თავზე რომ ჩამოგვენგრევა და ჩამოგვემხობა, კარლ ჰარცელი მოგვხედავს თუ კელი დეგნანს დავუწყებთ ძებნას? ვინ იქნება პასუხისმგებელი იმ უმძიმეს შედეგზე, რომელსაც ეს სისტემა ძალიან მალე მოიტანს?

**«დღეს რეფერენდუმი რომ ჩატარდეს იმის გასარკვევად, ვინ რა პოლიტიკურ ორიენტაციას ენდობა, დარწმუნებული ვარ, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სრულ უნდობლობას გამოხატავს დასავლეთისადმი. აი, ეს გამოიწვიეს ამ «ფრიდომ ჰაუს»-ებმა «ნაცმოძრაობასთან» ერთად და, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შეგულიანებული «ნაცმოძრაობა» ახლო მომავალში გაქრება პოლიტიკური სივრციდან, ძალიან ცდება»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**არ შეიძლება, ხელისუფლების სათავეში დარჩეს ორი ფაშისტური ძალა — „ნაცმოძრაობა“ და „ქართული ოცნება“, ისევე, როგორც არ შეიძლება, დარჩნენ მათი განაყოფები — გირჩები, ბანანები, ლელოები და მგელოები, დაღმაშენებელ-დამაქცევლები, ევროპელ-მარსელები ა.შ. ესენი უკვე დაუფარავად უპირისპირდებიან უფალს და სწორედ აქ მოიტეხენ კისერს. საქართველოში ბოროტი ტახტს ვერ დაიდგამს“.**

ჩაკუჩი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ვაჟა ოთარაშვილი:

# იქ, სადაც ქურდობა ცოდვაა, და არის ნამდვილად, არ შეიძლება, მამათმავლობა ნორმად წარმოჩნდეს!

**რამდენიმე დღის წინათ თბილისის №51-ე საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების მიერ ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეოზე, რომელშიც ისინი ქუჩაში ხმამაღლა სკანდირებენ სიტყვებს: „ქურდებს სიცოცხლე!“, აჟიტირებულმა ლიბერალურმა მედიამ, როგორც ყოველთვის, აპოკალიფსური სურათი დახატა. უამრავი კომენტარი და პოსტი გამოქვეყნდა სოციალურ ქსელებშიც, რომ თურმე ქვეყანაში რუსული გავლენის ფონზე ბნელი საბჭოთა კრიმინალური მენტალიტეტი ძლიერდება...**

ფეიკებისა და ცრუ პროპაგანდის ფლაგმანმა „მთავარმა არხმა“, რომლის დირექტორი **ნიკა გვარამია** წლების წინათ განათლების სისტემას მინისტრის რანგში ანგრევდა, ამ თემაზე სპეციალური სიუჟეტიც მოამზადა, რომელშიც ყველაფერი სწორედ განათლების სისტემის გაუმართაობას დაბრალდა. კერძოდ, სიუჟეტში ითქვა, რომ დღევანდელი ქართული განათლება ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდების სწორ გზაზე დაყენებას, მათ შორის სწორი პრიორიტეტების დასახვას და, რაც მთავარია, სკოლებში ქურდული მენტალიტეტის აღმოფხვრას, რომელიც, თურმე, ივანიშვილის „პრორუსული“ ხელისუფლების პირობებში კრიმინალური სამყაროს რომანტიზების შედეგია (სიუჟეტში ნახსენები იყო ხორავას ქუჩის ტრაგედია, შაქარაშვილის საქმე და ა.შ.). მოკლედ, „მთავარი არხი“, რომელიც უპირისპირდება ეკლესიას, სამღვდელოებასა და ტრადიციულ ფასეულობებს, ამ შემთხვევაში ქართული განათლებისა და მომავალი თაობების „კეთილდღეობის“ სადარაჯოზე აღმოჩნდა, თუმცა ამ ყველაფრის ფონზე იმავე „მთავარმა არხმა“, სხვა ლიბერალურ მედიასაშუალებებთან ერთად, ამ დღეებში სიუჟეტების ციკლი მიუძღვნა წინა კვირას „თბილისი პრაიდის“ მიერ სხვადასხვა ღონისძიების სახით ჩატარებულ ლგბტ კვირეულს, ოღონდ, განსხვავებით ქურდული მენტალიტეტის გავლენებზე მომზადებული სიუჟეტისგან, ეს თემა აბსოლუტურად დადებითად, მამათმავლობის, როგორც მოვლენის, ნორმად წარმოჩენის კონტექსტში გაშუქდა — თურმე, სოდომიის პროპაგანდა, განსხვავებით კრიმინალური მენტალიტეტისგან, დადებითი მოვლენა ყოფილა.

რა განაპირობებს ახალგაზრდების ნაწილში კრიმინალური მენტალიტეტის პოპულარობას და არის თუ არა ამ ყველაფრის „რომანტიზებაზე“ არანაკლებ საფრთხის შემცველი ლგბტ პროპაგანდა, რომელიც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ნორმად გამოცხადებისა და სხვათათვის მისაბაძ მაგალითად თავსმოხვევის მცდელობაა? **„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თეოლოგიის დოქტორი, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**— ბატონო ვაჟა, „მთავარმა არხმა“ სპეციალური სიუჟეტი მოამზადა იმაზე, რომ თურმე ახალგაზრდებში სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს ქურდული მენტალიტეტი და ეს ყველაფერი განათლების სისტემის ბრალია. პარალელურად, „თბილისი პრაიდის“ მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზეც მოამზადა სიუჟეტი, რომელშიც ეს ღონისძიებები აბსოლუტურად დადებით კონტექსტში გაშუქდა. ერთი მხრივ, განათლების სისტემას აკრიტიკებენ, რომლის დანგრევაშიც „მთავარი არხის“ გენდირექტორ გვარამიასაც მიუძღვის წვლილი და, მეორე მხრივ, მამათმავლობის რომანტიზებას, მის ნორმალიზებას ცდილობენ. რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი?**

— ქართულ განათლებაზე ერთი რამ შეიძლება დანამდვილებით ვთქვათ: ეს სისტემა უკვე დანგრეულია ლიბერალურ-ტროცკისტული ძალების მიერ. პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ სააკაშვილის მოსვლამდე, 2000 წელს, და მერე, როცა ნაციონალებმა ხელისუფლება ოფიციალურად ჩაიბარეს, კიდევ უფრო წარმატებით გაგრძელდა. რაც შეეხება გვარამიას, რომელიც დღეს ლოყებს იხოკავს და თურმე ძალიან გულდათუთქულია იმით, რაც ამ სისტემაში ხდება, ალბათ, ახალს არაფერს ვიტყვი, მხოლოდ შევახსენებ საზოგადოებას, რომ მას, ისევე, როგორც ნამინისტრალ **ალექსანდრე ლომაიას, დიმიტრი შაშკინსა** და სხვა მსგავს ნაცარამზადებს, თავის დროზე უზარმაზარი „წვლილი“ მიუძღვით ქართული განათლების დასამარებაში; ეს ხომ ყველამ ვიცით?! გამომდინარე აქედან, ეს ოდიოზური სახეები რომ დღეს განათლების სისტემაში რაღაც პრობლემებზე გვესაუბრებიან, ცინიზმია და სხვა არაფერი. **სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, როცა ახალგაზრდებში ქურდული მენტალიტეტის არსებობაზე, როგორც საფრთხეზე, გვესაუბრება ხალხი, რომელიც იმავე ახალგაზრდების ცნობიერებაში მამათმავლობის ნორმად დამკვიდრებას ცდილობს. ქურდობა ნამდვილად ჯობია პედარასტობასა და ლესბოსელობას.** ეს ვინმემ ისე კი არ უნდა გაიგოს, თითქოს მე ქურდულს „ვაწვები“, ღმერთმა დამიფაროს! ორივე ცოდვაა და ეს სახარებაში ნათლად წერია, მაგრამ **იქ, სადაც ქურდობა ცოდვაა, და არის ნამდვილად, არ შეიძლება, მამათმავლობა ნორმად წარმოჩნდეს...**

**«საგანგაშო ის კი არ არის, რას გაიძახოდნენ ბავშვები ქუჩაში, საგანგაშოა ის, რომ მათ სკოლებში არ ასწავლეს არაფერი... ქართულ სკოლებში აუცილებლად უნდა შევიდეს მართლმადიდებელი მღვდელი და აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს რელიგია, როგორც საგანი. ეს პრინციპულად მნიშვნელოვანია, თუ ჩვენ გვინდა, რომ ჯანსაღი თაობა გვყავდეს»**

**— სოდომური ცოდვის პროპაგანდა, რომელსაც ლიბერალური მედია სულ უფრო აქტიურად აწარმოებს, რა გავლენას ახდენს საზოგადოებაზე?**

— საბედნიეროდ, 21-ე საუკუნე ინფორმაციის საუკუნეა, ამიტომ ძალიან ძნელია, რომელიმე მიკერძოებულმა მედიამ ვინმეს რამე ერთმნიშვნელოვნად მოახვიოს თავს, მაგრამ **სოდომ-გომორული ცოდვის პროპაგანდა, რომელიც დღეს, ფაქტობრივად, დაუფარავად მიმდინარეობს ახალგაზრდებში, „ნაც-ქოცური“ პარლამენტის მიერ თავის დროზე მიღებული ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის პირდაპირი შედეგია. ამ კანონმა უკვე მოიტანა ის, რომ ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყდებიან პირდაპირ თუ ირიბ ლგბტ ტერორს და აწყდებიან უსამართლობას, რომელიც დღითიდღე სულ უფრო აუტანელია...**

**— რას გულისხმობთ?**

— მაგალითად, მე ვარ პროფესორი და უმაღლეს სასწავლებელში მუშაობის დასაწყებად უნდა წარვადგინო ცნობა, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლის მიმართ ძალადობაში არ ვარ შემჩნეული ან ნასამართლევი. წარმოგიდგენიათ?! და ეს ცნობები მოატანინეს მათ შორის მღვდლებს, რომლებიც თეოლოგიაში კითხულობენ ლექციებს. არ არის ეს შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი?! მეორე — **ის, რომ ამ დღეებში 15-მა პოლიტიკურმა პარტიამ, რომლებიც თურმე გულდათუთქული არიან ქართულ დემოკრატიაზე და, საერთოდ, ქვეყნის მომავალზე, ხელი მოაწერა სოდომ-გომორული ცოდვის პროპაგანდის მხარდაჭერას, სხვა რა არის, თუ არა იმის დემონსტრირება, რომ ჩვენი პოლიტიკური სპექტრი დღეს მთლიანად მიტაცებული აქვთ გარყვნილების პროპაგანდისტებს.** ეს იყო ამ პარტიების საბოლოო ლუსტრაცია და, ქართველ ერს თუ ღირსება შერჩა, თვით ამ პარტიების აქტივისტებსაც ეხებათ ეს, ამის შემდეგ არც ერთ არჩევნებზე მხარდაჭერა არ უნდა აღირსოს. რაც შეეხება ისევ განათლებასა და განათლების სისტემას, სრული პასუხისმგებლობით ვიტყვი: **საბჭოური განათლება, წმინდა ქართული გადმოსახედიდან, გაცილებით ეროვნული იყო და ეროვნულ ცნობიერებას უღვივებდა ბავშვს, ვიდრე დღევანდელი ტროცკისტული განათლების სისტემა, თავისი სულელურ-აბსურდული, არაფრის მომცემი უნარჩვევების გამოცდებით.** ჩვენ ვხედავთ, რომ დასავლურმა ცივილიზაციამ გადათელა მაღალი სულიერების მქონე კულტურები, მათ შორის საქართველოც... სამწუხაროდ, დასავლური ცივილიზაციებისგან დღეს ჩვენ ახალ მეცნიერულ მიღწევებსა და საგანმანათლებლო პროგრესს კი არ ვიღებთ, არამედ მხოლოდ ჩვენი სულიერებისა და ეროვნული ცნობიერებისთვის დამანგრეველ უარყოფით ტალღებს. და ეს ყველაფერი ხდება იმის გამო, რომ ჩვენ ვართ ღვთისმშობლის წილხვედრი მართლმადიდებელი ერი. სხვათა შორის, მინდა, მკითხველს შევახსენო, რომ 200 წელი ჩვენ ვიყავით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთიც იყო მართლმადიდებელი სახელმწიფო და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები ერთი გვქონდა, ჩვენ მან ვერ შეგვცვალა. ეს შეეხებოდა ქორწინების, დაკრძალვის, ყოფა-ცხოვრებისა და სხვა წესებს, ხოლო ევროპა არის კათოლიკური, კათოლიციზმი და მართლმადიდებლობა კი ფუნდამენტურად განსხვავდება ერთმანეთისგან. არაფერს ვამბობ ამერიკაზე. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ჩვენთვის, ქართველებისთვის, მიუღებელია ისეთი ცნობიერება, რომელიც თანხვედრილი არ არის მართლმადიდებლობასთან. ამას განსაკუთრებით მინდა, ხაზი გავუსვა. ეს ერთი. მეორე — მინდა, ვკითხო იმ ლიბერალურ მედიასაშუალებებს, რომლებიც ვითომ პროდასავლურობის მანტიას ამოფარებულნი 24-საათიან რეჟიმში მამათმავლობის პროპაგანდას ეწევიან: ვინმეს გინახავთ დედაკაცების საშოს საშოზე ხახუნით ან უკანალიდან გამრავლებული კაცობრიობა?! ეჭვი მეპარება! გამომდინარე აქედან, თუ ჩვენ ბავშვებს ვუშლით ქურდულ მენტალიტეტს, ასევე უნდა ვუთხრათ სიმართლე მამათმავლობაზეც. **დაუშვებელია, რომ ქვეყანა, რომელშიც ქრისტეს კვართია დავანებული, პროპაგანდას უწევდეს ამ გარყვნილებას.** არაფერს ვამბობ იმაზე, რომ იმ ფონზე, როცა დემოგრაფიულად კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს, ფიზიკურად გაგვანადგურებს ეს მიდგომა...

**— ლიბერალური პროპაგანდა კი გვარწმუნებს, რომ ეს ღირებულებები გვაძლიერებს...**

— მოდი, ასე შევხედოთ: 300 არაგველი მამათმავალი რომ ყოფილიყო, იომებდა კრწანისის ველზე, გაწირავდა თავს სამშობლოსთვის?! აქ სხვა მამაკაცურ, რაინდულ სინდრომზეა ლაპარაკი, ამიტომ ნუ ვეწინააღმდეგებით უფალს. უფალმა თავის ხატად გააჩინა კაცი კაცად და ქალი — ქალად, ჩვენ კი რას ვაკეთებთ? უფლის ხატებას ვანგრევთ?! ეს არის დანაშაული მომავალი თაობების წინაშე... ბიბლიაში ბევრი მაგალითია ცოდვილის მიტევების, მაგალითად, ჯვარცმული ავაზაკყოფილი მონანიების შემდეგ პირველი შევიდა ცათა სასუფეველში, მეძავსა და მემრუშეს უფალი მიუტევებს თუ აღარ გაიმეორებენ ცოდვებს და წმინდანად ქცეულან მერე ეს ადამიანები... მამათმავალთა ცოდვა სოდომ-გომორის ცეცხლით მთავრდება და უმეტეს ყოველთა საძაგელია ეს ცოდვა უფლის წინაშეო, — განმარტავენ წმინდა მამები... თუმცა მოწყალეა უფალი, თუ ადამიანი შეინანებს... აი, ეს არის სიმართლე და ეს არის რეალობა, ამიტომ აქ **საგანგაშო ის კი არ არის, რას გაიძახოდნენ ბავშვები ქუჩაში, საგანგაშოა ის, რომ მათ სკოლებში არ ასწავლეს არაფერი... ქართულ სკოლებში აუცილებლად უნდა შევიდეს მართლმადიდებელი მღვდელი და აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს რელიგია, როგორც საგანი. ეს პრინციპულად მნიშვნელოვანია, თუ ჩვენ გვინდა, რომ ჯანსაღი თაობა გვყავდეს,** დღეს მასწავლებელს ღვთიმშობლის ხატის გაკვრაც კი ეკრძალება საკლასო ოთახში. თურმე ეს სხვა რელიგიური კონფესიების დისკრიმინაცია იქნება. რაც შეეხება გამოსავალს, თეორიულად ეს ძალიან მარტივია — **არ შეიძლება, ხელისუფლების სათავეში დარჩეს ორი ფაშისტური ძალა — „ნაცმოძრაობა“ და „ქართული ოცნება“, ისევე, როგორც არ შეიძლება, დარჩნენ მათი განაყოფები — გირჩები, ბანანები, ლელოები და მგელოები, აღმაშენებელ-დამაქცევლები, ევროპელ-მარსელები ა.შ.** ესენი უკვე დაუფარავად უპირისპირდებიან უფალს და სწორედ აქ მოიტეხენ კისერს. საქართველოში ბოროტი ტახტს ვერ დაიდგამს. ნუ ეცდებიან ტყუილად ნურც მამათმავლები, ნურც გვარამიები და სხვები, რომ აქ ეს ყველაფერი ნორმად წარმოაჩინონ; ნუ ეცდება ამას ნურც დასავლეთი, ნურც აღმოსავლეთი, ნურც ჩრდილოეთი და სამხრეთი! საქართველო მაცხოვრის რჯულის ერთგული ქვეყანა იყო, არის და იქნება!

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**P.S. მართალს ბრძანებს ბატონი ვაჟა — ქურდობაც ცოდვაა და მამათმავლობაც, ორივე ადამიანის გადაგვარებას იწვევს. მაშ, რატომაა, რომ ლიბერალები აძაგებენ ერთს და გვაძალებენ მეორეს? მიზეზი ალბათ ისაა, რომ ქურდული მენტალიტეტი თავისი არსით მამათმავლობის მტერია და ამიტომ ადამიანის გადაჯიშებაზე დაგეშილი უწმინდურის მიმდევრები გმობენ ერთს და განადიდებენ მეორეს, რომ უფრო მცირე უბედურებამ ხელი არ შეუშალოს მათ, უფრო უარესი მოგვახვიონ თავს.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეროვნული ბანქის ის ნაწილი, რომელიც ფიზიკურად გადარჩენილი იყო, მაგრამ ბანკს ჰქონდა ჩამორთმეული, თაყაიშვილმა კი არა, საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა დაუბრუნა საქართველოს, რა თქმა უნდა, სტალინის თხოვნით. ასეთია განსხვავება ამ საკითხზე რეალობასა და, როგორც კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა, მუცლით მეზღაპრეთა მონაჩმახს შორის.**



# დამნაშავეთა სახელმწიფო

## დამოუკიდებელი საქართველო, რომელიც ჩაყლაპეს

**ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი**

### მეჩვიდმეტე გამოშვება

**„თუკი არ ძალგიძთ, ხელი შეუშალოთ მათ, ვინც ჩაყლაპვას გიპირებთ, ის მაინც სცადეთ, რომ ვერ მოგინელონ!“**

**ჟან ჟაკ რუსო**

გვაქვს დამოუკიდებლობის დღე — 26 მაისი, მაგრამ არ გვაქვს დამოუკიდებლობა.

გვყავს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ გმირთა მთელი პლეადა, მაგრამ არ ჩანს მათი მოპოვებული დამოუკიდებლობა.

მეოცე საუკუნეში დამოუკიდებლობა ორჯერ გამოვაცხადეთ, მაგრამ... ერთხელაც ვერ მივიღეთ.

ასმესამედ გათენდა 1918 წელს ნოე ჟორდანიას მიერ დამოუკიდებლობის დღედ გამოცხადებული 26 მაისი...

ოცდამეათედ გათენდა 1991 წელს ზვიად გამსახურდიას მიერ დამოუკიდებლობის დღედ გამოცხადებული 31 მარტი...

დამოუკიდებლობა კი არ ჩანს.

მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონს კიდევ ერთი ბინადარი შეემატა — **გენერალი კვინიტაძე.** ამჟამად იქ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ოთხი ისტორიული პიროვნება განისვენებს — **მერაბ კოსტავა (1989 წ.); ქაქუცა ჩოლოყაშვილი (2005 წ.); ზვიად გამსახურდია (2007 წ.); გიორგი კვინიტაძე (2021 წ.).**

ერთი სიტყვით, ასარჩევად გვაქვს დამოუკიდებლობის დღეები და თავზესაყრელად გვყავს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი გმირები, მაგრამ არ გვაქვს დამოუკიდებლობა.

ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებზე პოლემიკაში შესვლა თვითმკვლელობას ნიშნავს, ვინაიდან ისტორიკოსებს შორის თითოეულ დეტალზე კამათს ბოლო არ უჩანს. ყოველი კონკრეტული საკითხის იმდენი ინტერპრეტაცია არსებობს, რამდენი ისტორიკოსი, პოლიტოლოგი და პოლიტიკოსია ამ ქვეყანაში, ამიტომ უმჯობესია, საკითხი ისტორიული დეტალების გარეშე განვიხილოთ და მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების მიხედვით ვიმსჯელოთ.

ისტორიულად საქართველოს, დამოუკიდებლობისთვის კი არა, გადარჩენისთვის უწევდა ბრძოლა. იყო საქართველოს ერთიან, ძლიერ სახელმწიფოდ ყოფნის პერიოდები, მაგრამ იყო მომხვდურთაგან საქართველოს იავარქმნისა და განადგურების ხანგრძლივი პერიოდებიც. მეთხუთმეტე საუკუნიდან საქართველო ოფიციალურად დაიშალა, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან მეოცე საუკუნის 10-იანი წლების მიწურულამდე კი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშია გუბერნიის სახით. რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად ცხადდება. ეს იყო 1918 წლის 26 მაისი, მაგრამ...

როგორც კი დაიშალა რუსეთის იმპერია, საქართველოს ხახადაღებული ოსმალეთი დაეძგერა. ქართული ტერიტორიების მიტაცება მისი საუკუნოვანი ოცნება იყო. 1918 წლის 3 მარტს ხელმოწერილი ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, რომელიც, ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთსა და, მეორე მხრივ, გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ოსმალეთსა და ბულგარეთს შორის გაფორმდა, ომის შეჩერებას კი ითვალისწინებდა, მაგრამ თურქეთს უტოვებდა ბათუმის, ყარსისა და არდაღანის ოლქებს. **„ზავს, რომელსაც ბოლშევიკები გვთავაზობენ, ჩვენ ხელს არ მოვაწერთ. უმჯობესია, დავიხოცოთ, ვიდრე შთამომავლობას თავი მუდმივი წყევლა-კრულვისთვის მივცეთ“,** — განაცხადა **ნოე ჟორდანიამ.** ამ განცხადებაში უთუოდ იყო პატრიოტული სულისკვეთება, ყოველ შემთხვევაში, მენშევიკთა გაგებით, მაგრამ პატრიოტული სულისკვეთება ყოველთვის არ ნიშნავს გონივრულ სულისკვეთებას. ბრესტის ზავის პირობების მიუღებლობაზე არ მოგახსენებთ, საერთოდ, ასეა: **ის, რაც პატრიოტულად გამოიყურება, ხშირად სულაც არაა ასეთი, და პირიქით: ის, რაც გონივრულია, შესაძლებელია, ერთი შეხედვით სულაც არ გამოიყურებოდეს პატრიოტულად.**



ეს რთული საკითხია. უმრავლესობას მყვირალა და ემოციური ურაპატრიოტიზმი ხიბლავს, რის გამოც გონივრული, ანუ ნამდვილი პატრიოტიზმი უკანა პლანზე გადადის ხოლმე. ქართველ მენშევიკთა პატრიოტიზმი ემოციას ეფუძნებოდა. ხუთი საუკუნის განმავლობაში სახელმწიფოებრიობადაკარგული ერი სახელმწიფოს აღდგენის მიჯნასთან დადგა და, ბუნებრივია, რომ ხალხის დიდი ნაწილი პოლიტიკურმა აღტყინებამ მოიცვა. პატარა ერების ხვედრი ასეთია. შიდა რესურსის უკმარისობა ხალხს ქვეყნის გარეთ გახედვისკენ უბიძგებს. თუ ადრე არჩევანის გაკეთება აღმოსავლურ იმპერიებსა და რუსეთს შორის უწევდათ, ისტორიული მოკავშირის ძებნაში დაღლილი ქართველები იმხანად რუსეთსა და დასავლეთს შორის არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ. მენშევიკებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის მარქსიზმი უცხო არ იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფსონი დასავლეთზე დადეს, რადგან ვერც მარქსისტულ ფილოსოფიას ჩასწვდნენ ბოლომდე და ვერც ისტორიის კანონზომიერებას. მათ ვერ დაინახეს ის კოლოსალური განსხვავება, რომელიც დასავლურ სოციალ-დემოკრატიასა და კომუნისტურ მსოფლმხედველობას შორის არსებობდა. სამაგიეროდ, გამოჩნდნენ სხვა ქართველები, რომლებმაც, მენშევიკებისგან განსხვავებით, გეზი არა დასავლეთისკენ, არამედ ბოლშევიკური (კომუნისტური) რუსეთისკენ აიღეს. ეს ის ეპოქა იყო, როდესაც უკლასო საზოგადოების იდეა ისე მძლავრად მოაბიჯებდა, რომ წინ ვერაფერი აღუდგებოდა. **1917 წლის სოციალისტური რევოლუცია კაცობრიობის განვითარების გზაზე ის უზარმაზარი ნახტომი იყო, რომლის მსგავსი მანამდე არაფერი მომხდარა. მიუხედავად ამისა, მენშევიკური მთავრობა დასავლეთს სახავდა მხსნელად და მას შესციცინებდა თვალებში. კაპიტალისტური დასავლეთი კი უპატრონოდ დარჩენილ პატარა და უმწეო საქართველოს ისევე უპირებდა ჩაყლაპვას, როგორც მეზობელი თურქეთი.** განსხვავება ის იყო მხოლოდ, რომ თურქეთი სამხედრო ძალის გამოყენებით თუ აპირებდა ამის გაკეთებას, დასავლეთი ყველაფერს ყიდულობდა. საქართველოსთვის შედეგი ორივე შემთხვევაში ერთნაირად კატასტროფული იქნებოდა. საქართველოს ტოტალური გაყიდვის ტენდენცია არსად ისე მხატვრულად და შთამბეჭდავად არ ასახულა, როგორც **ნიკო ლორთქიფანიძის** იმ მინიატურულ ჩანახატში, რომლის მსგავსი გოდება სამშობლოს ისტორიული ხვედრის გამო მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად თუ მოიძებნება:

### „იყიდება საქართველო!

**იყიდება საქართველო. მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმართ-მოყვარეობით; დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგევი სახლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით; ლურჯის ზღვით; მოწმენდილ-მოკაშკაშებული ცით; ერით, ბერით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსადებ მოხუცებით. იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.**

**ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.**

**იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსაღოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.**

**იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარ-პატარ ნაჭრებათ, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიათ, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოთ; ბანკის დახმარებით და ჩვენის საშუალებით.**

**იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრად დარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!**

**ნიკო ლორთქიფანიძე**
**1910 წელი“.**

ჩნდება შეკითხვა: ვის შეეძლო ასე ერთიანად და ტოტალურად გაყიდული საქართველოს უკან გამოსყიდვა და გადარჩენა — მენშევიკურ ხელისუფლებას, რომელიც იმ დასავლეთს ელაქუცებოდა და მის წინაშე თავდადრეკილი იდგა, რომელსაც მთელი საქართველო ნაყიდი ჰქონდა? არა, მენშევიკურ ხელისუფლებას, გულითაც რომ სდომოდა, ამის გაკეთების რესურსი არ ჰქონდა. **გაყიდულ-განიავებული საქარ-** ▶

**«ეროვნულმა მთავრობამ», ნაცვლად იმისა, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა და, სხვა გზა თუ არ რჩებოდა, სამშობლოსთვის თავი გაეწირა, ეროვნულ განძს ტომრებსა და ყუთებში უკრა თავი, მერე მოჰხვია ხელი და საზღვარგარეთ გააქანა, რომლის უდიდესი ნაწილი (248 ყუთიდან საბოლოოდ მხოლოდ 39 ყუთი გადარჩა), როგორც მოეპრიანა, ისე მოიხმარა — გაყიდა, გაფლანგა და ა.შ. ის 39 ყუთიც პრაქტიკულად დაკარგული იყო, ვინაიდან საფრანგეთის ბანკმა, შენახვის თანხის გადაუხდელობის გამო, მისი კონფისკაცია მოახდინა და თავის ქონებად გამოაცხადა**

## საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი მენშევიკების შთამომავალი რომ არის და სამშობლოდან გაქცეულ ერთ-ერთ ოჯახშია დაბადებული, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი გმირების შთამომავალია და არც იმას, რომ მენშევიკური მთავრობა, ქაქუცა ჩოლოყაშვილით დაწყებული და გიორგი კვინიტაძით დამთავრებული, მთაწმინდის აწ უკვე ჩვეულებრივ სასაფლაოდ ქცეულ პანთეონში უნდა დაიკრძალოს.

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## გაქცეული მენშევიკები და მათთან ერთად საქართველოდან აბარგებული გენერლები გმირები რატომ არიან? 2008 წელს რუსებს რომ თბილისი აეღოთ, სააკაშვილი და მისი მთავრობის წევრები, ჩემოდნებით ხელში საზღვარგარეთ რომ მიიძურწებოდნენ, გმირებად უნდა გვეღიარებინა? ნონსენსია!

**◀თველო კომუნისტურმა ხელისუფლებამ იხსნა, რომელმაც საყოველთაო ნაციონალიზაცია გამოაცხადა და ყველაფერი, რაც შინაურებს თუ გარეშეებს ჰქონდათ ნაყიდი და მითვისებული, ქართველ ხალხს დაუბრუნა. ასეთი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) ჩამომყალიბებელ კომუნისტებს შეეძლოთ და ამგვარი მეგაპროექტის განხორციელების რესურსიც მხოლოდ მათ ჰქონდათ.** მათ გადაარჩინეს საქართველო. კომუნისტებმა თურქეთისგან საქართველოს დაუბრუნეს ის, რისი დაბრუნებაც შეძლეს. თურქებს, რომლებსაც წაღებული ჰქონდათ არამხოლოდ ბათუმი, არამედ სხვა რაიონები და დასახლებული პუნქტები, მათ შორის, ოზურგეთი, ახალციხე და აღმოსავლეთისკენ მოიწევდნენ, კომუნისტებმა ეს ტერიტორიები დაატოვებინეს და ყარსის 1921 წლის ხელშეკრულებით აჭარა საქართველოს შემოუმტკიცეს. **ვითომ პატრიოტ ქართველებს კომუნისტების მიმართ დღემდე აქვთ პრეტენზია — რატომ მეტი არ გააკეთეს და საქართველოს მთელი ისტორიული ტერიტორიები არ შემოუერთესო. რამდენად ობიექტური და სამართლიანია ასეთი პრეტენზიები, თავად განსაჯეთ. ისიც საკითხავია, ქართველი ხალხის ამ პრეტენზიული ნაწილის საყვარელმა მენშევიკურმა მთავრობამ რა ისტორიული სიკეთე მოუტანა საქართველოს, გარდა იმისა, რომ, თუ რამ სიმდიდრე, ქონება და საგანძური არსებობდა საქართველოში (სამუზეუმო თუ საეკლესიო), რისი ადგილიდან დაძვრა და წაღება შეიძლებოდა, საზღვარგარეთ გაიტაცა?!** წარმოგიდგენიათ, „ეროვნულმა მთავრობამ“, ნაცვლად იმისა, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა და, სხვა გზა თუ არ რჩებოდა, სამშობლოსთვის თავი გაეწირა, ეროვნულ განძს ტომრებსა და ყუთებში უკრა თავი, მერე მოჰხვია ხელი და საზღვარგარეთ გააქანა, რომლის უდიდესი ნაწილი (248 ყუთიდან საბოლოოდ მხოლოდ 39 ყუთი გადარჩა), როგორც მოეპრიანა, ისე მოიხმარა — გაყიდა, გაფლანგა და ა.შ. ის 39 ყუთიც პრაქტიკულად დაკარგული იყო, ვინაიდან საფრანგეთის ბანკმა, შენახვის თანხის გადაუხდელობის გამო, მისი კონფისკაცია მოახდინა და თავის ქონებად გამოაცხადა. ძალად პატრიოტი ქართველები კი პირში წყალს იგუბებენ, ეროვნული განძის ნამდვილი გადამრჩენელის სახელსაც არ ახსენებენ და პატივს **ექვთიმე თაყაიშვილს** მიაგებენ, რომელიც სამშობლოდან განძის გამტაცებელ მენშევიკურ მთავრობასთან ერთად გაიქცა. **ეროვნული განძის ის ნაწილი, რომელიც ფიზიკურად გადარჩენილი იყო, მაგრამ ბანკს ჰქონდა ჩამორთმეული, თაყაიშვილმა კი არა, საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა დაუბრუნა საქართველოს, რა თქმა უნდა, სტალინის თხოვნით. ასეთია განსხვავება ამ საკითხთან დაკავშირებულ რეალობასა და, როგორც კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა, მუცლით მეზღაპრეთა მონაჩმახს შორის (უფრო დაწვრილებით შეგიძლიათ შეიტყოთ ბატონ გრიგოლ ონიანის ექვსტომეულში „სტალინი“).** რაც შეეხება საფრანგეთიდან გადმოსვენებულ ჩვენს თანამემამულე გენერალ კვინიტაძეს, ისიც ერთ-ერთი გაქცეულთაგანია, რომლის „გმირობის“ შესახებ ვიკიპედია შემდეგი სახის ცნობას გვაწვდის:

**„გიორგი კვინიტაძე** რუსეთის იმპერიის არმიაში დაჯილდოებული იყო წმინდა სტანისლავის მე-3 ხარისხის ხმლებითა და ბაფთით, წმინდა ანას მე-4 და მე-3 ხარისხის, წმინდა სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენებით.

1918 წელს გახდა გენერალი. 1918 წლის მაის-სექტემბერში იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. შეიარაღებული ძალების შექმნის საკითხში რესპუბლიკის მთავრობასთან შეუთანხმებლობის გამო გადადგა.

1918 წლის დეკემბერში, სომხეთ-საქართველოს ომის დროს დაინიშნა სადახლო-შულავერის ფრონტის საველე შტაბის უფროსად. 1919 წლის მარტიდან იყო ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი და რეგიონის ქართული გარნიზონის სარდალი, მეთაურობდა მაზრაში სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლას და დაამარცხა ისინი. შემდეგ იბრძოდა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ და მათთან ბრძოლისას, 1919 წლის აპრილში გაათავისუფლა არტაანი. 1919 წლის სექტემბრიდან იყო ქართული სამხედრო სკოლის უფროსი. 1920 წლის 29 აპრილს ხელახლა დაინიშნა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტზე. 1920 წლის მაისში დაამარცხა აზერბაიჯანის სსრ-ის მხრიდან საქართველოში შემოჭრილი წითელი არმიის ნაწილები. სურდა შეტევის გაგრძელება და ბრძოლის გადატანა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რათა სრულად გაენადგურებინა იქ არსებული წითელი არმია, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ ამის ნება არ მისცა. 8 სექტემბერს დატოვა მთავარსარდლის თანამდებობა. თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ დაუბრუნდა სამხედრო სკოლას. 1921 წლის 16 თებერვალს მესამედ დაინიშნა მთავარსარდლის პოსტზე. რუსეთ-საქართველოს ომის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა თბილისის დაცვას, რასაც წარმატებით ახერხებდა 18-24 თებერვლის განმავლობაში. 24 თებერვალს მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება თბილისის დატოვების შესახებ. მისი გეგმით, უნდა გამაგრებულიყვნენ მცხეთასთან და შემდეგ კონტრშეტევით დაემარცხებინათ მტერი, მაგრამ კვინიტაძის გეგმამ არ იმუშავა. კვინიტაძემ ვერც ოსიაურის ბრძოლაში მოახერხა წითელი არმიის შეჩერება. საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. მთელი დარჩენილი ცხოვრება მან საფრანგეთში გაატარა. მუშაობდა გრამფირფიტების კომპანიაში. ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ერთი პერიოდი თავს ირჩენდა მაწვნის წარმოებით და გაყიდვით“.



**მთაწმინდის პანთეონისთვის მიბარებულ ქართველზე ძვირის თქმას რა მრჯის, მაგრამ იმაში, რაც აქ წერია, არათუ გმირობის დამადასტურებელი, გმირობაზე მიმანიშნებელიც კი არაფერია. გმირი ისაა, ვინც თავს წირავს, ვინც ბრძოლის ველზე დაეცემა, არა აქვს მნიშვნელობა, გენერალია თუ რიგითი. ბრძოლის ველიდან და სამშობლოდან გაქცეულებს გმირებად რატომ წარმოვაჩენთ, გაუგებარია.**

საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი მენშევიკების შთამომავალი რომ არის და სამშობლოდან გაქცეულ ერთ-ერთ ოჯახშია დაბადებული, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი გმირების შთამომავალია და არც იმას, რომ მთელი მენშევიკური მთავრობა, ქაქუცა ჩოლოყაშვილით დაწყებული და გიორგი კვინიტაძით დამთავრებული, მთაწმინდის აწ უკვე ჩვეულებრივ სასაფლაოდ ქცეულ პანთეონში უნდა დაიკრძალოს. ის, თუ რა დაარტყამთ თავში სააკაშვილს, ზურაბიშვილსა და მათი ყაიდის დანარჩენ პრეზიდენტებს, არ გამოდგება იმის კრიტერიუმად, ვინ სად უნდა დაიკრძალოს და რა პატივით. ვერც პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გენერალ კვინიტაძისთვის მიცემული დახასიათებაა დამაჯერებელი: „გენერალ კვინიტაძის სახელი ოკუპაციასთან შეურიგებლობას და თავისუფლებისთვის ბრძოლას განასახიერებს და მისი საქართველოში გადმოსვენება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის“. ეს შეიძლება ხელისუფლებისგან ნაღალატევ იმ იუნკრებზე თქვა, რომლებიც მეთერთმეტე არმიასთან შეტაკებისას დაეცნენ. ეს შეიძლება გიორგი ანწუხელიძეზე თქვა, რომელმაც ღირსების შესანარჩუნებლად თავი გაწირა, მაგრამ **გაქცეული მენშევიკები და მათთან ერთად საქართველოდან აბარგებული გენერლები გმირები რატომ არიან? 2008 წელს რუსებს რომ თბილისი აეღოთ, სააკაშვილი და მისი მთავრობის წევრები, ჩემოდნებით ხელში საზღვარგარეთ რომ მიიძურწებოდნენ, გმირებად უნდა გვეღიარებინა? ნონსენსია! წარსულის გაიდეალებაც მესმის და მისი პატრიოტული მითოლოგიზებაც, მაგრამ ამგვარი წრეგადასულობა პატრიოტიზმზე კი არა, უკიდეგანო პროვინციალიზმზე მეტყველებს. პროვინციალიზმია დამოუკიდებლობის დღით ამდენი კეკლუცობაც, მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლობა კი არა, მისი ნასახიც არ გაგვაჩნია...**

დღეს ჩვენ თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ წარმოგვიდგენია, მაგრამ სინამდვილეში დამნაშავეთა სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდით. ამ ქვეყანაში დამნაშავეა ისიც, ვინც ქვეყნის ნგრევისა და გაუბედურების ჟამს ფული იშოვა და გამდიდრდა; დამნაშავეა ისიც, ვინც გაღატაკდა, რადგან წინაპრების ის უდიდესი მონაპოვარი, რომელსაც სოციალისტური სისტემა ერქვა, დამოუკიდებლობის იდეით მოსული შარლატანების ხელყოფისგან არ დაიცვა; დამნაშავეა ის მეცნიერიცა თუ ხელოვანიც, რომელიც ფეხის ხმას აჰყვა და სოციალისტურ სისტემას ლაჩრულად ზურგში ხანჯალი ჩასცა; დამნაშავეა ისიც, ვინც ქურდობით გამოიჩინა თავი, და ისიც, ვისაც არაფერი მიუთვისებია, მაგრამ საერთო სახალხო დოვლათის ერთეულების მიერ მიტაცების პროცესს, სხვა თუ არაფერი, შინაგანი პროტესტით მაინც არ აღუდგა წინ; დამნაშავეა ისიც, ვინც ისტორიის ამ ოცდაათწლიან მონაკვეთში საარჩევნო მოსყიდვები აწარმოა, და ისიც, ვინც მომსყიდველებს მიეყიდა; დამნაშავეა ყველა, ვინც ერთმანეთის სისხლში გაისვარა ხელი; დამნაშავეა, ვინც ნატოსა და ევროკავშირის სატყუარათი გააბრუა ხალხი, და დამნაშავეა ისიც, ვინც ამ სატყუარაზე წამოეგო; დამნაშავეა ისიც, ვინც ისტორიული მოკავშირე რუსეთისგან ისტორიული მტრის ხატი შექმნა, და ისიც, ვინც ხელოვნურად შექმნილი ამ ხატის არსებობა დაიჯერა; დამნაშავეა, ვინც იქ ლაპარაკობდა, სადაც ჩუმად უნდა ყოფილიყო, და ისიც, ვინც იქ ჩუმდებოდა, სადაც ხმამაღლა უნდა ეთქვა სათქმელი; ჩვენ თავიდან ბოლომდე დამნაშავეთა სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდით. ჩვენ დასავლეთმა ისე გადაგვყლაპა, რომ ამ საშინელ საქმეში ხელის შეშლა არც გვიცდია, პირიქით, მონუსხული გავექანეთ მისი დაღებული ხახისკენ. ახლა კი იმის თავიც არ გვაქვს, რომ, ჟან ჟაკ რუსოს რჩევის თანახმად, ჩვენი გადახარშვა-მონელების პროცესს მაინც გავუწიოთ წინააღმდეგობა. აი, ესა ვართ დღევანდელი ქართველები და აი, ეს არის დღევანდელი საქართველო.

დღეს 26 მაისია და რუსთაველის პროსპექტზე კვლავაც ძველებური შემართებით გაჰყვირიან:

— დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოს!

**ვალერი კვარაცხელია**

**P. S. 22 მაისს ტელეკომპანია „მთავარის“ ეთერში დიდი ხმაური იყო, თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებმა ბოლო ზარის შემდეგ ერთმანეთს პერანგებზე კრიმინალური სამყაროს ძველი ლოზუნგი დააწერესო: „ქურდებს სიცოცხლე, ბოზებს სიკვდილი!“. მართალი გითხრათ, არ ვიცი ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა მოტივით იყო განპირობებული ახალგაზრდების ეს საქციელი, მაგრამ სრულიად ვეთანხმები „მთავარს“ იმ პათოსში, რომ ფაქტი საგანგაშოა. თუმცა, ესეც უნდა ვთქვა: „მთავარის“ მტკიცება, რომ ეს საბჭოთა ან რუსული რეციდივია, მეტისმეტად ტენდენციური და უსუსურია. სად, რომელ ქვეყანაში არ არსებობდა და არ არსებობს კრიმინალი, ქურდი, განგსტერი, მაფია?... „მთავარის“ მესვეურებს თუ იმის თქმა სურთ, რომ დასავლეთი თავისუფალია კრიმინალისგან, მათი ეს პოზიცია ღიმილის მომგვრელია. მნიშვნელოვანი აქ ისაა, რისი შედეგია ეს ყველაფერი. ჟან-ჟაკ რუსოს ნათქვამი, თუ ჩაგყლაპეს, იმას მაინც შეეცადე, ვერ მოგინელონო, ზუსტად ამ სიტუაციაზეა მორგებული. ჩვენ ის ვასალები ვართ, რომლებიც დასავლეთის პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და სამხედრო დღის წესრიგით ვცხოვრობთ, ანუ მათ მიერ გადაყლაპული ობიექტი ვართ, რომელიც უნდა მოინელონ. მონელება ჩვენი ღირებულებების თავიანთი ღირებულებებით ჩანაცვლებას ნიშნავს; ჩვენი ცხოვრების წესის უარყოფასა და მათ მიერ შემოთავაზებული ცხოვრების წესის დანერგვას ნიშნავს; ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციასა და ლეგალიზაციის შესახებ კანონის მიღებას ნიშნავს; დედისა და მამის ცნებების უარყოფასა და „მშობელი №1“-ისა და „მშობელი №2“-ის შემოღებას, ანუ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდას ნიშნავს. ამ მიმართულებით „მთავარისა“ და მისი შეფის პოზიციაც და „ნაღვაწიც“ გვახსოვს. ბატონი გვარამიას უხამსი და უწმაწური ლექსიკაც გვახსოვს, რომელსაც იგი გამოხატვის თავისუფლებად მიიჩნევს; მისი ინიციატივაც გვახსოვს ტელეეკრანზე გეი და ლესბოსელი წამყვანების დასმის შესახებ და ამ თემაზე მის მიერ გამოქვეყნებული ეს განცხადებაც: „მეგობრებო, სატელევიზიო მიზნებისთვის, მირჩიეთ LGBTQ ორგანიზაციები, რომლებიც აგვარჩევინებენ ხსენებული აბრევიატურიდან L და G წამყვანებს და ასევე კონსულტანტებს“.**

**არ გამოვრიცხავ, რომ ახალგაზრდების აბსოლუტურად მიუღებელი გამოსვლები ლოზუნგით: „ქურდებს სიცოცხლე, ბოზებს სიკვდილი!“, დასავლეთიდან ნიაღვარივით მოვარდნილ და გვარამიას მსგავსთა მიერ ატაცებულ ე.წ. ლგბტ პროპაგანდაზე თავისებური რეაქცია იყოს. არ შეიძლება, კრიმინალის მოძალებას ებრძოდე და გაცილებით უფრო დიდ ცოდვასა და სიბილწეს, როგორიცაა ნარკომანია და სექსუალურ უმცირესობათა ცხოვრების წესი, პროპაგანდას უწევდე. მით უმეტეს, როდესაც ვიცით, რომ მტერმა უკვე ჩაგვყლაპა და ამ ეტაპზე იმ აუცილებელ რეცეპტებს გვთავაზობს, რომლებიც გადაყლაპულის ადვილად მონელებასა და გადამუშავებას უწყობს ხელს.**

**ვ. კ.**

ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**პუტინმა სწორედ ამ შეთქმულებების შედეგები შეახსენა კოლექტიურ დასავლეთს, რომ რუსებმა ნაპოლეონს პარიზში „დაუმთავრეს“, ხოლო ჰიტლერს — ბერლინში, და ამ შედეგებზე დაფიქრებისკენ მოუწოდა, ხოლო, თუ მაინც კოლექტიური დასავლეთი თავისას „შეუბერავს“, კბილების ჩამტვრევით დაემუქრა მათ, ვინც რუსეთის იმპერიის უზარმაზარი ტერიტორიის ერთი გოჯი მიწის ხელყოფას გაბედავს.**

# აბა, ვის აქვს ზედმეტი კბილები?

**ისტორიის სხვადასხვა პერიოდში დიდ, მძლავრ იმპერიებს — ესპანეთს, საფრანგეთს, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთს — შორის, როგორც დაპყრობილი ტერიტორიების სიდიდით, ასევე კოლონიალური მმართველობის სისასტიკით ბრიტანეთის იმპერია გამოირჩეოდა.**



აშშ მსოფლიო გეოპოლიტიკაში ინგლისის იმპერიის დაისის, — პირველი მსოფლიო ომის, — შემდეგ შემოვიდა. მისი მთავარი მოკავშირე დიდი ბრიტანეთია, რომელსაც არც სისასტიკით ჩამოუვარდება აშშ-ის „დემოკრატიული რეჟიმი“ და არც ტერიტორიების სიდიდით — თუ გავითვალისწინებთ ე.წ. ევროკავშირის ქვეყნებს, რომლებსაც „ნებაყოფლობით“ ათქმევინეს უარი საგარეო თუ საშინაო სუვერენეტზე აშშ-ის „დემოკრატიული“ იმპერიის სასარგებლოდ, რომელსაც ანგლოსაქსურ იმპერიასაც უწოდებენ. აქედან გამომდინარე იშვა ტერმინი „ანგლოსაქსური ცივილიზაცია“, რომელიც საერთო ანგლოსაქსურ ღირებულება-ფასეულობებსა და იდეოლოგიასაც გულისხმობს, რომელზეც საუბარს ქვემოთ ვაპირებ...

დიდი სქიზმა — ეს არის საეკლესიო განხეთქილება (1054 წ.), რომელმაც ქრისტიანული ეკლესია ორ ნაწილად გაყო — მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებად. სწორედ აქედან დაიწყო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის იდეოლოგიური უთანხმოება, რომელიც დღესაც გრძელდება. თეოლოგი არ ვარ და ამიტომ მოლაპარაკებების წარუმატებლობის ყველა მიზეზ-საბაბი არ ვიცი, მაგრამ სავარაუდოა, რომ **ერთ-ერთი საკითხი უთანხმოებისა კათოლიკეებისა და მართლმადიდებლების განსხვავებული თვალსაზრისი შეიძლება ყოფილიყო ქორწინებაზე — კათოლიკეთა მოძღვრების მიხედვით, ქორწინება სისხლისმიერ ნათესავებს (ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილებს) შორის დაშვებული იყო, რაც მართლმადიდებლებისთვის მიუღებელი გახლდათ, რადგან სისხლის აღრევად მიიჩნეოდა. დღევანდელ მსოფლიოს, სამწუხაროდ, პოლიტიკურ-ეკონომიკურად სწორედ ე.წ. სისხლაღრეულები მართავენ და იქნებ ამანაც მიიყვანა კაცობრიობა ლგბტ-გარყვნილებამდე.** არაფერს ვიტყვი ე.წ. ინცესტზე — დაძმებს, მშობელებსა და შვილებს შორის სექსუალურ ურთიერთობებზე, რომელიც „განათლებულ“ დასავლეთში აღარავის უკვირს, ხოლო ზოგიერთ „სუპერდემოკრატიულ“ ქვეყანაში კანონმდებლობითაც დაშვებულია. დღევანდელი სამყარო ზნეობრივი გადაგვარებისკენ მიმავალ გზას ადგას. საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ერთ-ერთი ქადაგებისას ბრძანა, რომ მეორედ მოსვლა მოახლოებულია და მის დადგომამდე შეიძლება დღეებიღა დარჩა. ახლა კი „მეორედ მოსვლის“, თანამედროვე ენით, აპოკალიფსის წინა „ბოლო ჟამია“, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს ქვეყანაზე სატანა მეფობს. სატანის მეფობის ხილული დადასტურება, მაშ, რა ჯანდაბაა, თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ლგბტ-თა „გაჯეჯილება“, ინცესტი, ე.წ. იუვენალური იუსტიცია — ოჯახის ნგრევა და სხვა ჯერ კიდევ გუშინ წარმოუდგენელი გარყვნილებები. ეს იმის საილუსტრაციოდ, რა ჯოჯოხეთამდეც მივიდა დიდი სქიზმის შემდეგ იდეოლოგიურად დაპირისპირებული, ორად გაყოფილი, მაგრამ რაღაც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ღირებულება-ფასეულობათა გარშემო გაერთიანებული საზოგადოებრიობა. რადგან წინამდებარე წერილის მიზანი დასავლეთსა და აღმოსავლეთს, დასავლეთსა (კათოლიციზმსა) და რუსეთს (მართლმადიდებლობას) შორის მრავალსაუკუნობრივი დაპირისპირების გარკვეული ანალიზია, ისევ შორეული წარსული გავიხსენოთ. **იდეოლოგიურად ორად გაყოფილ მსოფლიოში ერთ მხარეს არის კათოლიკური სამყარო, ხოლო მეორე მხარეს — რუსეთი, რომელმაც მართლმადიდებელი ქრისტიანობის დამცველის როლი იკისრა.**

1240 წელს ნოვგოროდის მთავარმა **ალექსანდრემ** მცირერიცხოვანი რაზმით მდინარე ნევის ნაპირებზე სასტიკად დაამარცხა შვედები, რომლებიც ფინეთის ყურის სანაპიროს დაპყრობას და იქ კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას ცდილობდნენ. ამ ბრძოლაში გამარჯვების გამო ხალხმა მას **ალექსანდრე ნეველი** უწოდა. 1242 წელს მართლმადიდებელმა მთავარმა გერმანელი ჯვაროსნები დაამარცხა.

როგორ ჰგავს ერთმანეთს იმჟამინდელი და დღევანდელი პოლიტიკური ვითარება — თუ იმხანად კათოლიკეებსა და მართლმადიდებელთა შორის ომში რუსეთი მარტოდმარტო იცავდა მართლმადიდებლობას მისთვის მიუღებელი, მაგრამ, ასე თუ ისე, ზნეობა-მორალთან ახლოს მყოფი კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებისგან, ახლაც მარტო ებრძვის ყოველგვარი ზნეობა-მორალის უარმყოფელ ე.წ. კოლექტიური დასავლეთის (წაიკითხე აშშ) სატანისტური იდეოლოგიის გავრცელებას პოსტსაბჭოთა სივრცეზე, რაც გაცილებით რთული ამოცანაა, რადგან, მართალია, სამხედრო თვალსაზრისით **პუტინის რუსეთს ნატო (წაიკითხე აშშ) ვერაფერს დააკლებს, მაგრამ კოლექტიურმა დასავლეთმა უზარმაზარი ფინანსების მეშვეობით რუსეთის აფეთქება შიგნიდან დაისახა მიზნად. ამასთანავე, აშშ-ის სადაზვერვო სამსახურები ვლადიმერ პუტინის ფიზიკური ლიკვიდაციის ვარიანტზეც ფიქრობენ. თუმცა, ესეც, ღია სამხედრო დაპირისპირების მსგავსად, უტოპიაა.**

> **თუ იმხანად კათოლიკეებსა და მართლმადიდებელთა შორის ომში რუსეთი მარტოდმარტო იცავდა მართლმადიდებლობას მისთვის მიუღებელი, მაგრამ, ასე თუ ისე, ზნეობა-მორალთან ახლოს მყოფი კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებისგან, ახლაც მარტო ებრძვის ყოველგვარი ზნეობა-მორალის უარმყოფელ ე.წ. კოლექტიური დასავლეთის (წაიკითხე აშშ) სატანისტური იდეოლოგიის გავრცელებას პოსტსაბჭოთა სივრცეზე**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშშ-მა ფსონი რუსეთის შიგნიდან აფეთქებაზე დადო, რაც ფერად „დემოკრატიულ“ რევოლუციას ნიშნავს. მათ ამის გამოცდილება აქვთ — ჯერ საქართველოში მოაწყვეს ე.წ. ვარდების რევოლუცია, შემდეგ უკრაინაში ორჯერ შეძლეს ხელისუფლების დამხობა — ნარინჯისფერი რევოლუციითა და ე.წ. მაიდნით. „ფერადმა რევოლუციებმა“ (სახელმწიფო გადატრიალებებმა), პრაქტიკულად, ერთნაირი, ლამის ტყუპის ცალივით იდენტური შედეგები მოუტანა „მოძმე“ ქვეყნებს — საქართველოსა და უკრაინას: ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ არაპროფესიონალი ახალგაზრდა რეფორმატორები; ორივე ქვეყანაში გამეფდა აღვირახსნილი რუსოფობია, რომლის შედეგად ორივემ დაკარგა ტერიტორიები: უკრაინამ — ყირიმი, დონბას-ლუგანსკი, ხოლო საქართველომ — სოხუმ-ცხინვალი.

რუსეთის ცენტრალურ ტელეარხზე ამას წინათ გამართულ პოლიტიკურ დებატებში ერთ-ერთმა მონაწილემ პუტინზე თქვა, რომ იგი საჯარო გამოსვლების წინ იმაზე კი არ ფიქრობს, რა თქვას, არამედ იმაზე, რა არ უნდა თქვასო. ამ სიბრძნის წყალობით მიაღწია პუტინის რუსეთმა ისეთ სამხედრო ძლიერებას, რომლის წინაშე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი შიშით ძრწის და არა მხოლოდ რუსეთის ბირთვული ტრიადის გამო, რომელსაც 40 წუთში შეუძლია აშშ-ის აღგვა პირისაგან მიწისა. ამ შემთხვევაში დედამიწაზე სიცოცხლე გაქრება და ამიტომ არაბირთვული სამხედრო დაპირისპირების ალბათობაზე ვმსჯელობთ, რომელშიც ახალი ჰიპერბგერითი „ჭკვიანი“ რაკეტების წყალობით ისევ რუსეთი გაიმარჯვებს. ისე, **არ მგონია, რუსები რაკეტების გარეშეც ხელჩართულ ომში იმ არმიასთან დამარცხდნენ, რომელშიც 15 ათასი რიგითი ტრანსგენდერი ჰყავთ და მამათმავლები კიდევ დაუთვლელი.**

და მესამე და გადამწყვეტი — პენტაგონის ჯარების საბრძოლო მოტივაცია ყოველთვის მწვანე დოლარები იყო, მით უმეტეს დღეს, როდესაც ჯარში მხოლოდ იმიტომ მიდიან, რომ პენტაგონის ბიუჯეტის ხარჯზე ასიათასობით დოლარის ღირებულების ტრანსგენდერული ოპერაციები გაიკეთონ, ხოლო უბრალო რუსი ჯარისკაცის საბრძოლო მოტივაცია ყოველთვის იყო და არის პატრიოტიზმი; სიტყვა, რომელსაც ვეღარ იპოვით ლიბერალების ლექსიკონში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშშ-ის ამოცანა რუსეთის შიგნიდან აფეთქებაა, რისთვისაც აშშ ყოველწლიურად 900 მილიონ დოლარს ხარჯავს, რომ არაფერი ვთქვათ სოროსის მილიონებზე გაურჩებულ ქვეყნებში „ამერიკული დემოკრატიის“ ძალისმიერი მეთოდებით დასამყარებლად. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2015 წელს უკრაინაში დააარსა ამერიკის დემოკრატიული ფონდი, რომელიც ვითომ კონსერვებს აწარმოებს, სინამდვილეში კი მსოფლიო მასშტაბით 60-ათასიან არმიას ინახავს, რომლის მებრძოლებსაც სპეციალური მომზადებისა და ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ ე.წ. გავლენის აგენტებად გზავნიან და ნერგავენ სხვადასხვა ქვეყნის სახელისუფლო სტრუქტურებში, აარსებენ ე.წ. ადამიანის უფლებების დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციებს და ა.შ. ეს გავლენის აგენტები საჭირო მომენტში ქუჩის აქციების ორგანიზატორებად, „ეროვნულ ლიდერებად“ გვევლინებიან ხოლმე.

**აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა რამდენიმე წლის წინათ სენსაციური განცხადება გააკეთა, რომელსაც ჩემი ყურით ვუსმინე, და რომელიც შინაარსობრივად ასეთი იყო: უსამართლობაა, რომ ამხელა ტერიტორია, რომელსაც 10 საათობრივი ზოლი აქვს და, აგრეთვე, ციმბირის წიაღისეული სიმდიდრეები, მხოლოდ ერთი სახელმწიფოს, რუსეთის, საკუთრებაა.**

ამ ქალბატონის თავხედობას თავის დროზე პუტინმა რბილად უპასუხა, რუსეთის მიერ თუნდაც უმცირესი საკუთარი ტერიტორიის დათმობაზე არათუ ოცნება, ფიქრიც არავინ გაბედოსო. რუსეთის პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინათაც გაიხსენა ქალბატონ მადლენის თავხედობა, თუმცა განცხადების ავტორი არ დაუსახელებია. სამაგიეროდ თქვა, რომ ყოველთვის ეშინოდათ რუსეთის ტერიტორიის სიდიდის და, როგორც კი რუსეთი ეკონომიკურ-პოლიტიკური ძლიერებისკენ წავიდოდა, მის წინააღმდეგ მთელი დასავლეთი ერთიანდებოდა: ასე იყო **ნაპოლეონისა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდებში,** როდესაც მოკავშირეებმა რუსეთს რევოლუცია მოუწყვეს; ასე იყო სსრკ-ის, სახელცვლილი რუსეთის იმპერიის, სტალინის პერიოდშიც. პუტინმა სწორედ ამ შეთქმულებების შედეგები შეახსენა კოლექტიურ დასავლეთს, რომ რუსებმა **ნაპოლეონს** პარიზში „დაუმთავრეს“, ხოლო **ჰიტლერს** — ბერლინში და ამ შედეგებზე დაფიქრებისკენ მოუწოდა, ხოლო, თუ მაინც თავისას „შეუბერავს“ კოლექტიური დასავლეთი, კბილების ჩამტვრევით დაემუქრა მათ, ვინც რუსეთის იმპერიის უზარმაზარი ტერიტორიის ერთი გოჯი მიწის ხელყოფას გაბედავს.

მსოფლიო ვლადიმერ პუტინისა და **ჯო ბაიდენის** შეხვედრის მოლოდინშია. აშშ-ის პრეზიდენტმა პუტინს ჯერ მკვლელი უწოდა, შემდეგ კი მასთან შეხვედრა ისურვა.

აი, ამას ჰქვია გადაფურთხებულის ალოკვა!

ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში აშშ-რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრიდან გამომდინარე, სადაც ორი ზესახელმწიფოს პრეზიდენტების შეხვედრის დღის წესრიგზე უნდა შეთანხმებულიყვნენ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს რანდევუ არ გაიმართება... რაზე უნდა ილაპარაკონ პრეზიდენტებმა — ყირიმისა და დონბას-ლუგანსკის კიევისთვის დაბრუნებაზე? ეს ხომ აბსურდია!

**პუტინის ამასწინანდელი განცხადების გათვალიწინებით, ამიერიდან რუსეთი თვითონ განსაზღვრავს, სად გადის მისთვის წითელი ხაზები, ანუ საერთაშორისო ლიბერასტული კანონები ფეხებზე ჰკიდია, რადგანაც მათზე უპირატესი რუსეთის ახალი კონსტიტუციაა, მხარეები სერიოზულ საკითხებზე ვერ შეთანხმდებიან. შეხვედრა შეხვედრისთვის კი რუსეთის პრეზიდენტს არაფერში სჭირდება.** მით უმეტეს აშშ-ის ამჟამინდელი სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის, პერმანენტული მუქარების ფონზე, რომ რუსეთი დაისჯება.

ნეტავი რით დაისჯება?

ეს გაუთავებელი სანქციები უკვე ანეკდოტების, თანაც უკბილო ანეკდოტების, სფეროა და ტელეეკრანზე ენტონი ბლინკენის დანახვისას, ალბათ, ამიტომ მახსენდება ხოლმე ფილმ „ხარება და გოგიადან“ გოგიას ფრაზა: **„ჭიბიდან არ გაგივარდეს, ვერან!“**

**დავით მხეიძე**

**P.S. ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ პუტინი და ბაიდენი შვეიცარიაში შეხვდებიან ერთმანეთს ამა წლის 16 ივნისს.**

„ყველას სურს, რუსეთს უკბინოს და რაღაც წაჰგლიჯოს, მაგრამ მათ, ვინც ამის გაკეთებას აპირებს, უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ კბილებს დავუმტვრევთ ისე, რომ კბენა ვერ შეძლონ... ამის საშუალებას ჩვენი შეიარაღებული ძალების განვითარება იძლევა“.

გამოწვევა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთი ვითარების დაძაბვას არ ცდილობს, მაგრამ მზად არის აპოკალიფსური ომისთვის, ანუ რა თქვა პუტინმა

**ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაზე მასშტაბურ წვრთნებს ატარებს ევროპაში, „Defender Europe 2021“-ის ფარგლებში. ნატოში, როგორც ყოველთვის, „თავდაცვით ოპერაციებზე“ საუბრობენ, თუმცა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ და საექსპერტო წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ ფართომასშტაბიანი წვრთნები რუსეთის საზღვრების სიახლოვეს, მით უმეტეს, სადესანტო ოპერაციების განხორციელებით, მოსკოვის გამოწვევა და მისი საწინააღმდეგო პროვოკაცია.**

ნატომ წვრთნები მარტში დაიწყო და ივნისში დაასრულებს. წვრთნების გეოგრაფიული არეალი, რომელიც 16 ქვეყანას მოიცავს, კიდევ უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე მათში მონაწილე ჯარისკაცების (დაახლოებით 30 ათასი) რაოდენობა. „Defender Europe 2021“-ს მოქმედების სივრცე შავ ზღვასაც მოიცავს. მეტიც, შავმა ზღვამ ბალკანეთის ნახევარკუნძულთან ერთად, ნატოს სამხედრო წვრთნების დაგეგმვაში ათწლეულების განმავლობაში პირველად მიიღო ესოდენ დიდი, დომინანტური მნიშვნელობა. **აშშ და მისი ძირითადი მოკავშირეები ნატოში ფრიად შეშფოთებულნი არიან რუსულ-თურქული სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკურ-ენერგეტიკული თანამშრომლობის გაღრმავებით. თუკი ნატოს წევრი თურქეთი ათწლეულების განმავლობაში დარაჯობდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს, რათა ნატოს ევროპული სამხრეთი ფლანგი გაემაგრებინა რუსეთის შესაკავებლად, ახლა თურქეთი ძველებურად სანდო პარტნიორი აღარ არის ნატოსთვის.** ალიანსისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თურქეთი, თავისი შეიარაღებული ძალების სახით, ასე ვთქვათ, არ გადაეჩვიოს აშშ-ნატოსთან პარტნიორობას და კვლავ განაგრძოს ანტირუსული კურსი. შესაბამისად, თურქეთის შეიარაღებული ძალების აქტიურ მონაწილეობას ამ წვრთნებში და მთლიანად, სამხრეთის ფლანგს ვაშინგტონსა და ბრიუსელში დიდი ყურადღება ექცევა.

თუმცა, ნატო, უკვე კარგა ხანია, არ სჯერდება რუსეთის შეკავებას შავი ზღვის აუზში და თვითონ ცდილობს გავლენის მოპოვებას ამ რეგიონზე — პირველ რიგში, თავისი წევრების, ბულგარეთისა და რუმინეთის, მეშვეობით, ისევე, როგორც მორჩილი და ყველაფერზე თანახმა **საქართველოსა** და **უკრაინის** გამოყენებით. **რუსეთის სამხედრო პოზიციები შავ ზღვაზე საკმაოდ ძლიერია ყირიმის მიერთების შემდეგ, რომლის განვითარებაში უკვე დიდძალი რესურსი დააბანდა და თუნდაც ამ მიზეზით აშკარაა, რომ მოსკოვი არ არის დაინტერესებული დაძაბულობის ესკალაციაში. პირიქით, დაძაბულობას ხელს უწყობს დასავლეთი და მის მიერ წაქეზებული უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი.** საქართველოს ხელისუფლებაც აყოლილია ამ პროვოკაციებს და, განსხვავებით რუსეთისგან გეოგრაფიულად დაშორებული ქვეყნებისგან, როგორებიც არიან **ალბანეთი, რუმინეთი** და **ბულგარეთი,** თავისი მონაწილეობით ნატოს წვრთნებში საკმაოდ დიდი რისკის ქვეშ აყენებს ჩვენი ქვეყნის სტაბილობასა და მშვიდობიან ცხოვრებას. რუსეთი ჯერჯერობით არ გრძნობს არსებით საფრთხეს ასეთი წვრთნებისაგან და თავის ძალებში დარწმუნებულია, მაგრამ აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მხრიდან ვითარების მუდმივად დაძაბვის მცდელობები (მათ შორის, „Defender Europe 2021“) ამძაფრებს მის განწყობას გარე სამყაროსადმი. გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, რომ რუსეთის პრეზიდენტის, **ვლადიმერ პუტინის,** რიტორიკაც მძაფრდება. 20 მაისს ნოვო-ოგარიოვოში, საორგანიზაციო კომიტეტ „გამარჯვების“ სხდომაზე მან განაცხადა, რომ **„ყველას სურს, რუსეთს უკბინოს და რაღაც წაჰგლიჯოს, მაგრამ მათ, ვინც ამის გაკეთებას აპირებს, უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ კბილებს დავუმტვრევთ ისე, რომ კბენა ვერ შეძლონ... ამის საშუალებას ჩვენი შეიარაღებული ძალების განვითარება იძლევა“.**

ამ თემაზე პუტინის ადრინდელი განცხადება მახსენდება, რომელიც ასეთივე კატეგორიულია, მაგრამ აზრობრივად უფრო სიღრმისეული. შეგახსენებთ ამ განცხადებას, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა 2018 წელს, სოჭში გამართული „ვალდაის კლუბის“ შეხვედრის ფარგლებში გააკეთა:

**„აგრესორმა უნდა იცოდეს, რომ შურისგება აუცილებლად იქნება, რომ ის განადგურდება. ხოლო ჩვენ — აგრესიის მსხვერპლნი ვიქნებით; როგორც მოწამენი, მოვხვდებით სამოთხეში, ისინი კი, უბრალოდ, ჩაძაღლდებიან... იმიტომ, რომ ისინი მონანიებასაც ვერ მოასწრებენ“.**



**ნატო, უკვე კარგა ხანია, არ სჯერდება რუსეთის შეკავებას შავი ზღვის აუზში და თვითონ ცდილობს გავლენის მოპოვებას ამ რეგიონზე — პირველ რიგში, თავისი წევრების, ბულგარეთისა და რუმინეთის, მეშვეობით, ისევე, როგორც მორჩილი და ყველაფერზე თანახმა საქართველოსა და უკრაინის გამოყენებით. რუსეთის სამხედრო პოზიციები შავ ზღვაზე საკმაოდ ძლიერია ყირიმის მიერთების შემდეგ, რომლის განვითარებაში უკვე დიდძალი რესურსი დააბანდა და თუნდაც ამ მიზეზით აშკარაა, რომ მოსკოვი არ არის დაინტერესებული დაძაბულობის ესკალაციაში. პირიქით, დაძაბულობას ხელს უწყობს დასავლეთი და მის მიერ წაქეზებული უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი**




ეს ეპოქალური წინადადება პუტინმა ბირთვული ომის კონტექსტში წარმოთქვა. რუსეთს არ აქვს ბირთვული იარაღის პრევენციული გამოყენების სურვილი, მაგრამ, თუ რუსეთის მიმართ დაიწყება აგრესია, რუსეთი იტოვებს უფლებას, აწარმოოს გამანადგურებელი აპოკალიფსური ომი. ეს თქვა პუტინმა და დაასაბუთა მორალური კრიტერიუმით. ლიბერალებს (როგორც, მაგალითად, ტვ „დოჟდის“ ჟურნალისტებს) ძალიან გაუკვირდათ პუტინის ეს ნათქვამი და თან გამხიარულდნენ, პუტინის ფორმულირება მათ სასაცილოდ მიაჩნიათ. გახარებული „ბი-ბი-სის რუსული სამსახური“ ტირაჟირებას უკეთებდა ინტერნეტში „მოფუსფუსე“ უსაქმურების ღლიცინს, მაგალითად — „რუსი მოხვდა სამოთხეში და იქ პუტინი დახვდა“... აი მათი იუმორის მწვერვალი. მეტიც, „ვალდაის კლუბის“ შეხვედრაზე დარბაზში მსხდომმა ვითომ სოლიდურმა საზოგადოებამაც ვერ გაიგო პუტინის სიტყვების არსი. მაშინ, როცა პრეზიდენტმა თქვა, რომ აგრესორები „უბრალოდ ჩაძაღლდებიან“, დარბაზმა ეს ხუმრობად აღიქვა და სიცილი ატყდა, შეხვედრის მოდერატორი **ფიოდორ ლუკიანოვი** კი უხერხულად შეიშმუშნა. ამის შემდეგ პუტინმა დასძინა: **„იმიტომ, რომ ისინი მონანიებასაც ვერ მოასწრებენ“.** იქ მყოფი საზოგადოება, ყოველ შემთხვევაში, მისი დიდი ნაწილი, ვეჭვობ, მაინც ვერ მიხვდა ვერაფერს. არადა, **პუტინი სრული სერიოზულობით და უკიდურესად გულახდილად საუბრობდა, ეს კარგად ჩანს ვიდეოჩანაწერზე, რომლის ნახვა ყველას შეუძლია ინტერნეტში.**

მაინც, რა თქვა პრეზიდენტმა პუტინმა ასეთი, რაც ღიმილს უნდა იწვევდეს?

**შესაძლოა, ეს ღიმილისმომგვრელი იყოს რელიგიური შინაარსისგან სრულიად დაცლილი პრიმიტიული საზოგადოებისათვის, როგორადაც გადააქციეს თანამედროვე დასავლეთის უდიდესი ნაწილი, მაგრამ ნებისმიერმა მორწმუნე ადამიანმა იცის, რომ ადამიანის ამქვეყნიური არსებობა არის იმქვეყნიური სიცოცხლისთვის მზადება; ადამიანის ერთადერთი მიზანი პრინციპში არის (უნდა იყოს) სულის ცხონება სამოთხეში მოხვედრის გზით. სამოთხეში მოხვედრა კი შესაძლებელია კეთილი საქმეების კეთებით, მათ შორის, მართალი საქმისთვის სიცოცხლის გაწირვით.**

პუტინი სწორედ ასეთ მართალ საქმეზე საუბრობს — თუკი ფიზიკური დაღუპვა გარდაუვალია, მაშინ სულიერად გადარჩენილი იქნება ის, ვის მხარესაც სიმართლეა. აგრესორის მხარეს ვერ იქნება სიმართლე, შესაბამისად, იგი უბრალოდ „ჩაძაღლდება“ (ქრისტიანობა აგრესორსაც უტოვებს სულიერი გადარჩენის შანსს მონანიების გზით, მაგრამ მონანიება ამქვეყნიურ სიცოცხლეშივე უნდა მოხდეს), ხოლო ღმერთი საუკუნო სიცოცხლეს უბოძებს მას, ვინც სამშობლოს დაიცავს, საკუთარი ხალხისთვის გაწირავს სიცოცხლეს და არ დამორჩილდება აგრესორის ბოროტ ნებას. ეს არის სიცოცხლის მოწამებრივად დასრულება და, წესით, ურწმუნო ადამიანებსაც უნდა ჰქონდეთ იმდენი განათლება, რომ ეს იცოდნენ. ეკლესიას მოწამეები ხომ წმინდანებად ჰყავს შერაცხილი და ამის არცოდნა უმაღლესი განათლების მქონე ადამიანისთვის (იმისგან დამოუკიდებლად, ხარ რელიგიური თუ არა) მიუტევებელია.

პუტინმა ეს ყველაფერი იცის, აშკარაა, წლების განმავლობაში როგორ განვითარდა რუსეთის პრეზიდენტი სულიერად და ჩაუღრმავდა ქრისტიანობას. მან, პრინციპში, ძალიან ადვილად გასაგები რამ თქვა „ვალდაის კლუბის“ პოლიტოლოგების ფორუმზე და, მადლობა ღმერთს, რუსეთში უამრავმა ადამიანმა სწორად გაიგო კიდეც ეს ნათქვამი (მაგრამ ვერ გაიგო პოლიტოლოგებისა და ჟურნალისტების ნაწილმა); სწორად გაიგებენ ამას ქართველებიც, რომელთა უდიდესი ნაწილი თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს.

**გულბაათ რცხილაძე**

პროცესი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტატიის ავტორი „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ზე ბაიდენის გადაწყვეტილებას მისი სხვა ქმედებების ლოგიკურ გაგრძელებად მიიჩნევს, რომლებიც მის სისუსტეებს წარმოაჩენს, მაგალითად, როგორ ევედრებოდა პუტინს, დათანხმებოდა უმაღლესი დონის შეხვედრაზე.**

# «ბაიდენის დიდი საჩუქარი პუტინისთვის» — აშშ-ში ბევრს გაუცრუვდა იმედი

**დონალდ ტრამპი, როცა პრეზიდენტი იყო, მოწინააღმდეგეებს არაერთხელ შეუჩვენებიათ „პრორუსულობისთვის“. ტრამპს ბევრჯერ მოხვედრია ლიბერალი პოლიტიკოსებისა და მასმედიისგან რუსეთის მიმართ გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრების გამო: კარგს იტყოდა — მოღალატეა, პუტინის მარიონეტიო; ცუდს — ფარისეველი და მოღალატეო. ჯო ბაიდენისგან სხვა რამეს ელოდნენ: აი ახლა მოვა და ყველას დაანახვებსო. და რა დაგვანახვა ბაიდენმა?**




ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია, მიუხედავად იმისა, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის წინააღმდეგია, მზად არ არის, ამ პროექტის შესაჩერებლად გერმანიასთან ურთიერთობა გააფუჭოს. სანქციები იგეგმება, მაგრამ ეს სანქციები სახის შესანარჩუნებლად იქნება და არა იმისთვის, რომ მილსადენის მშენებლობას მძლავრი წინაღობა შეუქმნას. ეს სანქციები შეიძლება შემოიღონ ოთხი გემის წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობდნენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მშენებლობაში და არა ოპერატორ Nord Stream 2 AG-ისა და მის ხელმძღვანელ მატიას ვარნიგის მიმართ. ამასთანავე, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა დაადასტურა, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ ემუქრება ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, აგრეთვე, უკრაინისა და ნატოს აღმოსავლელი პარტნიორების უსაფრთხოებას.

როგორც კი ამის შესახებ სანდო წყაროებზე დაყრდნობით დაწერეს Axios-მა და Politico-მ, ბაიდენეის პოლიტიკამ რუსეთის მიმართულებით კითხვები გააჩინა. ამ პროცესს კარგად ახასიათებს რეაქცია თავგამოდებულ რუსოფობ ტომ როგანისა, რომელმაც თავისი უარყოფითი დამოკიდებულება Washington Examiner-ის ფურცლებზე გადმოანთხია. მან მწვავედ გააკრიტიკა ბაიდენი იმის გამო, რომ ის პუტინის წინააღმდეგ უფრო სუსტია, ვიდრე ტრამპი.

როგანი დარწმუნებულია: შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ბაიდენი მიიჩნევს, რომ მილსადენის გაუქმებით გერმანიისთვის მიყენებული ზარალი მეტი იქნება ნატოსა და ევროპის უსაფრთხოებისთვის მოტანილ სარგებელზე. მისი აზრით, მიზანი **ანგელა მერკელის** მთავრობისადმი ბაიდენის მზრუნველობა კი არ არის, არამედ ის, რომ ბაიდენის რიტორიკა პუტინის მიმართ, უბრალოდ, რიტორიკაა. **„რა თქმა უნდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დიდი ნაწილი არად ჩააგდებს ამ ჭეშმარიტებას, მაგრამ ბაიდენის გადაწყვეტილება პუტინისთვის დიდი საჩუქარია“, — ამტკიცებს როგანი და განმარტავს თავის პოზიციას.**

„ჩრდილოეთის ნაკადი-2“, პირველ რიგში, პუტინს მისცემს საშუალებას, ევროპა დიდი ხნის განმავლობაში ჰყავდეს ენერგეტიკულად დამოკიდებული რუსეთზე და ევროპაში პოლიტიკური ვნებათაღელვის ჩაცხრობის სანაცვლოდ ის ცივ ზამთარში ენერგიას მიაწოდებს ევროპას. ამრიგად, დაირღვევა ის საერთაშორისო დღის წესრიგი, რომელსაც სათავეში უდგას ამერიკის შეერთებული შტატები. ეს დღის წესრიგი კი დაფუძნებულია დემოკრკატიულ სუვერენიტეტზე, თავისუფალ ვაჭრობასა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაზე. ეს განსაკუთრებით შეაშფოთებს ნატოელ მოკავშირეებს, რომლებიც რუსეთს ესაზღვრებიან, კერძოდ, პოლონეთსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს — ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქვეყნები თავიანთი მშპ-ს 2%-ს ხარჯავენ თავდაცვაზე“, — წერს როგანი.




მას ძალიან სტანჯავს უკრაინის ბედიც, რომელსაც „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ წაართმევს მილიარდობით დოლარის ყოველწლიურ შემოსავალს, რადგან შეწყდება ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება უკრაინული მილსადენით.

**„ქვეყნისთვის, რომელიც იმყოფება რუსეთის სამხედრო წნეხის ქვეშ, ბაიდენის ქმედებები მოღალატეობრივია“.**

მესამე — **როგანი „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ზე ბაიდენის გადაწყვეტილებას მისი სხვა ქმედებების ლოგიკურ გაგრძელებად მიიჩნევს, რომლებიც მის სისუსტეებს წარმოაჩენს, მაგალითად, როგორ ევედრებოდა პუტინს, დათანხმებოდა უმაღლესი დონის შეხვედრაზე.**

ბოლოს, წერილის ავტორი მკითხველებს შეახსენებს, რომ **არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით გერმანიას არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ ასეთი დიდი საჩუქარი დაემსახურებინა. ბაიდენი სხვანაირად უნდა მოქცეულიყო, მერკელი კი არ უნდა დაეცვა „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის სანაცვლოდ, არამედ ეს პროექტი სანქციებით ისე უნდა ჩაეშალა, რომ გერმანიაში მთავრობა შეცვლილიყო, და მერკელის ადგილი სექტემბერში გასამართი არჩევნების შემდეგ „შთამბეჭდავ ანალენა ბერბოკს“ დაეკავებინა, რადგან „აშკარაა ფაქტები მერკელის დამოკიდებულებისა აშშ-ის კრიტიკული ინტერესების მიმართ“.**

ამ ფაქტებს შორის როგანი ჩამოთვლის მერკელის დადებით დამოკიდებულებას ჩინეთისადმი, მერკელის მიერ დადებული პირობის დარღვევას, რომ ნატოს ბიუჯეტში გადაიხდიდა გერმანიის მშპ-ს 2%-ს, თავის ტერიტორიაზე რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ქიმიური ობიექტებისთვის მოქმედების უფლების მიცემას. ბოლო პუნქტი ბაიდენისთვის არც ისე კარგია — მან უნდა აღიაროს, რომ რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველო ანგრევს ამერიკელი პატრიოტების ნერვულ სისტემას მთელ მსოფლიოში. **აქ ავტორი გულისხმობს ამერიკის სადაზვერვო თანამეგობრობაში და კაპიტოლიუმის ბორცვზე სულ უფრო მეტად გამძაფრებულ ეჭვს, რომ რუსეთი მიზანმიმართულად ახორციელებს რაიდიოსიხშირეებით შეტევას აშშ-ის მთავრობის იმ თანამშრომლებზე, რომლებიც მუშაობენ საგარეო პოლიტიკის ან ეროვნული უსაფრთხოების სფეროებში.**

„მარტივად რომ ვთქვათ, ბაიდენს შეეძლო, მართებული რაღაცები ეთქვა ნატოზე, შეიძლება, თქვას კიდეც, მაგრამ მსგავსი ქმედება პუტინისთვის დიდი საჩუქარია. თუ ეს არის „კა-გე-ბეს“ ყოფილი თანამშრომლისთვის მკაცრი მიმართვა, მაშინ ვიმედოვნებ, ჩვენ ვერასოდეს შევიტყობთ, რა არის ბაიდენის სისუსტეები“, — ავისმომასწავებლად ასკვნის ტომ როგანი.

**iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# გერმანიაში რუსეთთან ბრძოლაში აშშ-ის მარცხზე ალაპარაკდნენ

**გერმანული გაზეთის — Suddeutche Zeiturg-ის ჟურნალისტმა Hჰუბერტ ვეტცელმა აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის უარს მილსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის ოპერატორ Nord Stream-2 AG-ის წინააღმდეგ სანქციების დაწესებაზე ვაშინგტონის პოლიტიკური მარცხი უწოდა. ვეტცელი დარწმუნებულია, რომ თეთრი სახლის უფროსმა რუსულ-გერმანული მილსადენის გარშემო ატეხილი კამათისთვის წერტილის დასასმელად დანებება გადაწყვიტა.**



„შეეძლო კი ბაიდენს სხვანაირად მოქცეულიყო? დიახ, მაგრამ ის ამისთვის დიდ საფასურს გადაიხდიდა“, — დაწერა ვეტცელმა. ახალი შეზღუდვების დაწესებით ვაშინგტონი გააღრმავებდა კონფლიქტს ბერლინთან — ერთ-ერთ ახლო მოკავშირესთან, ხოლო სანქციები დააზიანებდა არამხოლოდ მოსკოვის ინტერესებს.

„მას (ბაიდენს) არ სურს, დააზიანოს გერმანულ-ამერიკული ურთიერთობა, რომელიც უკვე ძალიან დაზიანდა ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში. ეს ეროვნული უსაფრთხოების მთავარი საკითხია“, — განმარტავს ვეტცელი, რომელმაც დასძინა, რომ გერმანულ-რუსული მილსადენის პროექტის რეალიზაცია გააძლიერებს რუსეთის გავლენას ევროპაში და დააკნინებს პოლონეთისა და უკრაინის როლს.

როგორც გერმანიის ვიცე-კანცლერმა **ოლაფ შოლცმა** განაცხადა, გერმანიის მთავრობა აწარმოებს მოლაპარაკებებს აშშ-თან „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მშენებლობის დასრულებაზე და უკრაინის მილსადენით რუსული ბუნებრივი აირის ტრანზიტზე. შოლცი სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატია კანცლერის პოსტზე 26 სექტემბერს გასამართ არჩევნებში.

**tia.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

„ასოცირების ტრიო“ ზუსტად შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ დღის წესრიგს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. მოლდოვა, როგორც მეზობელი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები, წარმოადგენს იმ ღერძს, რომელსაც დასავლეთი ინსტრუმენტად იყენებს რუსეთთან დაპირისპირებაში“.

დასავლეთის ინსტრუმენტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის კიევში ვიზიტის შემდეგ უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის დიპლომატიური უწყებების ხელმძღვანელებმა ახალი გაერთიანების შესახებ განაცხადეს — „ასოცირებული ტრიო“ ევროპაში ინტეგრაციისთვის. დღეს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ევროკავშირში ინეტეგრაცია ნაკლებად სავარაუდოა, ზემოღნიშნულ გაერთიანებაში უკრაინის მონაწილეობა კი მხოლოდ ართულებს დანარჩენი ორი ქვეყნის ამოცანას, თუმცა ეს ინიციატივა აშშ-ის ანტირუსულ გეგმებში კარგად „ჯდება“. როგორია აღნიშნული ტრიოს შექმნის ჭეშმარიტი მიზანი?**

# რისთვის სჭირდება დასავლეთს «ასოცირებული ტრიო»

## აშშ-მა საქართველო, უკრაინა და მოლდოვა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გააერთიანა

17 მაისს კიევში უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის საგარეო საქმეთა მინისტრებმა: **დიმიტრი კულებამ, დავით ზალკალიანმა** და **აურელიუ ჩოკოიმ** (ის აგრეთვე, არის მოლდოვის მთავრობის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი) ხელი მოაწერეს მემორანდუმს „ასოცირებული ტრიოს“ შექმნის შესახებ, რომელიც ითანამშრომლებს ევროპაში ინტეგრაციის საკითხებზე.

„ეს არის ჩვენი განაცხადი, რომ ამ სამი პარტნიორი ქვეყნისთვის არ არსებობს ევროპაში ინტეგრაციის ალტერნატივა“, — განაცხადა დიმიტრი კულებამ. უკრაინის დიპლომატიის მეთაურის თქმით, „ევროკავშირმა ეს სამი ქვეყანა სერიოზულ პროექტად უნდა აღიქვას ევროპის აყვავებისა და უსაფრთხოებისთვის“. კულებას ქართველი კოლეგა, დავით ზალკანიანი, უფრო კონკრეტული იყო. მისი თქმით, თბილისი-კიევი-კიშინიოვი იმედოვნებს, განამტკიცოს კავშირები ევროკავშირის ხელმძღვანელ სტრუქტურებთან, უწინარესად, ევროკავშირთან „ასოცირების შეთანხმების ბაზაზე“. ევროკავშირთან კონტაქტები გამყარდება, აგრეთვე, „უსაფრთხოების საკითხებზეც“.

ევროკავშირზე ორიენტაცია საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის სუვერენული არჩევანია „და ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეძლებს ევროკავშირისკენ ჩვენი მოძრაობის ცვლილებას“, — აღნიშნა ზალკანიანმა. პრეზენტაციას ამ ახალი რეგიონული ინიციატივისა, რომელიც აშკარად მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ, უძღვოდა „სამეულის“ წევრი ქვეყნების კონტაქტების გააქტიურება. მოლდოვის ხელისუფლების სათავეში პროდასავლური **მაია სანდუს** მოსვლის შემდეგ კიშინიოვმა და კიევმა ურთიერთობის გადატვირთვა გამოაცხადეს. მაია სანდუს პირველი ვიზიტი უკრაინაში ჰქონდა **ვლადიმერ ზელენსკისთან** — საუბარი შეეხო ორი ქვეყნის სტრატეგიულ თანამშრომლობას. აპრილში კი საქართველოს პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა** შესთავაზა სანდუს, „დაეწყოთ მუშაობა ევროპაში ინტეგრაციის ერთობლივი მიზნების მისაღწევად“.

„ასოცირებული ტრიოს“ შესახებ მემორანდუმზე ხელმოწერის შემდეგ მოლდოვის მთავრობის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა, ისევე, როგორც უკრაინა და საქართველო, დაინტერესებულია, განახორციელოს „აღმოსავლური პარტნიორობის“ ამბიციური მიზნები.

**პროექტი „აღმოსავლეთის პარტნიორმა“ ევროკავშირის 2004 წლის ინიციატივაა და გულისხმობს საინტეგრაციო კავშირების განმტკიცებას ევროკავშირსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, კერძოდ, ბელარუსთან, უკრაინასთან, მოლდოვასა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან — იმ ტერიტორიებთან, რომლებზეც გასული საუკუნის ბოლოდან არ წყდება ანტირუსული სარტყლის შექმნის მცდელობა.**

ნიშანდობლივია, რომ „ასოცირებული ტრიოს“ მიზნები, პარაქტიკულად, სიტყვასიტყვით ემთხვევა ევროკავშირის მოხსენების თეზისებს რუსეთის მიმართ დამოკიდებულების 5 პრინციპზე. პირველი პრინციპია **„რუსული საფრთხის შეკავება“**. დოკუმენტის ავტორების ჩანაფიქრის მიხედვით, ევროკავშირმა ნატოსთან ერთად უნდა დაუჭიროს მხარი სტაბილურობას „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებში და წნეხში მოაქციოს მოსკოვი „ოკუპირებული ტერიტორიების“ დაბრუნების მიზნით. მეორე პრინციპი — ეს არის „ევროკავშირსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების საშინაო საქმეებში რუსეთის ჩარევის წინააღმდეგ ბრძოლა. აქ აღნიშნულია უსაფრთხოების ხელშეკრულების გაფორმება რეგიონის იმ ქვეყნებთან, რომლებმაც ხელი მოაწერეს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას. ეს ქვეყნები კი არიან ისევ უკრაინა, საქართველო და მოლდოვა, რომლებმაც ასოცირების ხელშეკრულებას 2014 წელს მოაწერეს ხელი.

ევროკავშირის მიერ რუსეთთან ურთიერთობის გამოცხადებული 5 პრინციპის გარდა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა — აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, **ენტონი ბლინკენისა,** და მისი მოადგილის, **ვიქტორია ნულანდის,** ვიზიტი კიევში მაისის დასაწყისში. ექსპერტთა შეფასებით, სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელთა კიევში ვიზიტი, რომლის მიმდინარეობისას ბლინკენი შეხვდა პრეზიდენტ **ზელენსკის** და საგარეო საქმეთა მინისტრ კულებას, სავარაუდოდ, შეეხებოდა უკრაინის მიერ საგარეოპოლიტიკური კურსის გამომუშავებას.

„თუ დავუშვებთ, რომ „ტრიო“ შექმნილია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, მაშინ უნდა ველოდოთ, რომ აშშ კონცენტრირებულად დაეხმარება ამ საერთაშორისო გაერთიანებას (უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID-ი საქართველოს 67 მლნ დოლარის ოდენობის გრანტს გამოუყოფს — გ.გ.)“, — ამბობს პოლიტიკის უკრაინული ინსტიტუტის ხელმძღვანელი **რუსლან ბორტნიკი.** ამასთანავე, ბორტნიკმა ახალი გაერთიანება შეადარა სხვა პროდასავლურ პროექტს — „დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუუამს (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა). 1999 წელს ნატოს საიუბილეო სამიტზე ვაშინგტონში სუუამის სახელმწიფოების მეთაურებმა მიიღეს დეკლარაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შესახებ. პროექტი აქტუალური იყო 2000-იანი და 2010-იანი წლების შუაში, შემდეგ მის მიმართ ინტერესი მინელდა. ჯერ ორგანიზაციის აბრევიატურიდან ამოვარდა ერთი „უ“ — გავიდა უზბეკეთი. აღსანიშნავია, რომ უკრაინისა და მოლდოვის იმჟამინდელი პრეზიდენტები: **ვიქტორ იანუკოვიჩი** და **ვლადიმერ ვორონინი** მრავალვექტორიან პოლიტიკას უჭერდნენ მხარს. ითვლება, რომ სუამის როლის დაკნინებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოლდოვის პრეზიდენტის, **იგორ დოდანის,** კატეგორიულმა უარმა რესპუბლიკის ანტირუსულ კოალიციაში ჩათრევის შესახებ და **მიხეილ სააკაშვილის** წასვლამ საქართველოს პრეზიდენტის პოსტიდან.



უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის „სამმაგი კავშირი“ მნიშვნელოვანი სიდიდისა და გავლენის არ არის და ამ ქვეყნების ევროინტეგრაციის პერსპექტივაზე საუბრის სერიოზულ საფუძველს არ იძლევა, მაგრამ პოსტსაბჭოთა ტრიოს აშშ და ნატო რუსეთზე ზემოქმედების ინსტრუმენტად გამოიყენებენ. რთული მისახვედრი არ არის, რას მოუტონს ამ ქვეყნებს რუსეთთან დაპირისპირების ინსტრუმენტად ყოფნა




როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, კიშინიოვში ხელისუფლების შეცვლას მორიგი „დემოკრატიის ბლოკის“ შექმნა მოჰყვება. სუამის მსგავსი ბლოკის შექმნაზე ჯერ კიდევ მარტში ალაპარაკდნენ. რაც შეეხება ევროკავშირში ინტეგრაციის რეალურ გეგმებს, საქართველოს დიპლომატიური აკადემიის ყოფილი ხელმძღვანელის — **სოსო ცინცაძის** თქმით, „ქართველი პოლიტიკოსები უნდა დაფიქრდნენ, დაეხმარება თუ არა მოლდოვასა და საქართველოს უკრაინასთან „მიბმა“ ევროინტეგრაციაში, ან პირიქით — დაამუხრუჭებს თუ არა ამ პროცესს“.

„ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა ჩვენ მაშინ მივიღეთ, „როცა უკრაინისგან ცალკე განგვიხილავდნენ“, და შეგახსენებთ, ჩვენ მას ძალიან გავუსწარით ამ საკითხში, — განმარტა სოსო ცინცაძემ, — ახლა კი მიბმამ უკრაინაზე შეიძლება ხელი შეგვიშალოს. საკმარისია, ითქვას, რომ ნატოში საქართველოს ინტეგრაციაზე რუსეთს ისეთი რეაქცია არ ექნება, როგორიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უკრაინის შესვლაზე. ამასთანავე, მოლდოვაში საპარლამენტო არჩევნები უნდა გაიმართოს, პრეზიდენტი სანდუ იმედოვნებს, უკრაინასა და საქართველოსთან ერთად ახალშექმნილი ფორმატი მას დამატებით ქულებს მოუტანს, მაგრამ ეს გადაწყვეტილება საკმაოდ საეჭვოა, რადგან, თუ მოლდოვაში ევროპის მომხრეები ვერ გაიმარჯვებენ, კიევში ხელმოწერილი დოკუმენტები ფიქცია ხდება: ნებისმიერ შემთხვევაში „ასოცირებული ტრიო“ საქართველოსთვის სარგებელს ვერ მოიტანს“.

**„ასოცირების ტრიო“ ზუსტად შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ დღის წესრიგს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. მოლდოვა, როგორც მეზობელი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები, წარმოადგენს იმ ღერძს, რომელსაც დასავლეთი ინსტრუმენტად იყენებს რუსეთთან დაპირისპირებაში“,** — განაცხადა მოლდოვის საზოგადოებრივი საბჭოს, „თავისუფალი სამშობლოსთვის“ ხელმძღვანელმა იგორ ტულიანცევმა.

უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის „სამმაგი კავშირი“ მნიშვნელოვანი სიდიდისა და გავლენის არ არის და ამ ქვეყნების ევროინტეგრაციის პერსპექტივაზე საუბრის სერიოზულ საფუძველს არ იძლევა, მაგრამ აშშ და ნატო პოსტსაბჭოთა ტრიოს რუსეთზე ზემოქმედების ინსტრუმენტად გამოიყენებენ. რთული მისახვედრი არ არის, რას მოუტონს ამ ქვეყნებს რუსეთთან დაპირისპირების ინსტრუმენტად ყოფნა.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**P.S. რა მოაქვს დასავლეთისადმი უსიტყვო მორჩილებას და მისი მითითებით ზესახელმწიფოსთან დაპირისპირებას საქართველოსთვის, გვაჩვენა 2008 წლის აგვისტოს ომმა, როდესაც შეურაცხადმა სააკაშვილმა დასავლეთის წაქეზებით წამოიწყო ე.წ. სამშვიდობო ოპერაცია ცხინვალში და შედეგად საქართველომ ცხინვალის რეგიონიც დაკარგა და აფხაზეთთან ერთად კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი. სწორედ ასეთი „დაპირისპირებისთვის“ სჭირდებათ ჩვენს „სტრატეგიულ მეგობრებს“ საქართველო, რათა ჩვენმა ქვეყანამ, ამერიკელი გენერლის თქმით, „უკანასკნელ ჯარისკაცამდე“ იბრძოლოს რუსეთთან დასავლეთის ინტერესების დასაცავად.**

**გ.გ.**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ახალგაზრდების გმირულმა შემართებამ ქვეყნის განვითარებაში, რომლის მთავარი დირიჟორიც დიდ სამამულო ომში გამარჯვების ტრიუმფატორი სტალინი გახლდათ, გამოხმაურება ჰპოვა როგორც პროზაში, ისე პოეზიაში, მხატვრობაში, კინოში, თეატრში. იქმნებოდა არა ფრაქციები და ოპოზიციური პარტიები, არამედ შრომითი ბრიგადები, რომლებიც მე-5 ბორბალი ხდებოდა ქვეყნის განვითარების საქმეში, საამქროებში გუგუნებდა შრომის სადიდებელი ჰიმნები.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17, 2021 წ.

# სტალინური ეპოქის ქართული სახელმწიფო

**პირველი ცნობები ქართულ (ტყიბულის) ქვანახშირზე 1830-იან წლებში გაჩნდა. შედარებით შესწავლა ტყიბულის ქვანახშირის საბადოებისა 1845 წელს დაიწყო. ამავე წლიდან დაიწყო მისი მტაცებლური ექსპლოატაცია უპირატესად სამხედრო მიზნით. ქვანახშირის მოპოვება არარეგულარულად ხშირად წყდებოდა, ხოლო ერთგვარად გაფართოვდა 1886 წლიდან, მაღაროებამდე რკინიგზის გაყვანის შემდეგ.**

მიუხედავად იმისა, რომ ქვანახშირის მოპოვებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახალხო მეურნეობაში, როგორც ძირითად მამოძრავებელ ძალას მრეწველობის განვითარებისთვის, ტექნოლოგიური და ამოღების იარაღების გაუმჯობესების თვასაზრისით, მაინც უკანა პლანზე რჩებოდა. ეს გრძელდებოდა არა მხოლოდ ცარიზმის პირობებში, არამედ რევოლუციის შემდგომ ეტაპზეც, როდესაც ამიერკავკასია ჩამოშორებული იყო რუსეთის იმპერიას და „დამოუკიდებელ“ ქვეყნად ითვლებოდა (ოღონდ ოსმალეთის, ირანის, გერმანიის, ინგლისის, იტალიისა და სხვათა ბატონობის ქვეშ). ქვანახშირის მოპოვება წერაქვით, ძალაყინით, ბარითა და ხელის სხვა იარაღებით წარმოებდა, ამიტომ დიდი იყო ქვანახშირის დანაკარგი, მიწისქვეშ ხშირად ჩნდებოდა ხანძარი, უსაფრთხოების ტექნიკის არარსებობის გამო ქანების მასიურად ჩამოწოლა იწვევდა მსხვერპლს. **მძიმე და აუტანელი იყო ქვანახშირის საბადოზე მომუშავეთა შრომისა და ცხოვრების პირობები. 12-საათიანი სამუშაო დღე, უკიდურესად დაბალი ხელფასი და სხვ. მეშახტეები ბნელ და ნესტიან ქოხებსა და შახტებშიც კი ცხოვრობდნენ. საბადოების ექსპლუატაციის 60 წლის განმავლობაში (1845-1905) ამოიღეს მხოლოდ 27 850 ტ ქვანახშირი.** ხალხის უბოროტესი მტრების, ქართველი მენშევიკების, ბატონობის პერიოდში ქვანახშირის ამოღება მკვეთრად შემცირდა. 1919 წელს ქვანახშირის მოპოვება (36000 ტ) 1913 წელთან შედარებით თითქმის ორჯერ შემცირდა. ტყიბული ქვანახშირის მრეწველობის ერთადერთი, თუმცა უაღლესად ჩამორჩენილი კერა იყო საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამდე.Pპარალელი შეიძლება გაივლოს არა მხოლოდ ქვანახშირის წარმოების მხრივ მენშევიკურ და თანამედროვე საქართველოს მთავრობათა შორის, არამედ ბუნებრივიც არის, რომ **მენშევიკური და 30-წლიანი „დამოუკიდებელი“ საქართველოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური სურათი, ერთი და იმავე ფოტოგრაფიის გადაღებულია და ერთ ხსნარშია გამჟღავნებული. სურათს მდგრადობას უნარჩუნებს უდღეურ მენშევიკურ კონსტიტუციაზე დაფუძნებული არაფრისმთქმელი დღევანდელი კონსტიტუცია, რომელსაც, რატომღაც, „დემოკრატიულ“ კონსტიტუციად მოვიხსენიებთ.**

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებიდან მალევე, მთავრობისა და პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საზრუნავად იქცა ქვანახშირის მრეწველობის აღდგენა და გაფართოება. საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებით განხორციელების ამოცანა გადაჭრით აყენებდა ტყიბულის ქვანახშირის საბადოს აღდგენის, რეკონსტრუქციისა და შემდგომი განვითარების, აგრეთვე, ქვანახშირის მრეწველბის ახალი კერების შექმნის საკითხს. ამ საკითხის დადებითად გადაჭრას სერიოზული როლი უნდა ეთამაშა საქართველოს სათბობის ბალანსში და ხელი შეეწყო მრეწველობის დანარჩენი, განსაკუთრებით თბოტევადი, დარგების წარმოქმნა-განვითარებისთვის. ამიტომაც იქცა ტყიბულის, ტყვარჩელისა და ჭიათურის რაიონები საქართველოს სამრეწველო საბაზისო ცენტრებად, რომლებიდანაც მარაგდებოდა უძვირფასესი „შავი ოქროთი“ თუ „მრეწველობის პურით“ — მარგანეცით — თითქმის ნახევარი მსოფლიო. **საბჭოთა ხელისუფლებამაც ყოველივე კარგი ზემოხსენებული რაიონებისკენ მიმართა, რამაც გამოიწვია არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის მოლონიერება, არამედ ქალაქების კეთილმოწყობა და განათლების, კულტურის, ხელოვნების, სპორტის, ჯანდაცვისა და მეცნიერების უმაღლეს დონეზე განვითარება. ჭიათურა, თავისი მაღალი კულტურის გამო, მეორე დედაქალაქად იქცა.** არსებითად შეიცვალა ძველი წარმოდგენა საქართველოს ქვანახშირის საბადოებისა და მარაგის შესახებ. უკვე ცნობილი ტყიბულის, ტყვარჩელის, ახალციხის, ბზიფისა და სხვა რაიონების საფუძვლიანმა შესწავლამ უზრუნველყო ამ რაიონებში ახალი საბადოების გამოვლენა, აგრეთვე, გამორკვეულ იქნა ქვანახშირის ნაწილობრივ უცნობი და სრულიად შეუსწავლელი რაიონები: ქართლში, ზემო და ქვემო იმერეთში, რაჭაში, კახეთში და სხვაგან. თუ წინათ ტყიბულის ქვანახშირის მარაგს უმნიშვნელო რაოდენობით განსაზღვრავდნენ, შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ამ რაიონის ქვანახშირის გეოლოგიური მარაგი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ვარაუდობდნენ. ტყვარჩელის გეოლოგიურმა მარაგმა ფრიად მოიმატა ახალი კვლევით-საძიებო სამუშაოების ჩატარების შედეგად. სწორედ აღნიშნული აღმოჩენებისა და მათზე ზრუნვის უზრუნველყოფამ შექმნა მტკიცე საფუძველი, დედამიწის 1/6-ზე (მზიურ საქართველოშიც) დაწყებულიყო ინდუსტრიალიზაცია, რომლის საჭეც საიმედო ხელში იყო და შეუპოვარად მიაქანებდა ქვეყანას ბედნიერი მომავლისაკენ, აღთქმული ქვეყნისაკენ — კომუნიზმისაკენ.



**როდის გაჩნდება კომუნიზმის პირველი ნიშნები ქვეყანაში? — ჰკითხეს პოლიტბიუროზე სტალინს 1946 წელს. სტალინს არც ბლიცკითხვები უყვარდა და არც მათზე პასუხის გაცემა. მცირეოდენი შეყოვნების შემდეგ მან მშვიდად განაცხადა: «თუ ომმა ან სხვა უბედურებამ ხელი არ შეგვიშალა, ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც პურს უფასოდ მივაწვდით მოსახლეობას, ვფიქრობ, ეს იქნება არაუგვიანეს 1960 წელს»**

**— როდის გაჩნდება კომუნიზმის პირველ ნიშნები ქვეყანაში?** — ჰკითხეს პოლიტბიუროზე სტალინს 1946 წელს. სტალინს არც ბლიცკითხვები უყვარდა და არც მათზე პასუხის გაცემა. მცირეოდენი შეყოვნების შემდეგ მან მშვიდად განაცხადა: **„თუ ომმა ან სხვა უბედურებამ ხელი არ შეგვიშალა, ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც პურს უფასოდ მივაწვდით მოსახლეობას, ვფიქრობ, ეს იქნება არაუგვიანეს 1960 წელს “.**

სტალინური ხუთწლედები გადაიქცა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის აყვავებისა და აღორძინების პერიოდად. დიდი კაპიტალური დაბანდებების შედეგად განხორციელდა ტყიბულის ქვანახშირის შახტების გაფართოება და ძირფესვიანი ტექნიკური რეკონსტრუქცია. შეიქმნა ახალი სამრეწველო კერები ტყვარჩელსა და ახალციხეში. **1921-დან 1945 წლამდე კაპიტალური დაბანდება ქვანახშირის მრეწველობაში, ლიმიტგარეშე დაბანდებისა და კაპიტალური რემონტის ჩათვლით, ფაქტობრივი ღირებულებით შეადგენდა 302,2 მლნ მანეთს, ხოლო 1938-1939 წწ. კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობამ 43,4 მლნ მანეთს მიაღწია, რაც 33,1%-ით აღემატებოდა პირველი ხუთწლედის დაბანდებას. პირველი და მეორე ხუთწლედების პერიოდში მხოლოდ ტყიბულის ქვანახშირის შახტების გაფართოება-რეკონსტრუქციაზე დაიხარჯა დაახლოებით 33 მლნ მანეთი, ხოლო ტყვარჩელის ქვანახშირის მრეწველობაში დაბანდებულ იქნა დაახლოებით 75 მლნ მანეთი.** ახალგაზრდების გმირულმა შემართებამ ქვეყნის განვითარებაში, რომლის მთავარი დირიჟორიც დიდ სამამულო ომში გამარჯვების ტრიუმფატორი სტალინი გახლდათ, გამოხმაურება ჰპოვა როგორც პროზაში, ისე პოეზიაში, მხატვრობაში, კინოში, თეატრში. იქმნებოდა არა ფრაქციები და ოპოზიციური პარტიები, არამედ შრომითი ბრიგადები, რომლებიც მე-5 ბორბალი ხდებოდა ქვეყნის განვითარების საქმეში, საამქროებში გუგუნებდა შრომის სადიდებელი ჰიმნები:

**„თქვენ დამკვრელნი ხართ,**
**დაზგებს ამღერებთ,**
**ტემპიც მატულობს**
**ყოველდღიურად,**
**დასცხეთ, დაჰკარით**
**მარცხებს, გარღვევებს,**
**დასცხეთ, დაჰკარით**
**კოლექტიურად!**

**ჰა, გრაგანებენ კვლავ**
**მანქანები,**
**ყალყზე დგებიან,**
**გრიგალდებიან,**
**ტემპს რომ ხვდებიან**
**მძლავრ გაქანებით,**
**კომკავშირული**
**ბრიგადებია.**
**თითქოს მანქანა დაზგებს**
**დაჰხარის,**
**ყალყზე დამდგარი**
**ბორგავს გმირულად,**
**დასცხეთ, დაჰკარით,**
**დასცხეთ, დაჰკარით,**
**დასცხეთ, დაჰკარით**
**კომკავშირულად!“**

მოუწოდებდა ახალგაზრდობას **ალიო მირცხულავა.**

ამ დიდ კაპიტალურ დაბანდებათა შედეგად შეიქმნა ქვანახშირის მრეწველობის მძლავრი საწარმოო ობიექტები — ტყიბულში მოეწყო და ექსპლუატაციაში შევიდა 600 ათასი ტონის წლიური წარმოების სიმძლავრის სტალინის სახელობის შახტი, რომლის მშენებლობა დაახლოებით 20 მლნ მანეთი დაჯდა; 600 ათასი ტონა წლიური სიმძლავრის მეორე შახტი, რომლის მშენებლობა დაახლოებით 22 მლნ მანეთი დაჯდა; 20 ათასი ტონა წლიური სიმძლავრის გელათის შახტი ექპლუატაციაში შევიდა 1939 წელს; მის მშენებლობაზე დაიხარჯა 3,5 მლნ და სხვ. პირველ და მეორე ხუთწლედებში შეიქმნა ქვანახშირის მრეწველობის ახლი მძლავრი კერა ტყვარჩელში. იქ აიგო მსხვილი ობიექტები: სტალინის სახელობის შახტი-1 — 300 ათასი ტონა წლიური საპროექტო სიმძლავრით; შახტის მშენებლობაზე (1929-1935 წწ.) დაიხარჯა 67 მლნ მანეთზე მეტი; 400 ათასი ტონა წლიური საპროექტო სიმძლავრის 2 შახტის მშენებლობა დაიწყო 1938 წელს, იგი ექსპლოატაციაში შევიდა 1946 წლის დამდეგს. 1938 წელს ამუშავდა ქვანახშირის გამამდიდრებელი დიდი ქარხანა რკინიგზის ვაგონების ნახშირით დასატვირთად საჭირო ბუნკერებით. 1935 წელს ამუშავდა აკარმარა-კვეზანის ქვანახშირის საჰაერო ბაგირგზა ლითონის საყრდენებზე; ამ გზის ორი ხაზის წლიური გამტარუნარიანობა 1 მლნ ტონას შეადგენდა. 1943 წელს გაყვანილ იქნა კილომეტრის სიგრძის ბაგირგზა ნახშირის სარეცხი დანადგარებიდან თბოელექტროსადგურებამდე; 1935 წელს ამუშავდა თბოელექტროსადგური 3 000 კვტ სიმძლავრით; ამას გარდა, ელექტროსადგურების საკავშირო სახალხო კომისარიატმა 1938 წელს დაასრულა ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობის პირველი რიგი (25 000 კვტ). ააგეს მაღალი ძაბვის ორი ელექტროგადამცემი ქვესადგურებიანი ხაზი კვეზანიდან ხელიკვარამდე (32 კმ). **ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროები საბაგირო გზით დაუკავშირდა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ მაგისტრალს და საზღვაო ტრანსპორტს. 1929-1945 წლებში გაყვანილი გზატკეცილების სიგრძემ 46 კმ-ს მიაღწია. აიგო, აგრეთვე, რიგი დამხმარე საწარმოებისა: ელექტროდეპო, ელექტრომექანიკური სახელოსნოები, კირის, აგურის, ალებასტრის ქარხნები და სხვ.**

ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის შახტები ტექნიკური რეკონსტრუქციის შედეგად წარმოადგენდა ახალი ტექნიკით შეიარაღებულ მძლავრ მრეწველურ საწარმოებს, რომლებშიც ფართოდ იყო გამოყენებული მძიმე ტიპის საყელავი მანქანები, ელექტრობურღები, პნევმატიკური სანგრევი, საბურღავი ჩაქუჩები, კონვეიერები, ლენტისებრი ტრანსპორტირები, ელმავლები და სხვ. ხელით მძიმე, აუტანელი შრომა ტყიბულის საწარმოებში შეიცვალა მოწინავე ტექნიკაზე დამყარებული სოციალისტური შრომით. ახალი საბადოების ბაზაზე ქვანახშირის სამრეწველო კერების ორგანიზებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კპ(ბ) ცკ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებას, რომელმაც ნათლად განსაზღვრა ამ დარგის განვითარების კონკრეტული გზები და რომელთა რეალიზაციამ უზრუნველყო საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის აღორძინება. **საქართველოს ქვანახშირს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიისთვის. სტალინმა ამოცანა დაუსახა საქართველოს — ქვანახშირით მოემარაგებინა მთელი ამიერკავკასია. საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველყო საქართველოში ქვანახშირის მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარება და სოციალისტური სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ მო-** ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტყიბულის, ტყვარჩელისა და ჭიათურის რაიონები საქართველოს სამრეწველო საბაზისო ცენტრებად იქცნენ, რომლებიდანაც მარაგდებოდა უქვირფასესი „შავი ოქროთი“ თუ „მრეწველობის პურით“ — მარგანეცით — თითქმის ნახევარი მსოფლიო. საბჭოთა ხელისუფლებამაც ყოველივე კარგი ზემოხსენებული რაიონებისკენ მიმართა, რამაც გამოიწვია არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის მოღონიერება, არამედ ქალაქების კეთილმოწყობა და განათლების, კულტურის, ხელოვნების, სპორტის, ჯანდაცვისა და მეცნიერების უმაღლეს დონეზე განვითარება**

## ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროები საბაგირო გზით იყო დაკავშირებული ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ მაგისტრალსა და საზღვაო ტრანსპორტთან. 1929-1945 წლებში გაყვანილი გზატკეცილების სიგრძემ 46 კმ-ს მიაღწია; აიგო, აგრეთვე, რიგი დამხმარე საწარმოებისა: ელექტროდეპო, ელექტრომექანიკური სახელოსნოები, კირის, აგურის, ალებასტრის ქარხნები და სხვ.


ტყიბულის შახტში


ტყიბული დღეს


ალექსეი სტახანოვი შახტში

◀ **წინავე დარგად გადაქცევა.** 1913 წელს ქვანახშირის მოპოვება 70.0 ათასი ტონა იყო, 1927-1928 წლებში მან 85 ათას ტონამდე მოიმატა, ე.ი., 21,4%-ით; 1932 წელს — 205 ათას ტონამდე, ე.ი., 192,8%-ით, 1937 წელს — 400 ათას ტონამდე, 47,4%-ით, ხოლო 1940 წელს — 625,1 ათას ტონამდე და, ამგვარად, 1913 წელთან შედარებით 1940 წელს თითქმის 9-ჯერ მეტი ქვანახშირი მოიპოვეს. 1942-1944 წლებში კი მოიპოვეს უფრო მეტი ქვანახშირი, ვიდრე 1895-1927 წლებში, ე.ი., 33 წლის განმავლობაში. 1913 წელს მოსახლეობის 1 სულზე მოდიოდა დაახლებით 28,4 კგ ქვანახშირი, 1927-1928 წლებში – 31 კგ, ხოლო 1940 წელს — 168 კგ, ე.ი.,1913 წელთან შედარებით 6-ჯერ მეტი და 1927-1928 წლებთან შედარებით 5,4-ჯერ მეტი. **საქართველოს ქვანახშირის მრეწველობა შესამჩნევ როლს თამაშობდა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სათბობ ბალანსში. 1939 წელს ამიერკავკასიის რკინიგზამ მოიხმარა 50 ათას ტონაზე მეტი ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირი. ამას გარდა, სომხეთის სსრ სახალხო მეურნეობაში მოხმარებული იყო 85 ათასი ტონა, ხოლო აზერბაიჯანის სსრ-ში — 20ათას ტონამდე.** სტალინური ხუთწლედების განმავლობაში აღიზარდა ქვანახშირის ამოღების მოწინავე ტექნიკას დაუფლებული ინჟინრების, ტექნიკოსების, ათისთავების, ოსტატების, საყელავის მემანქანეების, მნგრეველების, მებიგეებისა და სხვა მაღალკვალიფიციური ნაციონალური კადრები, რომლებიც ჩინებულად დაეუფლნენ სამთო საქმის რთულ პროფესიებს და შეუპოვარი შრომით წინ სწევდნენ საქართველოს ქვანახშირის მრეწველობას. მხოლოდ „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის სისტემაში მუშების საშუალო სიობრივმა რიცხვმა 1937 წლის 771 კაციდან 1940 წელს მოიმატა 897 კაცამდე, ე.ი., 16,3%-ით; კერძოდ, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების რაოდენობამ მოიმატა 4,6%-ით, ხოლო სამთო ოსტატებისა და ათისთავების — შესაბამისად, 30,9%-ით. **უახლეს ტექნიკურ საშუალებებს დაუფლებული საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის სტახანოველთა არმია აჩვენებდა შრომისადმი შეგნებული და კულტურული დამოკიდებულების მისაბაძ მაგალითებს, რეგულარულად უმატებდა ქვანახშირის ამოღებას და, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერებას.** გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქვანახშირის ამოღების განუხრელი მომატების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდიოდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდა იძლეოდა შემდეგ სურათს: ტყიბულის შახტებში ერთი მუშის საშუალო თვიური ნაყოფიერება 1928 წელს უდრიდა 6,7 ტონას, ხოლო 1935 წელს — 16,5 ტონას, ე.ი., მოიმატა 146,2%-ით, 1937 წელს — 20,1 ტონამდე, საშუალო წლიური ნაყოფიერება ტყვარჩელის შახტაში 1935 წელს უდრიდა 178,3 ტონას, ხოლო 1937 წელს — 204,6 ტონას, ხოლო 1940 წელს — 213,6 ტონას. საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში ერთი მუშის საშუალო წლიურმა ნაყოფიერებამ (1926-1927 წწ. უცვლელი ფასებით) 1927-1928 წლებთან შედარებით 1939 წელს 4,3-ჯერ მოიმატა. **გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულებისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდის ბრწყინვალე მაჩვენებლებს აღწევდნენ ქვანახშირის მრეწველობის ცალკეული სტახანოველები, რომლებიც დღიურ ნორმას ორჯერ-სამჯერ გადამეტებით ასრულებდნენ.** განუხრელად იმატებდა სტახანოველთა როდენობა: 1937 წელს ტყიბულის შახტებში ითვლებოდა 21 სტახანოველი, 1938 წელს — 319, ხოლო 1940 წელს — 520 სტახანოველი და 264 დამკვრელი. ტყვარჩელის ქვანახშირის სტალინის სახელობის შახტში სტახანოველთა რაოდენობამ 1939 წლის 142 კაციდან 1940 წელს მოიმატა 254 კაცამდე. რაოდენობა მუშებისა, რომლებიც ვერ ასრულებდნენ გამომუშავების ნორმებს, 1939 წელს 90 კაციდან 1940 წელს შემცირდა 42 კაცამდე. ქვანახშირის მრეწველობის ისეთი წამყვანი პროფესიის მუშები, როგორებიც იყვნენ საყელავი მანქანის მემანქანეები, გამომუშავების წლიურ ნორმებს საშუალოდ ასრულებდნენ: 1938 წელს 110,1%-ით, 1939 წელს — 147,9%-ით, ხოლო 1940 წელს — 188,8%-ით; მნგრეველები შესაბამის წლებში — 137,1, 140,8 და 142,5%-ით; ხოლო ლავების მებიგეები 1939 წელს — 168,2-%-ით და 1940 წელს — 160,6%-ით. 1938 წელს საფუძველი ჩაეყარა საქართველოსა და უკრაინის ქვანახშირის მრეწველობის მუშათა სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელმაც სერიოზული როლი ითამაშა გამოცდილების ურთიერთგაზიარების, შრომის ნაყოფიერებისა და ქვანახშირის ამოღების განუხრელად ზრდის საქმეში. საქართველოს შახტების ახალი ტექნიკით შეიარაღება და შრომის ძირითადი პროცესების მექანიზაცია შრომის ნაყოფიერების ზემოაღნიშნული სისტემური აღმავლობის საფუძველი შეიქნა. ძველი წარმოების კომპლექსურმა მექანიზაციამ და ელექტროფიკაციამ საგრძნობლად შეამსუბუქა ამ დარგების მძიმე შრომა. ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტაში შრომის ისეთი პროცესები, როგორიც არის ბურღვა, ქვანახშირის ფენების მონგრევა, მონგრეული ქვანახშირის მიწისქვეშა და მიწისზედა ტრანსპორტირება და დატვირთვა, მთლიანად მექანიზებული გახდა. ტყიბულის შახტებში ყველა კატეგორიის ბურღვის პროცესი თითქმის მთლიანად მექანიზებული გახდა; ამასთანავე, ქვანახშირის მონგრევის პროცესი 85-90%-ით, ხოლო მონგრეული ქვანახშირის მიწისქვეშა და მიწისზედა ტრანსპორტირება და დატვირთვა — 60-70%-ით მექანიზებული. შრომის პროცესის მექანიზაციის სწრაფმა ტემპმა ტყიბულის შახტებში უმოკლეს ვადებში უზრუნველყო წარმოებითი პროცესების სრული მექანიზაცია. ქვანახშირის ამოღებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის პარალელურად იზრდებოდა ქვანახშირის მრეწველობის მუშების ხელფასები. საკმარისია, აღინიშნოს, რომ ერთი მუშის საშუალო წლიური ხელფასი ტყიბულის შახტებში 1928 წელს უდრიდა 577 მანეთს, ხოლო შემდეგ მოიმატა: 1932 წელს — 1 650 მანეთამდე, ე.ი., თითქმის 2-ჯერ, 1937 წელს — 4 066 მანეთამდე, 1940 წელს — 6 390 მანეთამდე, ე.ი., 10-ჯერ. მუშის საშუალო წლიური ხელფასი ტყვარჩელის შახტში 1935 წელს უდრიდა 2 835 მანეთს, ხოლო 1937 წელს მოიმატა 3 864 მანეთამდე, ე.ი., 36,2%-ით, 1940 წელს — 5 713 მანეთამდე, ე.ი. 101,5%-ით. ტყიბულის ერთ უდაბურ ადგილას გაშენდა კარგად მოწყობილი მუშათა საცხოვრებელი სახლები. სწრაფად განვითარდა ბინათმშენებლობა. 1931-1935 წლებში აიგო მუშათა 43 ახალი სახლი. 1931 წელს საბინაო ფართობი 7,4 ათას კვ მეტრს შეადგენდა, ხოლო 1935 წლის დასაწყისში მიაღწია 18,5 ათას კვ მეტრამდე, ე.ი. 1931 წელთან შედარებით მოიმატა 475,6%-ით. რაიონი უზრუნველყოფილი იყო სკოლების, ბაგების, საბავშვო ბაღების, სამკურნალო დაწესებულებების, რადიოკვანძის, კინო-თეატრების, კლუბებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ქსელით. რა თქმა უნდა, კარგია თბილისის პანორამა, კიდევ უფრო კარგია ქრისტიანულ სამყაროს საკულტო ნაგებობათა გვირგვინი — სამების საკათედრო ტაძარი, უამრავი კეთილმოწყობილი სავაჭრო ცენტრი, შეკვეთილში დენდროლოგიური პარკი შეუდარებელი სილამაზითა და გრანდიოზული საკონცერტო დარბაზით, ლეგენდად ქცეული აბასთუმანი, ცის ლაჟვარდში მოცურავე კავკასიონი და შავი ზღვა... რა თქმა უნდა, საამურია კარგი ცხოვრება, მაგრამ საყოველთაო სიღარიბეში ქვეყანაში ერთი კაცის ბედნიერად ცხოვრება ვერ იქნება საყოველთაო ბედნიერების გამომხატველი. საყოველთაო ბედნიერ ცხოვრებაში ერთი კაცის სიღატაკე ასევე ვერ იქნება საყოველთაო უბედურება. **სწრაფვა საყოველთაო ბედნიერებისკენ, ბრძოლა სოციალური თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობისთვის — ეს, უდავოდ, განმასხვავებელი ნიშანია დიდი ადამიანისა, რომლის ამქვეყნიდან წასვლა უდიდეს ნაპრალს აჩენს ადამიანთა აზროვნებაში, ქვეყნის განვითარებაში.**

## სწრაფვა საყოველთაო ბედნიერებისკენ, ბრძოლა სოციალური თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობისთვის — ეს, უდავოდ, განმასხვავებელი ნიშანია დიდი ადამიანისა, რომლის ამქვეყნიდან წასვლა უდიდეს ნაპრალს აჩენს ადამიანთა აზროვნებაში, ქვეყნის განვითარებაში




## ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

ბრძოლა თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს საფრანგეთი ოკუპირებულია უცხო კულტურის წარმომადგენელთა მიერ, რომლებსაც არ სურთ ამ ქვეყნის ნორმებით ცხოვრება. გენერლებმა, როგორც დე გოლმა 1940 წელს, ფრანგებს წინააღმდეგობის გაწევისკენ მოუწოდეს. მათ მოწოდებას მხარი დაუჭირა მარინ ლე პენმა, „მემარცხენეებმა" კი მათ უღალატეს. მათი ლიდერი, ჟან-ლუკ მელანშონი, უცხოელთა მხარეს დადგა.**

# რას აპროტესტებენ ფრანგი გენერლები და პოლიციელები?

## გაიხსენებენ თუ არა ფრანგები, რომ საფრანგეთის არმიამ შეაჩერა არაბი ისლამისტების შემოსევა ევროპაში

**20 გადამდგარი ფრანგი გენერლის ღია წერილი სამოქალაქო ომის საფრთხეზე ზოგს შეიძლება მოწყენილი გენერლების ეპატაჟად მოჩვენებოდა, მაგრამ რესპუბლიკის მთავრობამ ეს ასე არ აღიქვა და წერილს მუქარით უპასუხა. ხელისუფლების მუქარა გამომდინარეობდა იქიდან, რომ ყველაფერი, რაც წერილშია ნათქვამი, ძალიან სერიოზულია. ის იმედოვნებდა, რომ საპროტესტო მუხტის ჩაცხრობას მუქარით შეძლებდა, მაგრამ ხელისუფლების მუქარას საფრანგეთის მოქმედი არმიის 1000-ზე მეტმა ოფიცერმა ვეტერანი სამხედროების მხარდამჭერ წერილზე ხელმოწერით უპასუხა, შემდეგ კი ანალოგიურად მოიქცნენ პოლიციის ოფიცრებიც.**

ვიღაცამ შეიძლება პარალელი გაავლოს **შარლ დე გოლის** წინააღმდეგ სამხედროების მიერ მოწყობილ შეთქმულებებთან, როცა ის დაეთანხმა ალჟირის თვითგამორკვევას და დაასრულა 8-წლიანი (1954-1962) ომი, თუმცა აქ უფრო ზუსტი იქნება ანალოგიის დანახვა ფრანგების მიერ **ნაპოლეონის** პატივსაცემად გამართულ ზეიმთან მისი სიკვდილის დღეს — 5 მაისს.

**დე გოლმა შეწყვიტა ომი და საფრანგეთს ჩამოაშორა უცხო კულტურის მოსახლეობა, ჩამოაშორა ტერიტორიასთან ერთად — ალჟირელებს საფრანგეთის მოქალაქეობაზე უარი უთხრა. დე გოლის მოწინააღმდეგე სამხედროებს კი სურდათ, ალჟირელები ქვეყნის მოქალაქეებად დაეტოვებინათ.**

გენერლები და ოფიცრები, რომლებმაც საფრანგეთის პრეზიდენტ **ემანუელ მაკრონს** მიმართეს, უფრო ახლოს არიან დე გოლთან, ვიდრე მის ოპონენტებთან. მათ არ სურთ, საფრანგეთის მოქალაქეები იყვნენ ისინი, ვისთვისაც უცხოა ამ ქვეყნის კულტურა და ტრადიციები.

გენერლებსა და ოფიცრებს მოწინააღმდეგეები ადანაშაულებენ „დაუშვებელში" — პოლიტიკაში სამხედროების ჩარევაში, მაგრამ ნაპოლეონის ხსოვნის თარიღი საფრანგეთში არის სიმბოლო იმისა, როგორ ერეოდა არმია პოლიტიკაში და ქვეყანას ქაოსისგან იცავდა. **ამ გენერალმა ბონაპარტემ, რომელსაც იმხანად „რობესპიერების ფავორიტი" შეარქვეს, 1793 წელს კარტეჩით დახვრიტა კონტრრევოლუციაში მონაწილენი და საპარლამენტო არჩევნების უკმაყოფილო მონარქისტები.** ეს ბონაპარტეს მიერ გაგზავნილმა გენერალ **ოჟეროს** შენაერთმა ჩაახშო 1797 წელს როიალისტების ახალი აჯანყება პარიზში. ბონაპარტემ 1799 წელს გაატარა სასიცოცხლოდ აუცილებელი რეფორმები და ამით საფრანგეთი აქცია სიმბოლოდ იმისა, როგორი შეიძლება იყოს ქვეყანა, რომელსაც პატრიოტი გენერალი მართავს.

**ასეთივე სიმბოლოდ იქცა საფრანგეთისთვის გენერალი დე გოლი, რომელმაც ორჯერ — მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და 1950-იანი წლების ბოლოს — გადაარჩინა საფრანგეთი. ქვეყნის სამოქალაქო ხელისუფლების სამომავლო წარმატების საფუძველს გენერლები ქმნიდნენ.**

X საუკუნის საფრანგეთი — ეს არ არის ნაპოლეონის საფრანგეთი, არც დე გოლისა და არც ფრანსუა მიტერანის. ის საფრანგეთი X ასწლეულის დასაწყისში გაქრა, გოლისტი ჟაკ შირაკი საფრანგეთის ბოლო ეროვნული პრეზიდენტი იყო.

2002 წელს აღმოჩნდა, რომ დამკვიდრებული სისტემა — პარტიული ბლოკებით ერთმანეთის შეცვლა — დაინგრა. სოციალისტების პარტია პირველ ტურში დამარცხდა **ჟან-მარი ლე პენის** „ნაციონალურ ფრონტთან" და სოციალისტების მომხრეები იძულებულნი იყვნენ, მხარი ჟაკ შირაკისთვის დაეჭირათ. **სამი წლის შემდეგ სოციალისტებმა ქვეყანა გაყიდეს, როცა მხარი დაუჭირეს საფრანგეთის აფრო-არაბულ ოკუპაციას. 2007 წელს გაირკვა, რომ მათ არაფერი აქვთ ქვეყნისთვის შესათავაზებელი, გარდა დაპირებისა, შექმნან ცხოვრება უფრო „კომფორტული". სარკოზიმ ვერ შეძლო ქვეყნის დაცვა მიგრანტების უზარმაზარი ნაკადების შემოსევისგან. ის, ისევე, როგორც ფრანსუა ოლანდი, როგორც მაკრონი, გლობალური ძალის სატელიტი აღმოჩნდა.**

ფრანგმა სოციალისტებმა კარგა ხნის წინათ თქვეს უარი მომავლის ეროვნულ პროექტებზე. მათ დარჩათ ორი რამ: ან დაემუქრონ მმართველ კლასს („სხვებსაც გაუნაწილეთ! წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვლენ კომუნისტები და ისე მოიქცევიან, როგორც რუსეთში"), ან ბუნდოვნად დაჰპირდნენ ამომრჩევლებს: „მეტი უფლება, კარგი და სხვადასხვა!", მათ შორის უფლება სექსუალური გარყვნილისთვის, შეწყვიტოს ადამიანად ყოფნა და სხვას მოახვიოს თავს თავისი ცხოვრების წესი.

ფრანგი სოციალისტების მთავარი პრობლემა იყო ის, რომ მათ არ შეეძლოთ ხალხისთვის რამე ახლის თქმა. მათ ვერ შეძლეს ეპასუხათ კითხვაზე — როგორ საფრანგეთს ხედავენ X საუკუნეში? მათ X საუკუნე წარმოედგინათ XX ასწლეულის ბოლო მესამედის მიტერანის პრეზიდენტობის პერიოდის გაუმჯობესებულ ვარიანტად.

მაგრამ **1980 წელს მიტერანის გამარჯვებისას საერთაშორისო ძალების კონფიგურაცია სრულიად სხვაგვარი იყო. იმხანად მსოფლიო საბჭოთა კავშირს შესცქეროდა; ხან ერთი, ხან მეორე ქვეყანა ირჩევდა სოციალისტურ ორიენტაციას. საფრანგეთში მოქმედებდა გავლენიანი კომუნისტური პარტია, რომელიც, ხელისუფლების სათავეში მოსვლა თუ არ შეეძლო, არჩევნებში 2-ჯერ მაინც აუმჯობესებდა სოციალისტების შედეგებს. ფრანსუა მიტერანის უკან იდგა კომუნისტების ლიდერი ჟორჟ მარშე, სსრკ, 1968 წლის მრისხანე აჩრდილი** (მწვავე სოციალური კრიზისი — ნ.კ.).

საფრანგეთი ევროპაში პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც კანონმდებლობით გაამყარა რასობრივი და ეროვნული თანასწორობა და ეს ფრანგებს კარგად ახსოვთ.

მაგრამ, **როცა უცხოელებს, როგორც ჩაგრულებს, ილებდი, იცავდი, აძლევდი უფლებებს, ისინი კი საპასუხოდ შენგან მოითხოვენ სუდანის ან ალჟირის კულტურული და საყოფაცხოვრებო ნორმების აღიარებას ფრანგულის ნაცვლად, შემწყნარებლობას (ე.ი., ტოლერანტობას), ამას ბოლო მოეღება.**






ემანუელ მაკრონი და გენერალი პიერ დე ვილიე

**გენერლები და ოფიცრები, რომლებმაც საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს მიმართეს, უფრო ახლოს არიან დე გოლთან, ვიდრე მის ოპონენტებთან. მათ არ სურთ, საფრანგეთის მოქალაქეები იყვნენ ისინი, ვისთვისაც უცხოა ამ ქვეყნის კულტურა და ტრადიციები**



მარინ ლე პენი

დამოკიდებულება ბევრი ფრანგისა, რომლებსაც სურთ, ფრანგებად დარჩნენ და არ იქცნენ ფრანგ-აფრიკელებად, სოციალისტების გამარჯვების მიმართ გამოიხატება შიშში, რომ ისინი წააქეზებენ უცხოელთა ჯგუფებს და საფრანგეთი საბოლოოდ დაკარგავს ეროვნულ-ისტორიულ თვითმყოფადობას. ფრანგებს, ანგლოსაქსებისგან განსხვავებით, არასოდეს მოუსურვებიათ, დემოკრატია ესწავლებინათ ერაყელი ქურდებისთვის ან არაბებისთვის, სუნიტების ან შიიტებისთვის, მაგრამ მათ ზუსტად ასევე არ სურთ, არაბებმა ან სხვა მუსლიმებმა ასწავლონ ჰიჯაბის ტარება და მეჩეთების აგება.

**საფრანგეთი პირველი იყო, რომელმაც თავის ბარიკადებზე წითელი დროშა ააფრიალა არა იმისთვის, რომ პარტიას, რომელიც განაგრძობდა ამ დროშის ტარებას, ქვეყანა მიგრანტებით აევსო. შეუძლებელია, წარმოიდგინოთ, როგორ არ ესმით ფრანგ სოციალისტებს ის, რომ ე.წ. სექსუალური უმცირესობებისთვის ახალ-ახალი უფლებების მინიჭება ნორმალურ ადამიანებში დიდ ზიზღს იწვევს.**

დღეს ბევრი ფრანგი თავს ოკუპირებულ ქვეყანაში მცხოვრებად მიიჩნევს. „მემარჯვენეებმა" და „მემარცხენეებმა" კი თითქოს ადგილები გაცვალეს 1940-1944 წლების ოკუპაციის შემდეგ: თუ იმხანად მემარჯვენეები თანამშრომლობდნენ გერმანელ ოკუპანტებთან, მემარცხენეები კი ხალხს მათთან საბრძოლველად მოუწოდებდნენ, ახლა „მემარჯვენე" **მარინ ლე პენი** ფრანგებს წინააღმდეგობის გაწევისკენ მოუწოდებს, სოციალისტები და ცენტრისტები კი — კაპიტულაციისკენ.

ფრანგი გენერლები და ოფიცრები მართლები არ არიან ერთ რამეში: ისინი წერდნენ სამოქალაქო ომზე საფრანგეთში, მაგრამ ვერ აცნობიერებენ, რომ ლაპარაკი უნდა იყოს არა სამოქალაქო, არამედ განმათავისუფლებელ ომზე არაბ-აფრიკელი მუსლიმი ოკუპანტების წინააღმდეგ, რომელთაგან ზოგს აქვს საფრანგეთის პასპორტი, ზოგს — არა.

დღეს საფრანგეთი ოკუპირებულია უცხო კულტურის წარმომადგენელთა მიერ, რომლებსაც არ სურთ ამ ქვეყნის ნორმებით ცხოვრება. გენერლებმა, როგორც დე გოლმა 1940 წელს, ფრანგებს წინააღმდეგობის გაწევისკენ მოუწოდეს. მათ მოწოდებას მხარი დაუჭირა მარინ ლე პენმა, „მემარცხენეებმა" კი მათ უღალატეს. მათი ლიდერი, **ჟან-ლუკ მელანშონი,** უცხოელთა მხარეს დადგა.

შეძლებს კი საფრანგეთი კულტურული ანაბიოზისგან (სიცოცხლისუნარიანობის შეჩერება, ბიოპაუზა — ნ.კ.) თავის დაღწევას? გაიხსენებენ თუ არა ფრანგები, რომ საფრანგეთის არმიამ ორლეანთან სამდღიან ბრძოლაში შეაჩერა არაბი ისლამისტების შესევა ევროპაში?

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**აშშ-ის საიდუმლო არმია, რომელიც დღეს უხილავი ფრონტის 60 ათასამდე მებრძოლს ითვლის, კერძო კომპანიების კონგლომერატს წარმოადგენს. ეს არის უამრავი ფირმა, კომპანია და ცალკეული ინდივიდუუმები ათობით ყალბი პასპორტით, რომლებიც კონტრაქტით მუშაობენ სამხედრო უწყებაში. მათი დანახვა ჯიუტად არ სურს არც კონგრესს, არც სენატს და არც ამერიკის იუსტიციას.**

უხილავი მკვლელები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საიდუმლო არმია: აშშ-ის პროფესიონალი მკვლელები მსოფლიოს ყველა კუთხეში მოქმედებენ

**ჟურნალ Newsweek-ის მიერ გასულ კვირას გამოქვეყნებულმა გამოძიებამ, რომელმაც გამოამზეურა აშშ-ის არმიის სპეცოპერაციების ჭეშმარიტი მასშტაბები, ამერიკულ საზოგადოებაში სხვადასხვაგვარი რეაქცია გამოიწვია.**

ექსპერტთა აზრით, აშშ-ის საიდუმლო არმია, რომელიც დღეს უხილავი ფრონტის 60 ათასამდე მებრძოლს ითვლის, კერძო კომპანიების კონგლომერატს წარმოადგენს. ეს არის უამრავი ფირმა, კომპანია და ცალკეული ინდივიდუუმები ათობით ყალბი პასპორტით, რომლებიც კონტრაქტით მუშაობენ სამხედრო უწყებაში. მათი დანახვა ჯიუტად არ სურს არც კონგრესს, არც სენატს და არც ამერიკის იუსტიციას.

**როცა ამერიკელი პოლიტიკოსები ნოტაციებს უკითხავენ სრულიად მსოფლიოს ზნეობის თემაზე, ამერიკის საიდუმლო ქვედანაყოფები ფეხქვეშ თელავენ ჟენევის კონვენციასა და ცივილიზებული სამხედრო მოქმედებების ყველა წესს. „განა ეს არ არის მსოფლიო საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა? განა ეს არ არის ადამიანის უფლებების დარღვევა?.. რაში გამოიხატება პატიოსნება და სამართლიანობა, რომელთა პროპაგანდასაც ეწევა ამერიკის შეერთებული შტატები?“** — ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა ამერიკელი საზოგადოების რეაქცია.

Newsweek-ის მიერ მოპოვებული ინფორმაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ამერიკელ მეომარზე შექმნილი ნათელი ხატებისგან, რომელსაც მსოფლიოს ხალხებისთვის დემოკრატიის ფასეულობები მოაქვს. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალის ავტორის მონაცემებით, **პენტაგონის მიერ საიდუმლოდ დაქირავებულთა დიდი ნაწილი ყოფილი სპეცრაზმელია. რას აკეთებენ ისინი ფარულად? მშვიდობიანი მოსახლეობის დაუსჯელი მკვლელობები, წამება, ადამიანების მოტაცება, დივერსიები და ტერორისტული აქტები — აი მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების სრული ასორტიმენტი.**

„ამერიკელებთან შედარებით რუსები და ჩინელები, უბრალოდ, მოყვარულები არიან, მაგრამ პენტაგონი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ყველაფერს მათ აბრალებენ, რათა ამერიკულ სპეცსამსახურებს ყურადღება ააცილონ “, — მიაჩნია სტატიის ერთ-ერთ კომენტატორს. **„Newsweek-მა თავი უნდა დაანებოს სახელმწიფო საიდუმლოებებში ცხვირის ჩაყოფას“**, — ეკამათება მას მეორე. ბევრი ამერიკელი კი სვამს კითხვას: **როგორ დაიბეჭდა ასეთი სტატია — „ჟურნალისტიკა მოღალატეობის ზღვარზე“ — პოპულარულ გამოცემაში?**

კითხვა მართლაც საინტერესოა. ერთი მხრივ, ის, რომ ამერიკელები აწყობენ სამხედრო პუტჩებს, ტერაქტებსა და დივერსიებს მთელ მსოფლიოში, მაინცდამაინც დამალული არ ყოფილა, ამერიკულ კიბერმეომრებსა და მათ საინფორმაციო ფსიქიკურ შეტევებზე 10 წლის წინათ წერდა ბრიტანული გაზეთი The Guardian-ი. ამერიკული „უხილავი სპეცრაზმელების ისტორია აფრიკაში“ წარმატებით გამოიკვლია Politico-მ.

**ნობელის პრემიის ლაურეატი ბარაკ ობამა თავისი პრეზიდენტობის დასაწყისშივე გასცემდა ბრძანებებს მსოფლიოს მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე მასშტაბური კიბერშეტევების განსახორციელებლად.** ამერიკელთა ყველაზე ცნობილი ციფრული დივერსია იყო კომპიუტერული ვირუსის, Stuxnet-ის, შექმნა, რასაც ამერიკისა და ისრაელის სპეცსამსახურები კურატორობდნენ. ამ ვირუსმა არა მხოლოდ შეაჩერა ირანის ატომური ცენტრაფუგის შექმნა, როცა სასიკვდილო საფრთხე შეუქმნა ადამიანებსა და ბუნებას, არამედ შემდეგ სრულიად მსოფლიოს მოედო.

**ირანელი გენერალი ყასემ სულეიმანოვი ამერიკელმა სამხედროებმა 2020 წელს ბაღდადში მოკლეს — დემონსტრაციულად, სასტიკად, მსოფლიოს თვალწინ. ასეთი რამ სხვა ნებისმიერ სახელმწიფოს რომ გაეკეთებინა, მას ამერიკელები მყისვე დაადანაშაულებდნენ საერთაშორისო ტერორიზმში.** მეორე მხრივ, Newsweek-ის სტატია სავსეა კონკრეტული დეტალებით, როგორ ახორციელებენ დაქირავებულები თავიანთ დანაშაულებრივ ქმედებებს. ავტორი დაპატიმრებული მზვერავების მაგალითებზე (მათ შორის რუსეთსა და ჩინეთში დაპატიმრებული მზვერავების) მკითხველებს მოუთხრობს სიახლეებზე ტექნოლოგიების სფეროში, საიდუმლო შიფრებზე, დოკუმენტების გაყალბებასა და ბიომეტრიის ფალსიფიკაციაზე; მოკლედ, გასცემს ხელობის საიდუმლოებებს.

მასალის გამოქვეყნების მიზეზი, ალბათ, არის ის, რომ დღეს საიდუმლო არმია მოქმედებს არა მხოლოდ საზღვარგარეთ, არამედ აშშ-ის ტერიტორიაზეც. აქ მის სამიზნეში ამერიკის მოქალაქეები ხვდებიან. სწორედ ამაშია გამოძიების სენსაციურობა. **ის ნაკარნახევია არა იმდენად უცხოელებზე ზრუნვით, რომლებსაც ამერიკელი დაქირავებულები უცხოეთში კლავენ, არამედ თავიანთ სიცოცხლეზე შიშით.**

ჟურნალისტი **უილიამ არკინი** აღწერს მერილენდში მოქმედი ერთ-ერთი კერძო კანტორის თანამშრომლის მოღვაწეობას. ის დიდი რაოდენობით ამზადებს ყალბ პირადობისა და მართვის მოწმობებს, ანგარიშებს, აყალბებს საკრედიტო ისტორიებს — მოკლედ, თხზავს ლეგენდებს საიდუმლო არმიისთვის. **ამ სრულიად უკანონო პროცესში მონაწილეობენ: სახელმწიფო დეპარტამენტი; ბანკები; შტატების მთავრობები; სადაზღვევო კომპანიები, თავდაცვის სამინისტრო.**

არკინი წერს, რომ ყალბი პირადობის მოწმობის მფლობელები მოქმედებენ აშშ-ის შიგნითაც და ამერიკის მოქალაქეების საქმიანობას უთვალთვალებენ. კომენტატორები სვამენ კითხვას: **„შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია საიდუმლო არმიას არ მიუსევს თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს — „ექსტრემისტებსა“ და „თეთრ სუპერმარქსისტებს“?**

ბოლო პერიოდში ამერიკელებს მართლაც ბევრი კითხვა დაუგროვდათ ხელისუფლების მიმართ. ქვეყანაში რეკორდული ტემპით იზრდება მკვლელობების რაოდენობა, მათი უმრავლესობა კი გამოუძიებელია. იღუპებიან არა მხოლოდ რიგითი ადამიანები, არამედ ჟურნალისტები, პოლიტიკური აქტივისტები, მეცნიერები.

2020 წლის ზაფხულში მოკლეს პოლიტიკური აქტივისტი, ტრამპის შავკანიანი მხარდამჭერი **ბერნი ტრემელი;** მკვლელები ჯერ კიდევ არ უპოვიათ. ერთი თვის შემდეგ ანტიფას წარმომადგენელმა პორტლენდში გამართულ მიტინგზე მოკლა ტრამპის მომხრე; **ეშლი ბებიტი** პოლიციელმა მოკლა 6 იანვარს კაპიტოლიუმში; მეორე დღეს დაუდგენელი მიზეზით მოიკლა თავი ტრამპის კიდევ ერთმა მომხრემ — **კრისტოფერ სტენტონ ჯორჯიამ.** არავინ იცის, რატომ; თავი მოიკლა კაპიტოლიუმის მცველმა **ჰოვარდ ლიბენგუდმაც;** გასულ წლის ივნისის დასაწყისში თავი ჩამოიხრჩო 39 წლის ჟურნალისტმა ქალმა **ჯეს უოტერსმა;** ერთი კვირის შემდეგ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იპოვეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მთავარი ანალიტიკოსი, 52 წლის **ენტონი შინელუ;** 2018 წელს აშშ-ში თავი მოიკლა მსოფლიოში ცნობილმა ფიზიკოსმა, სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ინოვატორმა და მულტიმილიონერმა **ჟენ შუჩენმა;** წელიწად-ნახევრის შემდეგ პიტსბურგში მოკლეს ცნობილი ვირუსოლოგი **ბინ ლუ.** პანდემიიის აფეთქებისას ის მეცნიერების მოწინავე პოზიციაზე იბრძოდა — კორონავირუსის მექანიზმს სწავლობდა. მისი მკვლელი სადღაც გაქრა. ამბობდნენ, რომ თავი მოიკლა. საზოგადოებას მყისვე მიაწოდეს ვერსია, რომ ბინ ლუ ეჭვიანმა საყვარელმა მოკლა. ვერაფერს იტყვი, სარწმუნოა. ჩინელები ასეთები არიან.



**ის, რომ ამერიკელები აწყობენ სამხედრო პუტჩებს, ტერაქტებსა და დივერსიებს მთელ მსოფლიოში, მაინცდამაინც დამალული არ ყოფილა, ამერიკულ კიბერმეომრებსა და მათ საინფორმაციო ფსიქიკურ შეტევებზე 10 წლის წინათ წერდა ბრიტანული გაზეთი The Guardian-ი. ამერიკული «უხილავი სპეცრაზმელების ისტორია აფრიკაში» წარმატებით გამოიკვლია Politico-მ**



ეს ყველაფერი ჰგავს მასშტაბურ რეპრესიებს, ხოლო „თვითმკვლელობები“ — საიდუმლო არმიის მიერ შესრულებულ სალიკვიდაციო ღონისძიებებს. ლაპარაკი აღარ არის ისეთ გახმაურებულ ტერაქტებზე, როგორიცაა 11 სექტემბერის ტერაქტი ან მასობრივი დახვრეტები. მათ მიმართ ამერიკელებს ბევრი კითხვა დაუგროვდათ. მაგალითად, ბევრი მიიჩნევს, რომ დახვრეტების შემსრულებლები იყვნენ პროფესიონალი სამხედროები. ტერაქტების შემდეგ ისინი ტექნიკურად გაჰყავთ დანაშაულის ადგილიდან და უცვლიან პირადობის დამადასტურებელ საბუთებს.

შეიძლება, ეს მთლად ასე არ არის, მაგრამ არკინის სტატია წარმოდგენას იძლევა სპეცსამსახურების თანამშრომელთა ფართო შესაძლებლობებზე.

ამ საკითხებზე კითხვების დასმა სიკვდილის ტოლფასია. 11 სექტემბრის ტერაქტის ერთ-ერთმა მთავარმა კრიტიკოსმა, ჟურნალისტმა **მაიკლ რუპერტმა** 2014 წელს თავი მოიკლა. 2 წლის შემდეგ ანალოგიური რამ ჩაიდინა რეჟიმის კიდევ ერთმა კრიტიკოსმა, ჟურნალისტმა **ვიქტორ ტორნმა.**

ყველაფრის მიუხედავად, აშშ-ის შიდა უსაფრთხოების სამინისტრო (DHS) ამტკიცებს, რომ მთავარ ტერორისტულ საფრთხეს წარმოადგენენ „თეთრი სუპერმარქსისტ-ექსტრემისტები“. ადამიანურ ენაზე თუ ვიტყვით — **აშშ-ის კონტრდაზვერვამ თავის მთავარ მტრად ამერიკის ყველა თეთრკანიანი მამაკაცი დაასახელა.**

ძნელია, არ დაეთანხმო Newsweek-ის ვებგვერდის ერთ-ერთ კომენტატორს, რომელიც წერს: „ჩვენი მთავრობა იმაზე მეტად სახიფათოა ჩვენი ხალხისთვის, ვიდრე ყველა უცხო ქვეყანა“. მის აზრს ავითარებს მეორე, რომელიც უფრო მკვეთრია შეფასებებში: **„აშშ — ეს არის ფაშისტური დიქტატურის ქვეყანა, რომელსაც მართავს რამდენიმე ოჯახური კლანის კარტელი. უზარმაზარი საიდუმლო არმია, ყოვლისმომცველი სათვალთვალო სისტემა, ყველაფერი, რაც წარსულის ტოტალიტარულ სახელმწიფოებში იყო“.**

**ria.ru- ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დღეს... თითქოს ყველაფერი აწყობილია — უცხოელების კარნახით მომავალ თაობებს ვზრდით ლიბერალებად; „ახლებურად მოაზროვნე" ტოლერანტებად; ილიას, აკაკის, ვაჟას, გოგებაშვილის... გარეშე, ხშირად მოზარდის ცუდ ან კარგ საქციელს მაგალითი განსაზღვრავს, ამიტომ არა მგონია, კარგი მაგალითი იყოს სახელოვანი წინაპრების ჯეროვნად არ დაფასება, მათი ღვაწლისა და შემოქმედების იგნორირება. აი როგორ არ უნდა აღვზარდოთ მომავალი თაობა.

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

# პატივცემულო წიგნის ავტორებო, ცხვარი კი არ კიკინებს, ბღავის

## როგორ არ უნდა აღვზარდოთ მომავალი თაობა

„უჭკუო უმეცარის კაცისთანა თამამი და კადნიერი ლაპარაკსა და სჯაში ძნელად მოიპოვება ქვეყნიერობაზე", — ამბობდა დიდი ილია, მაგრამ ახლა ილიას ფრაზებით ბავშვების აღზრდაზე ხელი აგვაღებინეს, რადგან ამგვარი ცოდნით შეიარაღებული ახალგაზრდა „ჭკუაზე თხლად" ვერ იქნება და არც „სქელი ლიბრი ექნება გონების თვალზე გადაკრული".

დღეს მეტად მტკივნეული საკითხია, როგორ გავზარდოთ მომავალი თაობა. თავის დროზე ვაჟა-ფშაველა ურჩევდა თანამემამულეებს: „გავზარდოთ ახალთაობა, ნურაფერს დავიშურებთ სკოლების დასამართად, რადგანაც, როგორც ზევითა ვსთქვით, იმათში იმალება ყოველი ხალხის მომავლის ბედი და უბედობა, თორემ ჩვენზედაც ისრე იტყვიან, როგორც სპარსეთზედ: „სპარსეთის სამთავროს მცხოვრებნი დაემსგავსნენ ცხვრის ფარას, რომელიც თავისუფლათ და გაუწყვეტლივა სძოვდა ტრიალ მინდორზედ მინამ, ბოლოს, საიდგანმე არ გაუჩნდა მგელი და არ იმსხვერპლა". ესრე მოუვა ყველას და ესრე საანდაზოდ გახდება ის ხალხი, ვინც უარყოფს რიგიან აღზრდას და განათლებას. ხშირად ჭია იმ ფერისა ხდება, რა ფერი ფოთლითაც იკვებება.

ტყუილად არ უთქვამთ ქართველებსა: ხარი ხართან დააბიო, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო. როგორიც უნდა მაგარი ხასიათისა იყოს კაცი და სხვა მიმართულების

აღზრდა — ყოფაქცევის ჩვევები, რომლებსაც იძლევა სკოლა, ოჯახი, გარემო და გამოვლინდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში".

აი, რატომ ანიჭებს ჭეშმარიტი პედაგოგიკა უდიდეს მნიშვნელობას დაწყებით სწავლებას.

### ვაჟა-ფშაველა „სიყრმის დროს მიღებულ შთაბეჭდილებათა" მნიშვნელობაზე

ხშირად გაგვიგონია, — აღმზრდელი თავად უნდა იყოს დაჯილდოებული მრავალმხრივი ნიჭით, შეეძლოს სიღრმისეული აზროვნება და ბავშვის შინაგანი სამყაროს წვდომა; რომ ...ადამიანის ფიზიკური, მორალური და გონებრივი განვითარება ჯანსაღ გარემოში უნდა მოხდეს, რადგან გარეგანი ფაქტორები და დამკვიდრებული წესები ხშირად განსაზღვრავს ადამიანის პიროვნულ თვისებებს. აღნიშნული საკითხებით ყოველთვის დაინტერესებულნი იყვნენ ერის სასიქადულო შვილები. დიდი ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე ვაჟა-ფშაველა 1879 წლიდან „დროებაში"აქვეყნებს წერილებს აღზრდაზე. თავდაპირველად პუბლიკაციები აღმოსავლეთ საქართველოს მთის ხალხთა ცხოვრებას ეხებოდა, მოგვიანებით კი მისი ყურადღების არეში არაერთი საჭირბოროტო საკითხი მოექცა. ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი შესანიშნავი წერილია „საუბარი ბავშვებზედ", რომელზეც გაზეთის ერთ-ერთ ნომერში ცოტა ხნის წინათ ვისაუბრეთ.

ვაჟა-ფშაველას ინტერესების სფერო მრავალმხრივი გახლდათ: ნაციონალური საკითხები, კოსმოპოლიტიზმი და ნაციონალიზაცია, მთის პრობლემები, მაგრამ მწერლის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მას განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები და მასწავლებლად მუშაობისას სულ თავის აღსაზრდელებს დასტრიალებდა თავს; ოცნებობდა, ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთება და მშობლიური ენის სიყვარული გაეღვივებინა; ფიქრობდა ახალი თაობის სულიერ გაჯანსაღებაზე, აღელვებდა მოზარდთა აღზრდის საკითხები, რადგან მიაჩნდა, რომ **ერის სულიერი გამოღვიძება და ხსნა მხოლოდ ჭეშმარიტ ღირებულებებზე აღზრდილ თაობას შეეძლო**.

ვაჟა-ფშაველასთვის პედაგოგიური გამოცდილება საკმარისი აღმოჩნდა ბავშვის ბუნების შესასწავლად. **„კაცის სწავლა-ცოდნა მიდის იმ წესზე, როგორზედაც ქოხის შენება. ჯერ საძირკველს ჩააგდებენ, მერე კედლებს ამოიყვანენ, ძელზე-ძელს დასდებენ, ან ფიცარს ფიცარზე დააწყობენ, ისე კაცის სწავლაა — ძველს სწავლას კაცი უმატებს ახალ-ახალს",** — წერდა მგოსანი.

მოზარდის გონება ყველაფერს ისრუტავს და ინახავს, ნანახსა და გაგონილს ერთმანეთს უხამებს, ადარებს, ამიტომ აღმზრდელობით საქმიანობაში ამის გათვალისწინება აუცილებელიაო.

„ვინც ბალღებს კეთილგონიერად ზრდის, იგია აღმზრდელი და გამაბედნიერებელი ერისა, ვინაიდგან სიყრმის დროს დათესილი კეთილი თესლი დიდობაში უხვად გამოიღებს ნაყოფს. ამიტომ აძლევს ჭეშმარიტი პედაგოგიკა უდიდეს მნიშვნელობას დაწყებით სწავლას, სიყრმის დროს მიღებულ შთაბეჭდილებათა" (ვაჟა-ფშაველა).

ვნახოთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღევანდელ სკოლაში:

### როგორ ასწავლიან პირველ კლასში მოსწავლეებს მნიშვნელობას სიტყვებისა: წინ და უკან

მათემატიკის წიგნის *(ფოტო №1)* მე-3 გვერდზე *(ფოტო №2)* ყველაფერი სწორად არის, მაგრამ 94-ე *(ფოტო №3)* გვერდზე მოცემული გაკვეთილით მასწავლებელი იძულებულია, ანტონიმებად გაასაღოს **წინ** და **მომდევნო**:



ფოტო №1

ყველას გაგონილი ექნება ქართული ანდაზა: წინა კაცი უკანას ხიდიაო, მაგრამ მეტი დამაჯერებლობისთვის „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" ჩავიხედოთ, რაც, ჯობდა, თავის დროზე ამ წიგნის ავტორებს გაეკეთებინათ, სანამ ისეთ სერიოზულ საქმეს შეეჭიდებოდნენ, როგორიც წიგნის გამოცემაა, მით უმეტეს სახელმძღვანელოს შედგენა პირველკლასელთათვის...

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი" კი გვეუბნება, რომ **წინ** და **უკან** ანტონიმები, ანუ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებია.

იხილეთ ფოტო №4 — ეს არის ამონარიდი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" ერთტომეულიდან, რომლის მთავარი რედაქტორია უდიდესი ენათმეცნიერი **არნოლდ ჩიქობავა.**


წინ 1. ვისიმე, რისამე პირის მხარეს; პირისპირ, პირდაპირ (საპირისპ. უკან). წ. გაიხედა. — ხელი წ
გაიშვირა. ‖ თავში, სათავეში, დასაწყისში. წ. ბიჭ
გარბოდა, უკან სხვები მისდევდნენ. 2. თანდებულ
მოითხოვს ნათეს. ბრუნვას და აღნიშნავს რისამე
ვისიმე პირის მხარეს ყოფნას. ბუხრის წ. ტყდა.
სახლის წ. ხე იყო დარგული. ‖ უფრო ადრე, რი
სამე მოხდენამდე. სიკვდილის წ. ანდერძი დაწ
რა. — სეზონის წ. სცენა შეაკეთეს. წინ! — შეძახილ
მოწოდება წინსვლისა (ჩვეულებრივ ბრძოლ
დროს), წინ (მნიშვ. 1) წასვლისა. ◊ წინ აღუდგება
წინააღმდეგობას გაუწევს. წინ დაუდგება—დააბრკ
ლებს (რისამე შესრულებას). წინ იხედება — მო
ვლის გათვალისწინებით მოქმედებს. წინ მიდის
იზრდება, ვითარდება, უმჯობესდება. წინ არაფერი უ
გას — ხელს არაფერი უშლის, არაფერი აბრკოლე
წინ უდევს — მოელის რამე. მარტო რომ წინ გად
ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო.
ფოტო №4

წარმოდგენაც კი ძნელია იმ სურათისა, რომელსაც ამ გაკვეთილის ახსნისას კლასში შექმნილი სიტუაცია გამოიწვევს, მაგრამ ონლაინგაკვეთილების წყალობით, მშობლებსაც საშუალება მიეცათ, ამ აბსურდის გამო მასწავლებლისთვის მორიდებით კითხვები დაესვათ: რატომ არის, მაგალითად, 5-ის წინ 4, მომდევნო კი — 6?!

ზოგიერთმა მორიდებულად შეაპარა კიდეც: ხომ არ აჯობებდა, შეკითხვა ასე დაგვესვა — რომელი რიცხვია 5-მდე და 5-ის შემდეგო...

**პატივცემულო გურამ ბერიშვილო, იათამზე კოტეტიშვილო და ბაკურ სულაკაურო!**

**ამ კითხვაზე მშობლებს თქვენ გაეცით პასუხი, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გაასწორეთ თქვენი დაუდევრობით დაშვებული შეცდომები და მომავალ პირველკლასელებს მსგავსი დილემის წინაშე ნუ დააყენებთ!**

**„პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო", — რა შესანიშნავად უთქვამს ქართველ ერს.**

### „ფერადი მარცვლების" მეთოდზე აგებული სახელმძღვანელო

რაც შეეხება პირველი კლასის მშობლიური ენის სახელმძღვანელოებს, რომელთა ავტორები არიან: **ნესტან კუპრავა, დოდო ნაზირიშვილი, მზია ფოფხაძე** და **მაია ხაზიური,** თურმე „ფერადი მარცვლების" მეთოდზეა აგებული. ავტორები გვარწმუნებენ, რომ მისი დახმარებით მოსწავლეები ძალიან სწრაფად ეუფლებიან კითხვას. წიგნი გამოირჩევა ტექსტების თემატურ-ჟანრობრივი მრავალფეროვანებით, ხოლო პლასტილინისგან გამოძერწილი ფიგურების სამგანზომილებიანი ილუსტრაციები დადებით ემოციურ ეფექტს ახდენს ბავშვებზეო. კომპლექტში შედის სავარჯიშოებით მდიდარი სამუშაო რვეული და მასწავლებლის წიგნი, რომელშიც დაწვრილებით არის განხილული თითოეული გაკვეთილი.

ეს ის სახელმძღვანელოა, ჩემო მკითხველო, რომელშიც არაერთი სერიოზული შეცდომაა „გაპარული". გახსოვთ, ალბათ, ცოტა ხნის წინათ აღშფოთება გამოვხატეთ არა მხოლოდ ბავშვებისთვის ასოების მოხაზულობის რამდენიმე ვარიანტის შეთავაზების გამო, არამედ სახელმძღვანელოს პირველ წიგნში „გაპარულ" შეცდომებზეც. მაგალითად, როცა მოსწავლეებს ნახატის მიხედვით პასუხი უნდა გაეცათ კითხვაზე: **ვისი ხმაა?** ქვემოთ კი ეხატა ბატი, კატა, ფუტკარი და ცხვარი და ეწერა სიტყვები — სისინებს, ზუზუნებს, კიკინებს და კნავის. ვისი ხმააო?! მაშინ, როცა მასწავლებელი ეუბნება, რომ კითხვა ვინ მხოლოდ ადამიანს დაესმის...

აქვე ყურადღება მეორე საკითხსაც უნდა მივაქციოთ — კითხვის სწორად დასმას. აჯობებდა: **რა სისინებს? რა კიკინებს? რა კნავის? რა ზუზუნებს?**

და არა: **რისი ხმაა სისინებს? რისი ხმაა ზუზუნებს** და ა.შ.

▶

პატივცემულო გურამ ბერიშვილო, იათამზე კოტეტიშვილო და ბაკურ სულაკაურო! ამ კითხვაზე მშობლებს თქვენ გაეცით პასუხი, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გაასწორეთ თქვენი დაუდევრობით დაშვებული შეცდომები და მომავალ პირველკლასელებს მსგავსი დილემის წინაშე ნუ დააყენებთ!



ფოტო №2



ფოტო №3

„კაცის სწავლა-ცოდნა მიდის იმ წესზე, როგორზედაც ქოხის შენება. ჯერ საძირკველს ჩააგდებენ, მერე კედლებს ამოიყვანენ, ძელზე-ძელს დასდებენ, ან ფიცარს ფიცარზე დააწყობენ, ისე კაცის სწავლაა — ძველს სწავლას კაცი უმატებს ახალ-ახალს“.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




**დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ რიგ სკოლებში იაკობ გოგებაშვილის «დედაენისთვის» ხელიც არ უხლიათ და ასე გაპრიალებულ-გაწკრიალებული, გადაუფურცლავი უკანვე რომ უნდა დაებრუნებინათ მშობლიური სკოლის ბიბლიოთეკებისთვის უკვე მეორე კლასის მოსწავლეებს, უთხრეს, რომ ჩუქნიდნენ. რატომ მაინც და მაინც გოგებაშვილის „დედაენას“? ალბათ, იმიტომ, რომ მას არც გაისად და არც შემდეგ ასწავლიან სკოლებში**




**მათ გასაგონად, ვისაც ჰგონია, რომ ცხვარი კიკინებს, ვიტყვი, რომ მშობლები, რომლებიც დღეს ხმას არ იღებენ, ერთხელაც ცხვარივით გაცხარდებიან**

და მესამე — სამარცხვინო ამბავია ნამდვილად: **პატივცემულო წიგნის ავტორებო, ცხვარი კი არ კიკინებს, ბღავის *(იხ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, 1986 წლის გამოცემა, გვ. 67: „ბღავილი — ძროხისა და ცხვრის ხმიანობა“)*, კიკინი კი თხას შეუძლია.**

ახლა მშობლიური ენის მეორე წიგნში „გაპარულ უბრალო ლაფსუსებზე“ გადავინაცვლოთ, მაგალითად, წიგნის ავტორები:

* ტირესა და დეფისს შორის განსხვავებას რომ ვერ არჩევენ (გვ.17 — „ხე გადახვევს ხეს ხელს... **მუხა-თხმელას, თხმელა-მუხას**“, უნდა იყოს **მუხა — თხმელას**...);

* რომ კუთვნილებით ნაცვალსახელს არსებითთან ერთად ბრუნებისას მიცემით ბრუნვაში აუცილებლად უნდა „ს“ (გვ. 26 — „...**ჩემ** შხამიან ისარს ჩავასობო“, უნდა იყოს **ჩემს ისარს**);

* რომ ქართულ სამპირიან ზმნაში ირიბობიექტური პირის ნიშნის უგულებელყოფა შეცდომაა (გვ. 38 — „მელია **დაპირდა**“, უნდა იყოს **დაჰპირდა**);

სასვენ ნიშნებზე აღარაფერს ვიტყვით... და არც იმაზე, რომ „ბებია, **პამიდვრის სალათს**“ კი არა, **პომიდვრის სალათას** დაუმატებდა მწვანილს *(მშობლიური ენა, მოსწავლის რვეული, გვ.44).*

მათ გასაგონად, ვისაც ჰგონია, რომ ცხვარი კიკინებს, ვიტყვი, რომ მშობლები, რომლებიც დღეს ხმას არ იღებენ, ერთხელაც ცხვარივით გაცხარდებიან.

## იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, რომელიც პირველ კლასში შეუშვეს და არც შეუშვეს

**ეს როგორრო? — იკითხავთ. დიახ, ასეც ხდება თურმე! სკოლებში სასწავლო წლის დაწყებამდე მოსწავლეებს „დედა ენის“ წიგნებიც დაურიგეს. ვერ დავიჩემებ, რომ ყველა სკოლაში ასე მოხდა, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ რიგ სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედაენისთვის“ ხელიც არ უხლიათ და ასე გაპრიალებულ-გაწკრიალებული, გადაუფურცლავი უკანვე რომ უნდა დაებრუნებინათ მშობლიური სკოლის ბიბლიოთეკებისთვის უკვე მეორე კლასის მოსწავლეებს, უთხრეს, რომ ჩუქნიდნენ. რატომ მაინც და მაინც გოგებაშვილის „დედაენას“? ალბათ, იმიტომ, რომ მას არც გაისად და არც შემდეგ ასწავლიან სკოლებში. არადა, ეს არის სახელმძღვანელო, რომელშიც გოგებაშვილის გარდა, მოცემულია აკაკი წერეთლის, შიო მღვიმელის, ვაჟა-ფშაველას, სულხან-საბა ორბელიანისა და სხვათა ნაწარმოებები, და რომელზეც თაობები გაიზარდნენ საქართველოში.**

მერე რა, თუ დღევანდელ პირველკლასელთა თაობას არ ეცოდინება აკაკის „ვაშლი და შაქარა“, სულხან-საბას „ქორი და იხვი“, ვაჟას „ქორი და წიწილა“?! სამაგიეროდ გაეცნენ მშობლიური ენის სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორის: **ნესტან კუპრავასა** და ზემოხსენებულ კლასიკოსებზე უფრო „დიდი კლასიკოსების“ შემოქმედებას.

ჰოდა, მაშინ ნუ **„ვჩხუბობთ, ახალგაზრდობა არ გვივარგაო! რას ჰქვია, არ გვივარგა? როგორც გაზარდე, იმნაირია, რას ერჩი ახალგაზრდობას?! კეთილი გენება და დაგეყენებინა გზაზე. ისინი ჩვენგან გაუბედურებული ახალგაზრდები არიან და ახლა არ მოგწონს? „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი!“ იმისთანა წყალწაღებული ერი ვართ, ყოველ გაზეთს აიღებ თუ ჟურნალს, დაუბეჭდე შიგ ილიას „ბედნიერი ერი“ და დაინახავს, რაცა ვართ!.. ვივიწყებთ ამას ჩვენ. „ბაკულას ღორები“ გაიხსენე, დავით კლდიაშვილის მოთხრობები. თუ არ წაიკითხავ არაფერს, არ გააცნობიერებ — ვერაფერს გაიგებ... გაუნათლებელია ერი და ქვეყანა — ამაშია საქმე!**







**განათლება გასართობად კი არაა — აზროვნებისთვის არის!“**

აი, ბატონო, მწარე სიმართლე, ოტია იოსელიანის პირით ნათქვამი. ამაზე უკეთესად იმის გამოხატვა, რაც ჩვენს სიტუაციას მოუხდება, შეუძლებელია!

**დღეს ნაკლებად ისმის მსგავსი კრიტიკა თუ გულისტკივილი. თითქოს ყველაფერი აწყობილია — უცხოელების კარნახით მომავალ თაობებს ვზრდით ლიბერალებად; „ახლებურად მოაზროვნე“ ტოლერანტებად; ილიას, აკაკის, ვაჟას, გოგებაშვილის... გარეშე, ხშირად მოზარდის ცუდ ან კარგ საქციელს მაგალითი განსაზღვრავს, ამიტომ არა მგონია, კარგი მაგალითი იყოს სახელოვანი წინაპრების ჯეროვნად არ დაფასება, მათი ღვაწლისა და შემოქმედების იგნორირება.**

**აი როგორ არ უნდა აღვზარდოთ მომავალი თაობა.**

ვაჟა-ფშაველა წერდა: **„ბოროტი არ იბადება არადროს კაცი, მის გაბოროტებაში გამზდელი, მშობლები, თვითონ ჩვენა ვართ დამნაშავე“.**

ახლი თაობა ყველამ ერთად, ერთიანი ძალისხმევით უნდა აღვზარდოთ. **„მარტოკა კაცს იმდენი ძალ-ღონე არა აქვს, რამდენიც მთელს ხალხის გროვას, კაცობრიობას. მთელს კაცობრიობას შეუძლიან გადასცეს თავისი გამოცდილება ახალ თაობას, ყველა ახალგაზრდას“,** — ამბობდა ვაჟა. შეუძლებელია არ დაეთანხმო, რადგან **ქვეყნის, ერის წარმატების საიდუმლო მის წიაღში, განათლებულ, ტრადიციების ერთგულ და პროგრესულად მოაზროვნე ახალ თაობაშია. ერი მაშინ იღუპება, როცა ახალგაზრდობას არ შესწევს ძალა, შექმნილს, უკვე არსებულს გაუფრთხილდეს და მას რაიმე ახალი, საკუთარი ვერ მიუმატოს. ცოდნა და განათლება არის იარაღი, რომელიც ქვეყნის სასიკეთოდ მოქმედებს.**

**«ახალგაზრდობა არ გვივარგაო! რას ჰქვია, არ გვივარგა? როგორც გაზარდე, იმნაირია, რას ერჩი ახალგაზრდობას?! კეთილი გენება და დაგეყენებინა გზაზე. ისინი ჩვენგან გაუბედურებული ახალგაზრდები არიან და ახლა არ მოგწონს?» — ოტია იოსელიანი**

25-ე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წლეულს, 22 ივნისს შესრულდება საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის (არ მეთაკილება იმ დროის ტერმინოლოგიის გამოყენება) 80 წელი. დიდი სამამულო ომის დაწყების საიუბილეო თარიღი. გამარჯვებით დაგვირგვინებული და მილიონობით სიცოცხლეშეწირული.**

# დიდი ომის ნამსხვრევები





1941 წლის 22 ივნისი, დილის 4 საათი. ასე დაიწყო დიდი სამამულო ომი

**წერილი, რომელიც რედაქციას გამოუგზავნა საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა მედეა ქართველიშვილმა, დიდი ხნის წინათ მიტოვებული ბინის სამარისებულ სიჩუმეში გამომშრალი ონკანიდან ერთი წვეთი წყლის ჩამოვარდნას ჰგავდა.**
**მიძინებული ხსოვნის გამოღვიძების ნიშანივით იყო: წლეულს, 22 ივნისს შესრულდება საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის (არ მეთაკილება იმ დროის ტერმინოლოგიის გამოყენება) 80 წელი. დიდი სამამულო ომის დაწყების საიუბილეო თარიღი. გამარჯვებით დაგვირგვინებული და მილიონობით სიცოცხლეშეწირული.**
**ამ ომის ერთ-ერთ ვეტერანს იხსენებს წერილის ავტორი.**

**1942 წლის 26 აგვისტოდან 6 ოქტომბრამდე, არასრული ორი თვის განმავლობაში, გერმანელების მხარეს გადავიდა 392-ე ქართული დივიზიის 2000-მდე მებრძოლი. 1942 წლის 26-27 სექტემბერში ჩეგემის რაიონში ვერმახტს სრული შემადგენლობით ჩაბარდა ამავე დივიზიის 790 პოლკის ორი ბატალიონი, ოფიცერთა უმეტესობა და პოლიტხელებიც კი**

## ფრანგი პარტიზანების მხარდამხარ

1941 წლის შემოდგომაა. წითელი არმიის ნაწილები ხარკოვის მისადგომებიდან მძიმედ მიემართებიან ფრონტისკენ. გაძვალტყავებულ ცხენზე მჯდარ შავგვრემან ჯარისკაცს სატელეფონო კავშირის კოჭა ზურგზე აქვს გადაკიდებული.

მოულოდნელად ჭურვი აფეთქდება. ცხენი ერთს ამოიხროტინებს და უსულოდ დაენარცხება მიწას აფეთქების ტალღა.

რიგით ჯარისკაც ვანო საჩალელს საველე კავშირის მავთულების კოჭა ზურგზე აქვს გადაკიდებული.

მოულოდნელად ჭურვი აფეთქდება. ცხენი ერთს ამოიხროტინებს და უსულოდ დაენარცხება მიწას.

აფეთქების ტალღა რიგით ჯარისკაც ვანო საჩალელს სატვირთო მანქანის ქვეშ შეაგდებს.

რამდენიმე დღის შემდეგ, თვალს რომ გაახელს, მასპინძელი უამბობს, როგორ მიიყვანეს თანაპოლკელებმა მძიმედ დაჭრილი და კონტუზირებული ვანო სოფელ რედკოდუბში. გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო — ის სოფელი ფაშისტებმა ხელთ იგდეს.

დაიწყო ტყვედყოფნის უმძიმესი დღეები: ადამიანური ღირსების ფეხქვეშ გათელვა, შიმშილი, ყოველ წამიერ სიკვდილის მოლოდინი. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ტყვეთა ბანაკიდან გაიქცა. დაიჭირეს... ისევ ტყვეთა ბანაკები: ჯერ — გერმანიაში, შემდეგ — ოკუპირებულ საფრანგეთში. ერთ-ერთი დაბომბვისას ვანომ კვლავ შეძლო გაქცევა.



ვანო საჩალელი

ასე აღმოჩნდა იგი ფრანგ პარტიზანებთან. ისინი ერთხანს ეჭვის თვალით უყურებდნენ ახალგაზრდა უცხოელს. გადაწყვიტეს, გამოეცადათ.

ერთმა ჭაღარათმიანმა, სანდომიანი სახის ფრანგმა ვანოს დამტვრეული რუსულით მიმართა: გვაცნობეს, რომ გერმანელები საბჭოთა ფრონტზე ტანკების ეშელონებს აგზავნიან. საჭიროა მათი განადგურება. წახვალ?

— წავალ, — მიუგო ვანომ.

შუაღამეს ცხრა ფრანგი და ერთი ქართველი პარტიზანი დავალების შესასრულებლად გაემართნენ. რკინიგზის სადგურზე შემადგენლობის მცირე ხნით შეჩერების დროს მებრძოლებმა 16 პლატფორმა ტანკებიან-ეკიპაჟიანად გაანადგურეს.

იმ დღიდან ვანო საჩალელი აქტიურად ჩაება საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში.

საფრანგეთის შეიარაღებული ძალების კორპუსის ესკადრონის უფროსმა კამილ პირომ განაცხადა: **„მე, საფრანგეთის შეიარაღებული ძალების კორპუსის ესკადრონის უფროსი კამილ პირო ვადასტურებ, რომ საჩალელი ვანო, რომელიც წინააღმდეგობის მოძრაობაში გაერთიანდა 1944 წლის 2 მარტს, 1944 წლის 2 აგვისტოდან ირიცხება შეიარაღებული ძალების კორპუსში. იგი მონაწილეობდა გერმანელების წინააღმდეგ წარმოებულ ყველა საბრძოლო მოქმედებაში, გამოირჩეოდა სიმამაცითა და მაღალი პროფესიონალიზმით. იგი მონაწილეობდა ვინტრესა და მაზამეტისთვის გამართულ ბრძოლებში“.**

**გენერალ დე გოლის ბრძანებით, ფაშისტი დამპყრობლებისგან საფრანგეთის გათავისუფლებისთვის საბრძოლო მოქმედებების დროს გამოჩენილი მამაცობისთვის, აღმოსავლეთის ფრონტის პარტიზანების მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობისთვის, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების — დორანტის, ვინტრეს, მაზამეტას, რიოლეტას, კარაკასის, ალბის, კასტრესა და ვიშის გათავისუფლებისთვის ბრძოლებში შეტანილი წვლილისთვის ვანო საჩალელი დაჯილდოვდა უმაღლესი ხარისხის ორდენით „საფრანგეთის გათავისუფლებისთვის“, გმირის „ოქროს ვარსკვლავის“ მედლით, ხუთქიმიანი ბრინჯაოს ვარსკვლავით, საბრძოლო ჯვრითა და ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირის მედლით.**

გადაიქუხა დიდი სამამულო ომის ექომ. ვალმოხდილი ჯარისკაცები მშობლიურ კერებს უბრუნდებოდნენ. ვანოს ოჯახი ცრემლმომდგარი სიხარულით ხვდებოდა ნაომარ მეზობლებს. მათ იცოდნენ, რომ ვანო ვერ დაბრუნდებოდა, რადგან ჯერ კიდევ 1941 წელს აცნობეს, რომ იგი გმირულად დაიღუპა. ოთახში დაკიდეს ვანოს გადიდებული ფოტოსურათი.

მაგრამ, საბედნიეროდ, „მკვდრეთით აღმდგარი“ ვანო დაუბრუნდა მშობლიურ ქვეყანას.

ვანოს არ უყვარდა იმ მძიმე წლების გახსენება, მაგრამ, როგორც მისმა რძალმა, ირმა ბარბაქაძემ, მიამბო, სიცოცხლის ბოლო წლებში იგი ხშირად იხსენებდა თანამებრძოლ ფრანგ პარტიზანებს — ეტიენს, ჟერარს, მიშელს; ენატრებოდა მათი ნახვა; ოცნებობდა, ერთხელ მაინც შეევლო თვალი მშვიდობიანი პარიზისთვის, მაგრამ, როგორც იტყვიან, ვანომ იმქვეყნად წაიღო საფრანგეთისა და ფრანგი მეგობრების ნახვის სურვილი.

**მედეა ქართველიშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი**

* * *

ვანო საჩალელის სახით კიდევ ერთი მებრძოლი გამოაკლდა ქართველ ვეტერანთა რიგებს.

დარჩა კი ვინმე ამქვეყნად?.. ბერლინის თავზე ქართველი და რუსი ორი ჯარისკაცის მიერ აღმართული გამარჯვების დროშა — სიცოცხლის გამარჯვება, მასობრივი გმირობის არნახული მაგალითებით და, ამასთან ერთად, თავისი შუქ-ჩრდილების თანხლებით, ბილწთა ღალატის წარურეცხავი სირცხვილითაც კი, რომლის გამოქვეყნება მაინცდამაინც გაზეთის ამ ნომერში (22 ივნისამდე) თბილისში გავრცელებულმა მოარულმა ხმამ დაგვაჩქარებინა: **ვაკის პარკის უცნობი ჯარისკაცის მემორიალი უნდა გადაკეთდესო გასული საუკუნის ყველა ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალად.**

**ყველასიო!**
**კი —**
**„იქნება ვეფხვის დედაი**
**ჩემზე მწარეთა სტირისა“.**

— უნიკალური მაგალითი თანალმობისა და კეთილშობილების, მაგრამ ფაშისტი ოკუპანტების ლაქიებს ნუ გვატირებთ!

**ვაგრძელებთ ციკლს „შეულამაზებელი ისტორია“ სტატიით „სვასტიკიანი ქართველები“.**

## სვასტიკიანი ქართველები

**ქართველ რევანშისტებს განსაკუთრებული იმედი ყოველთვის გერმანიისა ჰქონდათ. ეს მისწრაფება გაუმძაფრდათ მას შემდეგ, რაც 1933 წელს ნაცისტებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება.**

1938 წელს გერმანიაში შეიქმნა „ქართული ბიურო“, რომელიც შემდეგ „კავკასიის ბიუროდ“ გადაკეთდა. 1939 წელს რომში გაიმართა ბერლინის, პრაღისა და ვარშავის ნაციონალისტური ორგანიზაციების ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება „ქართული ნაციონალური ორგანიზაციის შესახებ“. 1940 წლის ზაფხულში ქართველი მემარჯვენეები მართავდნენ მოლაპარაკებას მთიელთა ემიგრაციის ლიდერ **ჰეიდარ ბამატთან** სრულიად კავკასიის ფაშისტური პარტიის შექმნის შესახებ. მომავალ ლიდერად მოიაზრებდნენ მეფის ტახტის მემკვიდრეს, თავად **ბაგრატიონ-მუხრანელს.**

დიდ სამამულო ომს 307 ათასი გმირი ქართველის სიცოცხლე შეეწირა. ომამდე საქართველოს მოსახლეობა სამნახევარ მილიონს შეადგენდა.

ვაიისტორიკოსების აკვიატებული აზრით, ეს ომი არ იყო და ვერც იქნებოდა სამამულო ქართველებისთვის, რაც იმთავითვე ყალბი და უსაფუძვლო მტკიცება იყო: ქართველებისთვის სამშობლოს დაცვა სხვის ომად არასოდეს ითვლებოდა. არც 1941-1945 წლები ყოფილა გამონაკლისი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კავკასიის ბრძოლებში თავი ისახელეს ქართველმა სარდლებმა: იმ დროს გენერალ-ლეიტენანტმა **კონსტანტინე ლესელიძემ,** გენერლებმა: **ვლადიმერ ნანეიშვილმა, პორფირე ჩანჩიბაძემ, ერმალოზ კობერიძემ.** უამრავმა ქართველმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა გმირულად იბრძოლა მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის დასაცავად, კურსკის ოპერაციის დროს და, საერთოდ, ფაშისტების მიერ ოკუპირებული საბჭოთა ტერიტორიების ხაკისფერი ჭირისგან განსაწმენდად.

არანაკლები აქტიუ- ▶



გენერალი დე გოლი საბრძოლო პოზიციებზე

# ემიგრაციაში მყოფი ქართველები გაერთიანდნენ წინააღმდეგობის მოძრაობაში, რომელიც ევროპის ქვეყნებში ფაშისტური ოკუპაციის წინააღმდეგ დაიწყო და განვითარდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ არ იყო უმნიშვნელო იმ ჩვენი თანამემამულეების რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს საგარეო აგრესიით თავიანთი კერძო მიზნების განსახორციელებლად.

25-ე ფვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რობით მონაწილეობდნენ ქართველები პარტიზანულ მოძრაობაში. უკრაინაში თავი ისახელა **დავით ბაქრაძემ,** ბელორუსიაში — **ივანე შუბითიძემ** და **ვლადიმერ თალაკვაძემ,** ფაშისტთა ბანაკების ტყვეობაგამოვლილმა ქართველმა მებრძოლებმა.

ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ემიგრაციაში მყოფი ქართველები გაერთიანდნენ წინააღმდეგობის მოძრაობაში, რომელიც ევროპის ქვეყნებში ფაშისტური ოკუპაციის წინააღმდეგ დაიწყო და განვითარდა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ **არ იყო უმნიშვნელო იმ ჩვენი თანამემამულეების რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს საგარეო აგრესიით თავიანთი კერძო მიზნების განსახორციელებლად. ისტორიკოსები განმარტავენ, რომ მოცემულ შემთხვევაში ანტისოვეტიზმი იყო მხოლოდ ლოზუნგი, რომელიც საფუძველს უმაგრებდა ყველაფერ რუსულის მიუღებლობას, რომელიც ისტორიის განმავლობაში ქართველი ერის ამ ნაწილში ჩამოყალიბდა.**

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს კაიზერის რაიხის მხარეს ქართული ლეგიონი იბრძოდა.

არ დაგიმალავთ, რომ ძალიან მიჭირს იმ სტატისტიკის მკითხველებისთვის მიწოდება, რომელიც უნდა გაცნობოთ, მაგრამ შეულამაზებელი ისტორიის აღდგენას სხვა გზით ვერ შევძლებთ.

თუ ისა სჯობს, რომ უწინდებურად თვალი დავხუჭოთ ჩვენი თანამემამულეების, შესაძლოა, მცირე, მაგრამ რეალური ნაწილის მოღალატეობასა და დედლობაზე?

**1942 წლის 26 აგვისტოდან 6 ოქტომბრამდე, არასრული ორი თვის განმავლობაში, გერმანელების მხარეს გადავიდა 392-ე ქართული დივიზიის 2000-მდე მებრძოლი. 1942 წლის 26-27 სექტემბერში ჩეგემის რაიონში ვერმახტს სრული შემადგენლობით ჩაბარდა ამავე დივიზიის 790 პოლკის ორი ბატალიონი, ოფიცერთა უმეტესობა და პოლიტხელებიც კი.**

25 აგვისტოდან 30 სექტემბრამდე 392-ე დივიზიამ პირადი შემადგენლობიდან 3829 კაცი დაკარგა. 1942 წლის ნოემბერში სრულად დემორალიზებული და განახევრებული 392-ე დივიზია საქართველოში დააბრუნეს და შემდგომ ფრონტზე არასოდეს გაუგზავნიათ.

უარესი ინციდენტი კი 9-დან 10 ნოემბრის ღამეს მოხდა, როცა ლეგიონერთა ბატალიონის 50-მდე ჯარისკაცმა შტაბის საარტილერიო ასეულის მეთაურ **მიხეილ მურმანიძის** ხელმძღვანელობით საბჭოთა შეტევის დროს იარაღით ხელში წითელი არმიის მხარეს გადასვლა გადაწყვიტა. ბატალიონის სარდლობას ლეგიონერთა ჩანაფიქრის შესახებ აცნობა ქართველმა აგენტმა. რამდენიმე მებრძოლი დააპატიმრეს, 33-მა შეძლო გაქცევა, მდინარე ბაქსანი გადაცურა და შეუერთდა წითელი არმიის ერთ-ერთ ქვედანაყოფს.

ღალატი ჩვენი ისტორიული მანკია!

რეორგანიზებული 795-ე ბატალიონი ორ ოცეულად გაყვეს: ერთი საბრძოლო დანიშნულების, რომელსაც ლეიტენანტი შმიდტი ჩაუყენეს სათავეში, მეორე ტყვიამფრქვეველთა ოცეული ლეიტენანტ შვიკერატის მეთაურობით. 332 ლეგიონერი უკრაინის 156-ე სამშენებლო ბატალიონს შეუერთეს.

და (მიაქციეთ ყურადღება!) ბატალიონის შიდა უსაფრთხოების გასაძლიერებლად თითოეულ ოცეულში ოთხ-ოთხი „ნდობით აღჭურვილი“ პირი (აგენტი) ჩანერგეს. კანდიდატურების შერჩევა არ გასჭირვებიათ.

ამ მანკზე მიგანიშნეთ გულისტკივილით.

ჩრდილოეთ კავკასიიდან ვერმახტის უკანდახევის შემდეგ ქართული ლეგიონის ბატალიონები გადაიყვანეს ყირიმში, სადაც აქტიური საომარი მოქმედებები 1943 წლის დეკემბერში განახლდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ მოხალისეთა ქართული ფორმირებები არ მონაწილეობდნენ აღმოსავლეთის ფრონტის სხვა უბნებზე მიმდინარე ბრძოლებში.

განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა II/198 ბატალიონი და ქართული ლეგიონის სხვა უფრო წვრილი ქვედანაყოფები.

ქართველ მოხალისეთა უმეტესობა თავმოყრილი იყო თურქმენისტანის საარტილერიო მომარაგების მერვე ბატალიონში — 390 ქართველი და 40 აზერბაიჯანელი ლეგიონერი ერთობლივად.

150 ქართველს ითვლიდა 245-ე თურქმენისტანის სამშენებლო ბატალიონი, რომელიც დისლოცირებული იყო სოფელ სემ კოლოდეზში (შვიდ ჭაში), ფეოდოსიის ჩრდილოაღმოსავლეთით. ამდენივე ქართველი იყო მეხუთე ოცეულში, ხოლო 151-ე ბატალიონის მომარაგების მეექვსე ოცეულში — 220. 110 ლეგიონერით შეივსო 43-ე ბატალიონის ახალი ქართული ასეული.

არ გვაკლდა მოღალატეები.

1944 წლის აპრილში ყირიმში განლაგებული ქართული ფორმირებები (ბატალიონი „ბერგმან-II“, საველე ბატალიონი I/9 და სამთო მსროლელთა ბატალიონი II/4, სხვა უმნიშვნელო ქვედანაყოფებთან ერთად) ყირიმიდან ბალკანეთში გაიყვანეს. ბატალიონები I/9 და II/4 გააგზავნეს სამხრეთ საფრანგეთში ქართული ლეგიონის გასაძლიერებლად.

1943 წლის ბოლოსთვის მესამე რაიხის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ აღმოსავლეთის ფორმირებებში არსებული დეზერტირობის მაღალი პროცენტის გამო გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის ხალხთა წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ქვედანაყოფების სრული განიარაღება და პირადი შემადგენლობის შრომით ფრონტზე გამოყენება, მაგრამ ფიურერს წარუდგინეს კონკრეტული მონაცემები, რომელთა მიხედვით აღმოსავლეთ ჯარებში, სულ ცოტა, 427 ათასი მოხალისე ითვლებოდა, რომელთა რაოდენობა გერმანიის 30 დივიზიას უდრიდა. მათ დაშლას კატასტროფული შედეგი შეიძლება გამოეწვია. ბრძანების განხორციელების შემთხვევაში სრულად დაირღვეოდა აღმოსავლეთის უკლებლივ ყველა არმიის მომარაგება.

შედეგად, 10 ოქტომბერს გამოიცა ბრძანება, რომლის ძალით აღმოსავლეთის ჯარები, ასევე აღმოსავლეთის ლეგიონები საომარი მოქმედების მეორეხარისხოვან ფრონტებზე — საფრანგეთში, იტალიაში, ბალკანეთში და ა.შ. გადაჰყავდათ.



ფაშისტების მხეცობის ერთი კადრი





ოცნებობდნენ კავკასიონის დაპყრობაზე, მიიღეს „ხენდე ხოხ!“

ამ გადაწყვეტილებამ ლეგიონერთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. რაიხის ერთგულმა მაღლაკელიძემ, რომელიც ლეგიონერებს თავის დროზე დაჰპირდა, რომ ისინი მხოლოდ აღმოსავლეთ ფრონტზე გამართულ ბრძოლებში იქნებოდნენ ჩართული, გერმანიის სარდლობას კატეგორიული პროტესტი განუცხადა.

შედეგად, მაღლაკელიძე ლეგიონის ხელმძღვანელობას ჩამოაცილეს და ბალტიისპირეთში, გერმანულ ნაწილებში სამსახურის ნება დართეს.

აქ უთუოდ საჭირო იქნება, ჩვენს მკითხველებს შევახსენოთ, რომ ვერმახტის ქართული ლეგიონის შექმნის შესახებ ბრძანება გაიცა 1942 წლის 8 თებერვალს. სხვა კავკასიური ნაწილებისგან განსხვავებით, ქართული ლეგიონის შექმნაში წამყვანი როლი შეასრულა არა გერმანელების კადრის პერსონალებმა, არამედ პროგერმანული ორიენტაციის ქართველმა ემიგრანტებმა თბილისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორისა და დამოუკიდებელი საქართველოს არმიის პოლკოვნიკ შალვა მაღლაკელიძის მეთაურობით. მან ჯერ კიდევ 1918 წელს შეძლო, დაემყარებინა განსაკუთრებული ურთიერთობა საქართველოში გერმანელების წარმომადგენლებთან. მაღლაკელიძე საქართველოდან 1923 წელს წავიდა ემიგრაციაში, 1937 წელს კი აბვერის კადრის ოფიცერი გახდა. 1944 წელს ქართული ლეგიონის ნაწილების შექმნის საქმეში განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის ვერმახტის გენერალმაიორის წოდება მიანიჭეს.

ქართული ლეგიონის საველე ბატალიონების უმრავლესობა, რომლებიც დასავლეთში გადაისროლეს, საფრანგეთში აღმოჩნდა... ბატალიონი II/187 1843 წლის დეკემბერში უკრაინიდან ჩრდილოეთ იტალიაში გადააადგილეს, სადაც კომუნისტური პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა და ასე შემდეგ.

ევროპაში გადასროლილი ქართველები ბრძოლის ველზე საბჭოთა კავშირის მოკავშირეებს გადაეყარნენ. 1944 წლის 30 აგვისტოს მონტელიმარის რაიონში ამერიკელებმა დაატყვევეს ქართული ლეგიონის კავკასიური პოლკის ჯარისკაცები, ასევე, 665-ე და 824-ე აღმოსავლური ბატალიონების მებრძოლები.

დასავლეთის ფრონტზე გაანადგურეს ოთხი ქართული ბატალიონი. ლეგიონერების უმეტესობა დაატყვევეს დღევანდელი ჩვენი უმთავრესი და უპირველესი პარტნიორის — აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს ჯარისკაცებმა.

ქართული ბატალიონი „ბერგმან-I“ თავგამოდებით ებრძოდა საბჭოთა კავშირის მოკავშირეებს ბალკანეთსა და ჩრდილოეთ იტალიაში, ხოლო 1945 წლის დასაწყისისთვის, ისევე, როგორც „E“-ს საარმიო ჯგუფის სხვა შენაერთები უკვე ხორვატიის საზღვარზე იმყოფებოდა.

გადასროლა-გადმოსროლაში იყო: როგორც დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, არსად არ ივარგა.

1944 წლის შემოდგომაზე გერმანიის სარდლობა ბერლინში საქართველოს შტაბთან ერთად ახალი შენაერთების ფორმირებას შეუდგა, უფრო ზუსტად, იმ დროისთვის არსებული ქართული ლეგიონის ნაწილების უფრო მსხვილ გაერთიანებებად ჩამოყალიბება დაიწყო, რაც, საბოლოო ჯამში, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის კავშირის შტაბების თანხმობით ერთიანი „კავკასიის გამათავისუფლებელი არმიის“ შექმნით უნდა დასრულებულიყო.

14 ოქტომბერს ქართული ნაწილები ეფექტიანი რეორგანიზაციის მიზნით, ქართული შტაბის სამხედრო განყოფილების უფროსმა, ობერ-ლეიტენანტმა **გივი გაბლიანმა** მოხალისეთა გაერთიანებების გენერალ კესტრინგს განსაკუთრებული ბარათით მიმართა. შესთავაზა, რომ ყველა ქართული საველე ბატალიონისთვის თავი მოეყარათ გერმანიის ერთ-ერთ სასწავლო პოლიგონზე. მიზანი — ქართული ნაწილების სარდლობის ეტაპობრივად ქართველი ოფიცრებისთვის გადაცემა და გერმანელთა საკადრო პერსონალის მაქსიმალური შემცირება 799-ე და II/198-ე ბატალიონებში, ისევე, როგორც რეფორმირებულ ქართულ ლეგიონში.

1945 წლის იანვრისთვის გერმანიის შეიარაღებულ ძალებში 19 ათასამდე ქართველი იყო დარჩენილი. გერმანიის სარდლობამ შეძლო, შეეკოწიწებინა მოხალისეთა მხოლოდ ერთი დივიზია სანახევროდ შემცირებული რაოდენობით, რომელშიც 1945 წლის მარტისთვის გაერთიანებული იყო მოხალისეთა ორი პოლკი: ქართველები მხოლოდ მეორე პოლკში იყვნენ თავმოყრილნი, ისიც სომხებისა და ვოლგისპირა თათართა ბატალიონებთან ერთად. პირველი პოლკი სრულად აზერბაიჯანის, რჩდილოკავკასიისა და თურქმენისტანის ლეგიონებით, ასევე, თურქულ-კავკასიური, მესამე უკრაინული და მეოთხე რუსული ბატალიონებით დაკომპლექტდა.

ქართული შტაბის წინადადებით, ომის დამთავრებისას ქართული ბატალიონების სარდლობა უმრავლეს ქართულ ბატალიონში ქართველ ოფიცრებს ანდეს, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპაში საომარი მოქმედების დამთავრების გამო აღმოსავლეთ ფრონტზე გაფანტული ქართველების თავმოყრა ვერ მოხერხდა.

**დასასრული შემდეგ ნომერში**

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც გარე ძალების პულსის ძგერაზეა დამოკიდებული ყველაფერი; სადაც უცხოთა წინაშე თავკანტურა ერთეულების ხელშია სახელმწიფოს მართვის სადავეები; სადაც ადამიანთა უმრავლესობას გაუსაძლისად ტანჯავს უმწეობა-სიღარიბის დამამკვიდრებელი სისასტიკე; სადაც ნიჭიერება, პატიოსნება, თავმდაბლობა, ამაღლებულ გრძნობათა სპექტრი ძალადობით, ბილწსიტყვაობითაა გათელილი და სამართლიანობის ძიებაში რწმენა უსამართლობის სიბინძურეს ეწირება.**

# ღირსებისა და პატრიოტიზმისგან დაცლილი საზოგადოების საშუღლეთი

**მახსოვს, მოსწავლეობის პერიოდში ჩვენს სკოლას გურიაში დიდი პოეტი გიორგი ლეონიძე ეწვია. მარანში სოფლის თავკაცებმა ღია ცის ქვეშ მოსაფერებელი საღამო გაუმართეს მგოსანს. მან ხავერდოვანი ბოხი ხმით საკუთარი ლექსი „ვუმღერ სამშობლოს“ მგზნებარედ წაიკითხა. „სამშობლო ჩემი გულის ფეთქვაა, სამშობლო ჩემი ლექსის სახელი“ — ეს ორი სტრიქონი ჩემში ოქროს ზარივით აგუგუნდა და ამ ჯადოსნური სიტყვების მუხტი სულში დღემდე არ განელებულა. რამდენ გენიოსს, პატრიოტს, უბრალო თუ ბრალიან ადამიანს სიცოცხლე შეუწირავს მამულისთვის. ხუმრობა ხომ არ არის, საუკუნეების განმავლობაში მგლებივით აღრენილი ამდენი მტრის გარემოცვაში დაიცვა სანუკვარი ქვეყანა და აურაცხელი დაღვრილი სისხლის ფასად შემოუნახო იგი შთამომავლობას თავისი ზნე-ჩვეულებებით, ბრწყინვალებითა და თვითმყოფადობით.**

დროის ღვთაებას სამი ათეული წელიწადი თოვლივით შემოადნა ხელზე, მაგრამ მეხსიერებაში დღემდე ერთი მომენტიც არ ტივტივებს ისეთი, დიდებული წინაპრების სულებს რომ გაახარებდა. ოცდაათი წლის განმავლობაში შეცდომას შეცდომაზე ვუშვებთ და ქვეყანა ვერ დაგვიცავს უზარმაზარი იმპერიის ნგრევით გამოწვეული მტვერ-ღორღისაგან. **იმ რესპუბლიკებს შორის, რომლებიც ამაოების წნეხში მოჰყვნენ, ყველაზე მეტად ჩვენ დავზარალდით და ულიმღამოდ ვაგრძელებთ ჩანჩალს ჯერ კიდევ შეუცნობელი, ურიცხვი ფათერაკებით შენიღბული მომავლისკენ. მედროვეთა გაუთავებელმა კინკლაობამ და ქიშპობამ ოცდაათი წელიწადი უხამსობის ძარს გაატანა. ბოროტების მიერ გაიყიდა ყველაფერი, რაც არ იყო გასაყიდი.** კომუნისტების მიერ ასე თუ ისე შეკოწიწებული ეკონომიკა მთლიანად ჩამოიშალა. ველურმა კაპიტალიზმმა სასტიკი დაღი დაასვა ისედაც ღდინგაცლილ საქართველოს. საბჭოთა სისტემის ნგრევის ცუნამიში მოჰყვნენ სხვა რესპუბლიკებიც, მაგრამ ბევრმა მათგანმა მემკვიდრეობით მიღებული ცხოვრებიდან სწორი დასკვნები გამოიტანა და სასარგებლო დაწესებულებები შეინარჩუნა შემდგომი მოდერნიზაციისთვის. **ჩვენ თავიდანვე დავასამარეთ სამამულო პროდუქციის წარმოება. მილიარდობით თანხებით, რომლებიც ეროვნული ეკონომიკის აღორძინებას უნდა მოხმარებოდა, სხვა ქვეყნები გავამდიდრეთ. მერე ზვიად გამსახურდიას ერთი წელიც არ ვადროვეთ პრეზიდენტობა. ბოროტი ძალის გამოყენებით უარვყავით მოსახლეობის არჩევანი და ქვეყანაში დავნერგეთ დაუსჯელობის სინდრომის ისეთი მიუტევებელი აქტი, რომელიც შინაურ „ურაპატრიოტებს“ ახლაც აქეზებს ულირსი საქციელის ჩასადენად ძალის გამოყენებით ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.** იმხანად მოსახლეობა გონზე რომ მოსულიყო და ძალადობა დაუყოვნებლივ დაეგმო, შეცდომების ჯაჭვი ასე არ გაგრძელდებოდა.

**პოლიტიკურ არენაზე კიტოვანის, იოსელიანის, სიგუას, შევარდნაძის, სააკაშვილის, ბოლოს ივანიშვილის საქმიანობამ ამიერკავკასიის ლიდერი უბადრუკ ქვეყნად აქცია. ამდენ ჭიდილ-ქიშპობაში ხელფეხგაშეშებული საქართველო ყველას ხელწამოსაკრავი შეიქნა.** ვითომ „მეგობრული“ ძალების ხუშტურებით მართული ქვეყანა წინ კუს ნაბიჯებით მიემართება და ვინ იცის, გზაზე რამდენი სატყუარაბალახგადაფარებული ორმოა ამოთხრილი. ოცდაათმა უიმედო წელიწადმა ადამიანებში დანერგა ნიჰილიზმი. მოსახლეობის ნაწილი საზღვარგარეთ გადაიხვეწა და უცხოელებს გზა გაუხსნა ჩვენი ღვთაებრივი ედემის დასაპატრონებლად. **უცხოელებზე წინდაუხედავადაა გასხვისებული სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი ქონება: მიწა და სტრატეგიული ობიექტები. საქართველოში არ კონტროლდება, რამდენი უცხოელი შემოემატა ქვეყანას, რომლებმაც შესაძლოა, მომავალში შექმნან ეთნობრივი დასახლებები და დროთა განმავლობაში გარკვეული პრეტენზიებიც გაუჩნდეთ. ამის მომსწრენი ისტორიულად არაერთხელ გავმხდარვართ. თითქმის ხელიდანაა გაშვებული აფხაზეთის, სამაჩაბლოს დაბრუნების ძაფი, რომელიც, სასწაული თუ არ მოხდა, აგერ-აგერ გაწყდება. არ გვაქვს ქვეყნის დემოგრაფიული ხსნის პერსპექტივა.** დღემდე არ გვაქვს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების მეცნიერულად განჭვრეტილ-დასაბუთებული გეგმა და პრიორიტეტული მიმართულებები. მიამიტებივით ვიჯერებთ უცხოეთიდან წამოსულ ფუტურო დაპირებებს და პრობლემების კოჰორტაში ერთი სფეროც არაა სრულყოფილად თანამედროვე დონეზე გადაწყვეტილი. **მსოფლიოს დაწესებულებებიდან გრანტებად თუ სესხებად გამოყოფილი მილიარდობით დოლარი თუ ევრო მხოლოდ მავანთა ჯიბეს მოხმარდა. სწორი დასკვნების გამოსატანად და მომავლისკენ იმედიანი ნაბიჯების გადასადგმელად ბოლო სამ ათასწლეულში დაშვებულ შეცდომებს არავინ იკვლევს და აანალიზებს ძირფესვიანად.** ჭოგრიტის ვარდისფერ ლინზაში მაცქერალ მედროვეებს, რომლებიც თავს ქვეყნის პატრონებად თვლიან, ჰგონიათ, რომ საქართველო იფეურჩქნება, შარავანდედით იმოსება და მომავლისკენ სწორი გზით მიდის, ან კიდევ, საერთოდ, ფეხებზე ჰკიდიათ ქვეყანა და მისი მომავალი. ყოველივე ამას უდრტვინველად ითმენს გაბითურებული ხალხი, რომელსაც ეკუთვნის ეს ქვეყანა. მთელ მსოფლიოსთან ერთად კორონავირუსმა საქართველოც განსაცდელში ჩააყენა, რასაც ეკონომიკის რღვევა მოჰყვა. **იმ დროს, როცა ერის ერთობაა საჭირო, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული. ოღონდ თავიანთი ხუშტურები აისრულონ და დასნებოვნებული ქვეყნის ბედი ყველას ფეხებზე ჰკიდია. ხელისუფლების სათავეებისკენ სწრაფვა იმ დონეზეა ასული, ქვეყანას ლამის გული გაუსკდეს და მივიწყების სარეცელს მიეჯაჭვოს.**

სასურველი შედეგის ვერმიღწევის გამო ოპოზიციამ არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადა და პარლამენტში არშესვლით ქვეყანას მსოფლიოს წინაშე სახელი შეუბღალა. არჩევნების ხელახლა ჩატარების მოთხოვნა ოპოზიციისთვის დღემდე წარმოადგენს აუცილებლად აღსასრულებელ პრიორიტეტს. ნახევარ წელიწადზე მეტია, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებებმა, უცხოელი დიპლომატების მედიატორობითაც კი, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. დაპირისპირებულ მხარეთა გასაგონად ხმამაღლა უნდა ითქვას: თქვენ სამშობლო რომ გიყვარდეთ, უცხოელების ჩართვა მოლაპარაკებებში არ დაგჭირდებოდათ. ერთი მამული გაქვთ, ერთი გენისანი ხართ, **რამ გაგაუცხოვათ ასე, მშობლიურ ენაზე ქრონიკულად რომ ვერ ახერხებთ შეთანხმებას და თანამდებობის მისაღებად არაფერს თაკილობთ? ხელისუფლებაში წლობით არ იყავით და ახლაც არ ხართ? თქვენმა ნამოღვაწარმა რით გააბრწყინა საქართველო? ამდენი გაღარიბებულ-დაუძლურებელი ადამიანის ცოდვა ვის აწევს კისერზე თუ არა თქვენ? სახალხო დოვლათის მითვისება და თვითკმაყოფილებით განცხრომა სხვათა ტანჯვა-ვაების ფონზე არ არის ღირსების გამოხატულება. ძველ და ახალ სახელმწიფო მოხელეებს რატომ გგონიათ, რომ მართვის სათავეებთან მხოლოდ თქვენ უნდა იყოთ საიქიოს კარის შეღებამდე?** როცა როლს ულიმღამოდ ასრულებთ და ხალხი ტაშს არ გიკრავთ, ნუთუ ასე ძნელია ამაოების სცენიდან წასვლა? მხოლოდ **თქვენთვის სასარგებლო მიმართულებით მგლებივით რომ იმზირებით, ცოტა განზეც გაიხედეთ, უკან მიიხედეთ და დაინახეთ, რა უმწეო მდგომარეობაშია თქვენ მიერ ველურად გათელილი, ტერიტორიაწართმეული, უკიდურესად მოწყენილი ქვეყანა. წლების განმავლობაში ასე უმოწყალოდ რომ უბღვერთ და უღრენთ ერთმანეთს, ქვის ხანის გამოქვაბულში ბინადარ, წინ ტყავისნაგლეჯაფარებულ ადამიანებად ხომ არ გესახებათ თავი?** მიმოიხედეთ ირგვლივ, ოცდამეერთე საუკუნეა, ოცდამეერთე და მსოფლიოში ისეთი პროგრამებია შექმნილი, ხალხი გალაქტიკაში გასეირნებაზე ფიქრობს. როდის უნდა შევიგნოთ ყველამ, რომ, ბოლოს და ბოლოს, აღმაშენებლის, რუსთაველის, თამარის, ილიას ქვეყნის შთამომავალნი ვართ და ღირსეულად უნდა ვიმოქმედოთ?

საქართველოში არჩევნებზე დაახლოებით 40-45 მილიონი ლარი იხარჯება ხალხის ხაზინიდან. არ მესმის, თითქმის ყოველ ორ წელიწადში ერთხელ რატომ უნდა იხარჯებოდეს ამდენი ფული. ქვეყნისთვის უკეთესი არ იქნებოდა, ოპოზიცია პარლამენტში შესულიყო თავის დროზე და იქ ებრძოლა ყველა პრობლემის გადასაწყვეტად? დარჩენილ სამ-ნახევარ წელიწადს, სახელმწიფოებრივი აზროვნების ერთგულებით მოიპოვეთ, ბატონებო, ხალხის ნდობა, 2024 წლის არჩევნებზე განახლებულ-განწმენდილი შემადგენლობით, რეალურ-პროგრესული პროგრამით წარსდექით ხალხის წინაშე და, თუ მოქალაქეთა უმრავლესობა საჭიროდ ჩათვლის თქვენს დაბრუნებას ხელისუფლებაში, წინ ვერაფერი გადაგეღობებათ. მოქმედების მეორე ვარიანტიც არ იქნება ურიგო: „ქართული ოცნება“ დათანხმდეს რიგგარეშე არჩევნებს და იგი უნდა ჩატარდეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან ერთად, სახელმწიფო თანხების დაზოგვის მიზნით. **დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობა ამ გაერთიანე-** ▶




**უცხოელებზე წინდაუხედავადაა გასხვისებული სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი ქონება: მიწა და სტრატეგიული ობიექტები. საქართველოში არ კონტროლდება, რამდენი უცხოელი შემოემატა ქვეყანას, რომლებმაც შესაძლოა, მომავალში შექმნან ეთნობრივი დასახლებები და დროთა განმავლობაში გარკვეული პრეტენზიებიც გაუჩნდეთ. ამის მომსწრენი ისტორიულად არაერთხელ გავმხდარვართ. თითქმის ხელიდანაა გაშვებული აფხაზეთის, სამაჩაბლოს დაბრუნების ძაფი, რომელიც, სასწაული თუ არ მოხდა, აგერ-აგერ გაწყდება. არ გვაქვს ქვეყნის დემოგრაფიული ხსნის პერსპექტივა**

# იმ დროს, როცა ერის ერთობაა საჭირო, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული. ოღონდ თავიანთი ხუშტურები აისრულონ და დასნებოვნებული ქვეყნის ბედი ყველას ფეხებზე ჰკიდია. ხელისუფლების სათავეებისკენ სწრაფვა იმ დონეზეა ასული, ქვეყანას ლამის გული გაუსკდეს და მივიწყების სარეცელს მიეჯაჭვოს.

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბულ არჩევნებში სიბრძნეს გამოიჩენს და სალი აზრი გაიმარჯვებს. ახალ პარლამენტში მეტი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი შევა. ხალხი წარმავალთ უარით გაისტუმრებს, ვინც სანდოა, ქვეყნის მართვის საჭეს მას ჩააბარებს.** სხვა მოსაზრებებიც საჯაროდ მინდა განვაცხადო: საქართველოს პარლამენტი, დიდი-დიდი, 125 დეპუტატისგან უნდა შედგებოდეს. **საქართველოს ძილისგუდა, ბუზების მთვლელი და მწვადიყლაპია დეპუტატები არ სჭირდება.** დეპუტატისთვის განსაზღვრული უნდა იქნას ასაკი: 30-დან 75 წლამდე. არჩევნები უნდა ჩატარდეს პროპორციულად 2%-იანი ბარიერით. არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეთ იმ პარტიებს, რომლებსაც ჰყავთ არანაკლებ 60000 მხარდამჭერი და ისინი ფუნქციონირებენ, სულ ცოტა, ორი წლის განმავლობაში. ამას ელემენტარული არითმეტიკა გვეუბნება: თუ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ორი მილიონი ადამიანი და პარტიას ხმას მისცემს, სულ ცოტა, 50 ათასი მხარდამჭერი, იგი გადალახავს 2-პროცენტიან ბარიერს. არჩევნებში მონაწილე პარტიებმა უნდა წარმოადგინონ დეპუტატობის კანდიდატების სია ავტობიოგრაფიებით, იმ რაოდენობით, რომ გამარჯვების შემთხვევაში დააკომპლექტონ პარლამენტი მინიჭებული ხმების შესაბამისად. პიროვნება დეპუტატად ზედიზედ ორჯერ შეიძლება იქნას არჩეული. **უშუალოდ პარტიას არჩევნებში ზედიზედ მონაწილეობა უნდა შეეძლოს მხოლოდ ორჯერ. ამ იდეას კანონის სახე რომ ჰქონოდა, საქართველოს პარლამენტი მრავალ ფათერაკს ასცდებოდა. უნდა დადგინდეს დეპუტატის მოღვაწეობის სარგებლიანობის კოეფიციენტი და მის მიხედვით შეფასდეს პარლამენტარის საქმიანობა.** არჩევნებში მონაწილე პარტიების პროგრამები უნდა გამოიცეს ერთ წიგნად, რათა ამომრჩეველმა თავისუფლად შეძლოს მათი შედარება. უნდა აიკრძალოს დეპუტატობის კანდიდატების დიდი ზომის სურათებისა და პანოების გამოკვრა-გამოფენა ქალაქებსა თუ სოფლებში. უმჯობესი იქნებოდა, სურათებსა და პანოებზე დახარჯული თანხები მოხმარდეს სახელმწიფოსათვის გაცილებით სარგებლიან საქმეებს. ყველა პარტიისთვის სატელევიზიო არხებში რეკლამებს უნდა დაეთმოს თანაბარი დრო. სასურველია, ქვეყანაში ხმის მიცემა სავალდებულო გახდეს. **უნდა დაკანონდეს სხდომებზე დეპუტატის დასწრების წესრიგი და მასზე დაწესდეს მკაცრი კონტროლი. პარლამენტის თავმჯდომარე დეპუტატებისგან უნდა აირჩეს ერთ-ერთი რამდენიმე კანდიდატისგან, რაც გამორიცხავს ნეპოტიზმსა და ძმაბიჭობას არჩევანში. დეპუტატს, რომელიც სამუშაოზე არასაპატიო მიზეზით თვეში ორჯერ არ გამოცხადდება, არ უნდა დაერიცხოს იმ თვის ხელფასი.** ბოიკოტის გამოცხადებაც კი სხდომებზე დასწრებისგან არ ათავისუფლებს დეპუტატებს. ისე, ბოიკოტის წარმოშობა მოკამათე ძალთა უკულტურობაზე მიუთითებს. **თუ არასაპატიო გაცდენებს მასობრივი სახე ექნება, დეპუტატს უნდა შეუწყდეს სტატუსი.** პარლამენტის თავმჯდომარემ ორ კვარტალში ერთხელ ხალხს უნდა ჩააბაროს ანგარიში პარლამენტის საქმიანობაზე. ამავე მეთოდით პარლამენტის ტრიბუნა უნდა დაეთმოს საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს (მეცნიერს, მწერალს, სხვა პროფესიის ადამიანს). პარლამეტში არსებული კომიტეტების, ფრაქციების თავმჯდომარეების საკონტაქტო ტელეფონების ნომრები უნდა იყოს გასაჯაროებული. საყოველთაოდ ცნობილია, მთავრობასა და პარლამენტში მოკალათებული ბევრი ადამიანი, გამდიდრების ცდუნებას აყოლილი, სახელმწიფოებრივ თანამდებობას სათავისოდ იყენებს. უპრიანი იქნებოდა, ვთქვათ, კვარტალში ერთხელ, ლატარიის წესით შერჩეული რომელიმე მაღალჩინოსანი სიცრუის დეტექტორზე თუ შემოწმდებოდა სიმართლის დასადგენად. ეს პროცესი ბევრ სახელმწიფო მოხელეს ჩააფიქრებდა მომავალში და არაერთ არასახარბიელო საქმეზე აალებინებდა ხელს. **საქართველოში უნდა არსებობდეს უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი, რომელშიც პოლიტიკისადმი მიდრეკილი, უმაღლეს დამთავრებული, წარჩინებული ახალგაზრდები გაივლიან კურსებს ფილოსოფიაში, ეკონომიკაში, იურისდიქციაში, სწორად მეტყველების ხელოვნებაში... შეისწავლიან სახელმწიფოებრივი აზროვნების, ქვეყნის მსახურების თავისებურებების საფუძვლებს.**

რუსთაველის პროსპექტი თბილისის გულია. მას ბევრი სიხარულიც ახსოვს და მწუხარებაც. ქართველი ხალხის გარკვეულმა ნაწილმა ათწლეულების განმავლობაში იგი მიტინგებისა და საჯარო თავყრილობების სარბიელად აქცია. იმაზე პოპულარული, ბრძენი და ღირსეული მამულიშვილი, ვიდრე **რუსთაველია,** საქართველოს არ ჰყავს. რუსთაველის პროსპექტი (გამზირი) არაა ღირსი, რომ ამდენი ცოდვის, უწმაწური სიტყვების, გაუთავებელი კინკლაობა-ჭიდილის, არაჰიგიენური კარვების სარბიელად დარჩეს მომავალში. ყოველი ქართველის მოვალეობაა, იგი ისეთ პროსპექტად აქციოს, რომელზეც სულ იზეიმებს შოთასავე აფორიზმით **„გული მისცეს გულისათვის, სიყვარული — გზად და ხიდად“. მოდით, პატრონებო, პატივი ვცეთ საკუთარ**

**საქართველოს პარლამენტი, დიდი-დიდი, 125 დეპუტატისგან უნდა შედგებოდეს. საქართველოს ძილისგუდა, ბუზების მთვლელი და მწვადიყლაპია დეპუტატები არ სჭირდება. დეპუტატისთვის განსაზღვრული უნდა იქნას ასაკი 30-დან 75 წლამდე. არჩევნები უნდა ჩატარდეს პროპორციულად 2%-იანი ბარიერით. არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეთ იმ პარტიებს, რომლებსაც ჰყავთ არანაკლებ 60 ათასი მხარდამჭერი**



**დღეს საქართველო იმ ქვევრს ჰგავს, რომელსაც კუნაპეტმა ძალებმა თვითმყოფადობის ფარ-სახურავი თავიდან ააგლიჯეს, მასში მოთავსებული საუკუნოობით შეუბილწველად შენახული ღვინო-ელექსირი უდიერად დაანაკლულეს და ახლა უნდათ, იგი მომაკვდინებელი ბაცილებით დაასნეულონ, აამღვრიონ, დააძაბუნონ, გადააგვარონ...**

**თავს, დედაქალაქის მცხოვრებლებს, სტუმრებს, ტურისტებს და რუსთაველის პროსპექტი ზეიმის ცენტრად ვაქციოთ. ავკრძალოთ მასზე ამღვრეული მიტინგების ჩატარება, ერთხელ და სამუდამოდ მიტინგების ადგილი სხვაგან გამოვნახოთ და პროსპექტს ბუნებრივი მშვენიერება დავუბრუნოთ. მას ფერადი ყვავილები, კაშკაშა, ციმციმა ნათურები, ცისკენ მსრბოლი ბუშტები უფრო დაამშვენებს, ვიდრე კარვები და ეგზალტირებულ-გაბრაზებული ხალხის აყალმაყალი.** პროსპექტზე მდებარე პარლამენტის შენობა წიგნიერი, შორსმჭვრეტელი, პატრიოტი, ღირსეული, წესიერი დეპუტატებით უნდა სუნთქავდეს. დეპუტატობა ყველაზე დიდი საპასუხისმგებლო სახალხო მოვალეობაა. თუ მოაზროვნე ხარ და ხალხის ბედი გაღელვებს, სხდომათა დარბაზში მდგარი სავარძლის საჯდომსაზურგეს ტკიპასავით კი არ უნდა მიეკრა და ფეხი-ფეხზე არხეინად გადანასკვულმა ნეტარებას კი არ უნდა მიეცე, არამედ, ილიასი არ იყოს, საკუთარ თავს უნდა ჰკითხო: „მე დღეს ვის რა ვარგე?“. არაფერია იმაზე ამაზრზენი, პიროვნული სარგებლისთვის სხვის ადგილს რომ იკავებ, მერე უცვლელობა-უძლეველობის გრძნობა რომ გეუფლება და საბოლოოდ კარგავ ადამიანურ სახეს. **წელიწადში ერთ სასარგებლო წინადადებას რომ ვერ დადებს კანონიერების პინაზე, ისეთ დეპუტატს რა უნდა პარლამენტში? მოდით, დავაწესოთ ასეთი კანონზომიერება: პენსიასა და საარსებო მინიმუმზე მივაბათ დეპუტატის ხელფასი. უფრო სამართლიანი და დემოკრატიული არ იქნება, დეპუტატმა პენსიაზე, ვთქვათ, ათჯერ მეტი ხელფასი რომ მიიღოს და შეირგოს? გინდათ, მოგემატოთ ხელფასი? მიიღეთ ნაღდი, ჭეშმარიტი, ეფექტიანი კანონები. ააღორძინეთ ქვეყნის ეკონომიკა. პროპორციულად ხელფასიც მოგემატებათ და სიამაყის განცდაც არ დაგივიწყებთ.** ნუთუ არ ფიქრობთ იმაზე, როცა პენსიაზე გახვალთ, მაშინაც ხალხის პატივისცემა რომ შეინარჩუნოთ?

**დღეს ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც გარე ძალების პულსის ძგერაზეა დამოკიდებული ყველაფერი; სადაც უცხოთა წინაშე თავკანტურა ერთეულების ხელშია სახელმწიფო მართვის სადავეები; სადაც ადამიანთა უმრავლესობას გაუსაძლისად ტანჯავს უმწეობასიღარიბის დამამკვიდრებელი სისასტიკე; სადაც ნიჭიერება, პატიოსნება, თავდამბლობა, ამაღლებულ გრძნობათა სპექტრი ძალადობით, ბილწსიტყვაობითაა გათელილი და სამართლიანობის ძიებაში რწმენა უსამართლობის სიბინძურეს ეწირება;** სადაც იმედგაცრუებული ადამიანები ცოდვილიან დედამიწაზე დამამცირებელ ლასლასს ზეცაში ნაადრევად გადაბარგებას ამჯობინებენ; სადაც, სადაც, სადაც... უსასრულოა მოსაწესრიგებელ-აღსასრულებელ ჩამონათვალთა ის ნუსხა, რომელიც ბრძნული გადაწყვეტილებების მოლოდინშია და ღვთისნიერ ადამიანებს უხმობს. ცხოვრება კი ხანმოკლეა და მოულოდნელი შემთხვევითობებითაა აღსავსე.

დღეს საქართველო იმ ქვევრს ჰგავს, რომელსაც კუნაპეტმა ძალებმა თვითმყოფადობის ფარ-სახურავი თავიდან ააგლიჯეს, მასში მოთავსებული საუკუნოობით შეუბილწველად შენახული ღვინო-ელექსირი უდიერად დაანაკლულეს და ახლა უნდათ, იგი მომაკვდინებელი ბაცილებით დაასნეულონ, აამღვრიონ, დააძაბუნონ, გადააგვარონ...

ახლა, ამდენი მსხვერპლის გაღების შემდეგ, მსოფლიოს სახიფათო ფერისცვალების გარემოცვაში მაინც ამოვუდგეთ ერთმანეთს მხარში ქართული სისხლის გადასარჩენად, თორემ ყალყზე შემდგარი მსხვერპლმოყვარულნი გადაგვყლაპავენ და, მოუსავლეთის ხახაში მოხვედრილებს, თვით ღვთისმშობელი მარიამიც ვერ გვიშველის. სამწუხაროდ, დღევანდელი საქართველო ღირსებისა და პატრიოტიზმისგან დაცლილი საზოგადოების საშუღლეთია. ღმერთმა ქნას, მეათე მოწვევის მრავალპარტიულმა პარლამენტმა ეს წარმოდგენა გააქარწყლოს და პოლიტიკური მიწისძვრით შიშნაჭამი საქართველო სამშვიდობო გზაზე გაიყვანოს მსოფლიოს ქვეყნების კოჰორტაში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად...

**წელიწადში ერთ სასარგებლო წინადადებას რომ ვერ დადებს კანონიერების პინაზე, ისეთ დეპუტატს რა უნდა პარლამენტში?! მოდით, დავაწესოთ ასეთი კანონზომიერება: პენსიასა და საარსებო მინიმუმზე მივაბათ დეპუტატის ხელფასი. უფრო სამართლიანი და დემოკრატიული არ იქნება, დეპუტატმა პენსიაზე, ვთქვათ, ათჯერ მეტი ხელფასი რომ მიიღოს და შეირგოს? გინდათ, მოგემატოთ ხელფასი? მიიღეთ ნაღდი, ჭეშმარიტი, ეფექტიანი კანონები. ააღორძინეთ ქვეყნის ეკონომიკა. პროპორციულად ხელფასიც მოგემატებათ და სიამაყის განცდაც არ დაგივიწყებთ**

**ელგუჯა კეკელიძე,**
მეცნიერი

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ჯულია რობერტსი

ამერიკელი მსახიობის, რომელმაც სახელი გაითქვა ფილმ „ლამაზმანში" ქალის მთავარი როლის შესრულებით, პრემია „ოსკარის" 2001 წლის ლაურეატის („ერინ ბროკოვიჩი") საყვარელი წიგნია უილიამ ფოლკნერის „ველური პალმები".






# ცნობილი და წარმატებული ადამიანების ყველაზე საყვარელი წიგნები

ლიტერატურა, რომლის წაკითხვასაც გვირჩევენ ცნობილი და წარმატებული ადამიანები, ხშირად არა მხოლოდ ამ ცნობილ ადამიანებზე, არამედ სამყაროზე მოგვითხრობს. გაეცანით პოპულარული ადამიანების საყვარელ წიგნებს.






## მელ გიბსონი

„მამაც გულში" რეჟისურისა და მამაკაცის როლის შესრულებისთვის ორი „ოსკარით" დაჯილდოებულმა მელ გიბსონმა მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებად **რეი ბრედბერის** სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანი **„451° ფარენჰაიტით"** დაასახელა.

ეს ნაწარმოები მრავალი წლის განმავლობაში იყო ცენზურის ყურადღების ობიექტი; დღეს კი, გაყიდვის რეიტინგის მიხედვით, ყველაზე პოპულარულ წიგნებს შორისაა.






## ჯორჯ კლუნი

„ოსკარისა" და „ოქროს გლობუსის" პრემიების ლაურეატი მეორე პლანის როლის შესრულებისთვის ფილმში „სირიანა" — **ჯორჯ კლუნი** რუსული ლიტერატურის თაყვანისმცემელია, განსაკუთრებით მოსწონს **ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა".**



## სტივენ სპილბერგი

ცნობილი ამერიკელი რეჟისორის, სცენარისტისა და პროდიუსერის („ყბები", „ინდიანა ჯონსი", „იურიული პერიოდის პარკი", „შინდლერის სია" და სხვ.), უამრავი პრემიის, მათ შორის, ორი „ოსკარის" მფლობელის — **სტივენ სპილბერგის** საყვარელი წიგნია **ჯეიმს ფენიმორ კუპერის „უკანასკნელი მოჰიკანი".**









## ანჯელინა ჯოლი

ამერიკელ მსახიობსა და გაეროს კეთილი ნების ელჩ **ანჯელინა ჯოლის** ძალიან მოსწონს **ბრემ სტოკერის „დრაკულა".** წიგნი პირველად 1897 წელს გამოიცა და სწორედ მას შემდეგ გაჩნდა ვამპირი არისტოკრატის, გრაფ დრაკულას, ხატება.



## ჯიმ კერი

რუსული კლასიკური ლიტერატურის კიდევ ერთი თაყვანისმცემელი — ეს არის კანადელ-ამერიკელი მსახიობი **ჯიმ კერი,** რომელმაც სახელი გაითქვა ფილმ „ნიღაბში" მთავარი როლის შესრულებით. არის პრემია „ოქროს გლობუსის" ორგზის ლაურეატი.

ჯორჯ კლუნისგან განსხვავებით, რომელსაც ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა" მიაჩნია შედევრად, ჯიმ კერის ყველაზე მეტად **თევდორე დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი"** მოსწონს.






## ჯოან როულინგი

ჰარი პოტერზე შექმნილი წიგნების (გამოცემულია 500 მლნ-ზე მეტი ეგზემპლარი) სერიის ავტორმა თავის ბიბლიოთეკაში საუკეთესოდ მიიჩნია ინგლისელი მწერალი ქალის — **ჯეინ ოსტინის** წიგნი **„ემა".**









## დენ ბრაუნი

პოპულარული ამერიკელი მწერალი, რომელმაც მსოფლიოს აჩუქა ისეთი ბესტსელერები, როგორიც არის „და ვინჩის კოდი", „ანგელოზები და დემონები" და „ინფერნო", მსოფლიო ლიტერატურის შედევრად მიიჩნევს **უილიამ შექსპირის** პიესას **„აურზაური არაფრის გამო".**



## უეინ რუნი

„მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ლეგენდარული ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, ინგლისის ჩემპიონატის 5-გზისა და უეფას ჩემპიონთა ლიგის 2008 წლის გამარჯვებული — **უეინ რუნი** ლიტერატურაში საუკეთესოდ მიიჩნევს წიგნების სერიას **ჰარი პოტერზე.**









## ტომ ჰენკსი

ამერიკელი მსახიობის, რეჟისორისა და სცენარისტის, პრემია „ოსკარის" ორგზის ლაურეატის („ფილადელფია", „ფორესტ გამპი") საყვარელი წიგნია **ტრუმენ კაპოტეს „ცივსისხლიანი მკვლელობა".**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იაპონიის მთავრობისა და ტოკიოს ადმინისტრაციისგან განსხვავებით, მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს ოლიმპიადის გაუქმებას ან მის გადადებას სამომავლოდ. საინფორმაციო სააგენტო KYODO NEWS-ის მიერ ოლიმპიადის ჩატარებამდე 100 დღით ადრე ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 39,2% მხარს უჭერს ოლიმპიადის გაუქმებას, 32,8% — გადადებას და მხოლოდ 24% პროცენტია თანახმა, რომ ტოკიოს ოლიმპიადა დადგენილ ვადაში ჩატარდეს.**

# დარჩება თუ არა ოლიმპიური თამაშები სპორტის მსოფლიო დღესასწაულად?

## ტოკიოს ოლიმპიადა, რომელიც 2020 წლის ზაფხულში უნდა გამართულიყო და გადაიდო, მიმდინარე წლის 23 ივლისს დაიწყება

**იაპონიის პრემიერმინისტრ იოშიჰიდე სეგას განცხადებას, რომ ტოკიოში ოლიმპიადა, „რაც უნდა მოხდეს, მაინც ჩატარდება“, კორონავირუსით გამოწვეული საგანგაშო ვითარება ეჭვქვეშ აყენებს.**

როგორც იაპონური გაზეთი The Japan Times-ი იუწყებოდა, კორონავირუსით ყველაზე მეტად დაზარალებულ რაიონებში ვირუსით ინფიცირების შემთხვევათა რაოდენობის კლება არ შეინიშნება და ამიტომ მოიმატა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გაგრძელების ალბათობამ. მთავრობა იმედოვნებდა, რომ კოვიდ-ინფექციის საწინააღმდეგო ზომებს შეამსუბუქებდა, მაგრამ ვითარება ოპტიმისტური არ არის — იაპონიის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადებით, ქვეყანაში მკვეთრად მოიმატა მძიმე მდგომარეობაში მყოფი კოვიდ-19-ით ინფიცირებულთა რაოდენობამ და გარდაცვალების შემთხვევებმა.

**თუ კორონავირუსის გავრცელების მასშტაბი არ შემცირდება, რისთვისაც, სპეციალისტების აზრით, ჯერჯერობით საფუძველი არ არსებობს, საეჭვო იქნება ოლიმპიური თამაშების ივლის-აგვისტოში ჩატარება.**

ალსანიშნავია, რომ, **იაპონიის მთავრობისა და ტოკიოს ადმინისტრაციისგან განსხვავებით, მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს ოლიმპიადის გაუქმებას ან მის გადადებას სამომავლოდ. საინფორმაციო სააგენტო KYODO NEWS-ის მიერ ოლიმპიადის ჩატარებამდე 100 დღით ადრე ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 39,2% მხარს უჭერს ოლიმპიადის გაუქმებას, 32,8% — გადადებას და მხოლოდ 24% პროცენტია თანახმა, რომ ტოკიოს ოლიმპიადა დადგენილ ვადაში ჩატარდეს. ტოკიოს ოლიმპიადა, რომელიც 2020 წლის ზაფხულში უნდა გამართულიყო და გადაიდო, მიმდინარე წლის 23 ივლისს უნდა დაიწყოს.**

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში 10 ათასზე მეტმა სპორტსმენმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ იაპონიის დედაქალაქში გასამართი თამაშები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება წინა ოლიმპიური თამაშებისგან.

მთავარი განსხვავება არის ის, რომ ოლიმპიურ სტადიონებზე არ იქნებიან გულშემატკივრები და ტურისტები. „გადაწყვეტილება, უწინარესად, განპირობებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფით პანდემიის პირობებში“, — განაცხადა ტოკიოში ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშების ჩატარებაზე პასუხისმგებელმა **ტაბაიო მარუკავამ.** თამაშების ორგანიზატორებმა, აგრეთვე, განაცხადეს, რომ უცხოელ გულშემატკივრებს აუნაზღაურებენ ბილეთებზე დახარჯულ თანხებს. სულ კი გაყიდულია ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრები 4,4 მლნ ბილეთი და პარალიმპიურ თამაშებზე დასასწრები — 970 მლნ., მათგან 1 მლნ-ზე მეტი უცხოელებმა შეიძინეს.

მიღებულია გადაწყვეტილება, უარი თქვან უცხოელი მოხალისეების დახმარებაზე, რადგან იაპონელები შიშობენ, რომ დიდია კორონავირუსის ახალი შტამის ქვეყანაში შეტანის რისკი. ადრე ვარაუდობდნენ 80 ათასი მოხალისის ჩართვას მომსახურე პერსონალში, მათგან 10% უცხოელი უნდა ყოფილიყო. ამჟამად კი იაპონიაში აკრძალულია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემა. ქვეყანაში შესვლა შეუძლიათ მხოლოდ იაპონიის მოქალაქეებსა და უცხოელებს, რომლებსაც აქვთ ხანგრძლივვადიანი ვიზები.

იაპონიის მთავრობის აზრით, მაქსიმალური რაოდენობა უცხოელებისა, რომლებიც მიიღებენ ქვეყანაში შესვლის უფლებას ოლიმპიადის ჩატარების დღეებში, 90 ათას კაცს არ უნდა აჭარბებდეს, ამ რაოდენობაში შედის 10 ათასზე მეტი სპორტსმენი, დანარჩენები იქნებიან მსაჯები, მწვრთნელები, სპონსორი კომპანიების წარმომადგენლები, ჟურნალისტები და სხვა ადამიანები, რომლებიც დაკავშირებული არიან თამაშის ორგანიზებასთან ან ეროვნულ ნაკრებებთან.

იაპონიის ხელისუფლებამ თხოვნით მიმართა სხვა სახელმწიფოების ლიდერებს, თანმხლები პირების რაოდენობა 11 კაცამდე შეზღუდონ.

**იაპონიას მომზადებული აქვს 300-ადგილიანი სასტუმრო იმ სპორტსმენებისთვის, რომლებსაც კორონავირუსის სიმპტომები გამოუვლინდებათ. მზად არის 30 სპეცავტომობილი კოვიდ-19-ით ინფიცირებული ადამიანების საავადმყოფოებში გადასაყვანად.**









ოლიმპიური თამაშების მონაწილე სპორტსმენებს, ჯანმოს რეკომენდაციის თანახმად, ყოველ მეოთხე დღეს ჩაუტარდებათ ტესტი კორონავირუსზე, ამასთანავე, საორგანიზაციო კომიტეტი ტესტირების სიხშირის მომატებას არ გამორიცხავს. სპორტსმენებს უფლება აქვთ, მხოლოდ შუქნიშნებისა და სხვა განსაზღვრულ ადგილებზე გადაადგილების. მათ არ შეუძლიათ სპეციალური ნებართვის გარეშე იმგზავრონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

**ჯონ კოუსტმა**, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარემ, რომელიც თვალყურს ადევნებს ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისს, აღნიშნა, რომ „ზაფხულის თამაშები აუცილებლად ჩატარდება: „უყოყმანოდ შემიძლია ვთქვა, რომ ოლიმპიადა გაიმართება და თამაშები ყველაზე უსაფრთხო იქნება. ყველა კონტრზომა გატარდა კოვიდ-19-ის წინააღმდეგ, რათა უზრუნველყოფილი იყოს სპორტსმენების, მწვრთნელების, მსაჯების, ოლიმპადის ორგანიზებაში ჩართული პირებისა და საზოგადოების უსაფრთხოება“.

**ოლიმპიადის გახსნამდე 100 დღის უკუათვლის დაწყება ტოკიოში დიდი ზეიმით არ აღუნიშნავთ — მთავრობის შენობაზე ოლიმპიადის ორი თილისმისგამოსახულებიანი პანო მოკრძალებულ ცერემონიაზე გახსნეს.**

ოლიმპიადის ჩატარებისადმი იაპონელთა უმრავლესობის უარყოფითი დამოკიდებულების გამო თამაშების ორგანიზატორები ძალ-ღონეს არ იშურებენ და ოლიმპიადის ჩატარების აგიტაციას აქტიურად ეწევიან. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ქვეყანაში უცხოელი მაყურებლების შემოშვების აკრძალვის გამო ქვეყანა 150 მლრდ იენს, დაახლოებით 1,37 მლრდ დოლარს დაკარგავს. თუმცა ამერიკულ კომპანია NBC universal-ს 9 მილიონ დოლარად შეძენილი აქვს თამაშების ტრანსლაციის უფლება. ტოკიოში თამაშები ჩატარდება სპორტის 33 სახეობაში და გაიმართება 339 ღონისძიება.

„ჯანდაცვის სფეროში გლობალური კრიზისის“ პირობებში ოლიმპიური თამაშების ჩატარება, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურად დადებითი მოვლენაა მსოფლიო მოსახეობისთვის, ოღონდ საკითხავია — ყველა შეზღუდვისა და აკრძალვის შიშის პირობებში დარჩება კი ოლიმპიური თამაშები მსოფლიოში უდიდესი სპორტულ დღესასწაულად?

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**




ოლიმპიური სოფელი ტოკიოში

# «რუსეთი დაიცავს ერთმორწმუნე მართლმადიდებლებს»



**„რუსეთის ფედერაცია არ ერევა ეკლესიის საქმეებში, მაგრამ დაიცავს ერთმორწმუნეებს მის საქმეებში სხვა სახელმწიფოების ჩარევისგან“, — განაცხადა ფორუმ „ახალი ცოდნის“ მიმდინარეობისას რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა.**

„ჩვენმა ამერიკელმა კოლეგებმა ტრამპის პრეზიდენტობისას შექმნეს რელიგიის თავისუფლების სპეციალური წარმომადგენლის პოზიცია, რომელიც მხოლოდ იმით არის დაკავებული, რომ ცდილობს, განხეთქილება შეიტანოს მართლმადიდებელი ხალხების, მართლმადიდებელი ეკლესიების ერთობაში. თქვენ ნახეთ, რაც მოხდა უკრაინაში, როცა გამოიყენეს კონსტანტინოპოლის პატრიარქი, აბსოლუტურად არადამოუკიდებელი ადამიანი, და ისიც გასაგებია, რომ ეს ინსტრუმენტი ხელთ აქვთ მათ, ვისაც სურს, მართლმადიდებლობის პოზიციებს ძირი გამოუთხაროს.

ანგრევენ სერბეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, ხლეჩენ მის კანონიკურ ტერიტორიას, ერჩიან ანტიოქიის პატრიარქატს და ლიბიის ეკლესიასაც. ეს ყველაფერი ძალიან სამწუხაროა“, — განაცხადა რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

**„ჩვენთან სახელმწიფო არ ერევა ეკლესიის საქმეებში, მაგრამ, როდესაც სხვა სახელმწიფოები ერევიან რუსეთის მართლმადიდებელი ელესიის, მისი მეგობარი ეკლესიების საქმეებში, ჩვენმა სახელმწიფომ უნდა დაიცვას თავისი ერთმორწმუნეებისა და თანამოაზრეების ინტერესები“,** — დასძინა მინისტრმა.

**Navigator.net-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



# «კბილებს ჩავუმტვრევთ ისე, რომ კბენა ვეღარ შეძლონ!»

**„დასავლეთში პერიოდულად ცდილობენ, რუსეთს ჩამოაშორონ მისი ტერიტორიის ნაწილები, რომლებიც თითქოს „დაუმსახურებლად“ შედის მის შემადგენლობაში“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის საორგანიზაციო კომიტეტის, „გამარჯვების“ სხდომაზე.**

„ყველას სურს, სადღაც გვიკბინოს ან რაღაც მოგვაკვნიტოს, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ მათ, ვინც ამის გაკეთებას მოინდომებს, კბილებს ჩავუმტვრევთ ისე, რომ კბენა ვეღარ შეძლონ. ეს აშკარაა. ამის საწინდარი არის ჩვენი შეიარაღებული ძალების განვითარება“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა და დასძინა, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი პერიოდულად თავს ძალიან გაბედული გამონათქვამების უფლებას აძლევს, რომ რუსეთი მისი მოსახლეობით „დაუმსახურებლად“ დიდ ტერიტორიას იკავებს.

**regnum.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიერ მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# გარდაიცვალა ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში ჭიდაობის პირველი სკოლის დამაარსებელი, სახელგანთქმული მწვრთნელი დიმიტრი მინდიაშვილი

**24 მაისს კრასნოიარსკში 87 წლისა გარდაიცვალა ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში ჭიდაობის პირველი სკოლის დამაარსებელი, სსრკ-ის, რუსეთისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დიმიტრი მინდიაშვილი.**

დიმიტრი მინდიაშვილი 1933 წლის 4 ივნისს დაიბადა თბილისში. 1950-იანი წლებიდან ცხოვრობდა რუსეთში, კრასნოიარსკის მხარეში. 1972-დან 2008 წლის ჩათვლით მონაწილეობდა ყველა ოლიმპიადაში (1984 წლის ოლიმპიადის გარდა, რომელსაც საბჭოთა ნაკრებმა ბოიკოტი გამოუცხადა).

დიმიტრი მინდიაშვილმა გაზარდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ბუვაისარ საიტიევი, ოლიმპიური ჩემპიონები — **ივანე იარიგანი** და **საგიდ მურთაზალიევი,** ორგზის მსოფლიო ჩემპიონები — **ვიქტორ ალექსეევი** და **ვიქტორ ლებედევი.** 2008 წელს მის მიერ დაარსებული ჭიდაობის სკოლა აკადემიად გადაკეთდა და მას მინდიაშვილის სახელი მიენიჭა.

**tass.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**





# რუსეთში დამოუკიდებლად მებრძოლი რობოტები შექმნეს

**„ჩვენ შევქმენით სამხედრო რობოტები ხელოვნური ინტელექტით, რომლებსაც ბრძოლა დამოუკიდებლად შეუძლიათ“, — განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, არმიის გენერალმა სერგეი შოიგუმ.**

„დაიწყო მეომარი რობოტების სერიული წარმოება. უკვე არსებობს არა მხოლოდ ექსპერიმენტული ნიმუშები, არამედ რობოტები, რომლებიც შეიძლება ფანტასტიკურ ფილმებში გადაიღონ. ეს ხვალინდელი დღის იარაღია. დიდი სამუშაოები მიმდინარეობს“, — განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა მარათონ „ახალი ცოდნის“ მიმდინარეობისას. ახალ საბრძოლო კომპლექს „პერესვეტზე“ საუბრისას შოიგუმ გაიხსენა ცნობილი ფილმი „ვარსვლავური ომები“.

**„გახსოვთ, ალბათ, 20 წლის წინათ ეს ფანტასტიკა იყო — ერთმანეთს ლაზერული ხმლებით ებრძოდნენ ფანტასტიკურ ფილმებში. დღეს ეს რეალობაა. და ეს არის კომპლექსები „პერესვეტი“, რომლებიც, ერთი მხრივ, უკვე არის შეიარაღებაში, მეორე მხრივ, მათ არ შეუწყვეტიათ განვითარება. ჩვენ წინ განვითარების კიდევ დიდი ველი გვაქვს“,** — განაცხადა მინისტრმა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აპრილში გაავრცელა ინფორმაცია, რომ 20 მეომარი რობოტით დაკომპლექტებული პირველი ქვედანაყოფი მალე შეიქმნება რუსეთის შეიარაღებულ ძალებში.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# ვაქცინაციის დაწყების შემდეგ მსოფლიოს 9 ახალი მილიარდერი შეემატა



**პანდემიის დაწყებიდან დღემდე კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის მწარმოებელი კომპანიების შემოსავლების მატების შედეგად, სულ ცოტა, 9 ადამიანი გახდა მილიარდერი.**

სიის სათავეშია ამერიკული კომპანია „მოდერნას“ გენერალური დირექტორი **სტეფან ბანსელი** (4,3 მლრდ დოლარი), მეორეა გერმანული BioNTech -ის დამფუძნებელი **უგურ შაჰინი** (4 მლრდ), მესამე — იმუნოლოგი და „მოდერნას“ ინვესტორი **ტიმოთი სპრინგერი** (2,2 მლრდ); შემდეგ მოდიან: „მოდერნას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **ნუბარ აფეიანი** (1,93), „მოდერნას“ ვაქცინისთვის შეფუთვის მწარმოებელი კომპანია ROVI-ს ხელმძღვანელი **ხუან ლოპეს-ბალმონტე;** მეცნიერი და „მოდერნას“ ინვესტორი **რობერტ ლანგერი** (1,6 მლრდ), ჩინური ფარმაკომპანია CanSino Biologic-ის მთავარი მეცნიერი-მუშაკი **ჩჟუ ტაო** (1,3 მლრდ), კომპანია CanSino Biologic-ის ვიცეპრეზიენტი **ციუ დუნსუ** (1,2 მლრდ), კომპანია CanSino Biologic-ის თანადამფუძნებელი და ვიცეპრეზიდენტი **მაო ხუაიხუა** (1 მლრდ).

**rbc.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაიურაძემ**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894